დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 5 - 11 აგვისტო

N 33 1551

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



## ბრავო, ქართველო ბექაურო!

პარიზის ოლიმპიადაზე ქრისტიანობის შეურაცხყოფაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ქართველებმა და სერბებმა გაბედეს!



## ბრავო, სერბო ჯოკოვიჩ!

4-5

## კორძაძემ საერთაშორისოზე ვერ გაქაჩა!



მამუკა ხაზარაძის მარადიული ვექილი ზვიად კორძაძე



10

ზვიად კორძაძის მარადიული კლიენტი მამუკა ხაზარაძე



## მათ მიიღეს ქართული კანონი!

2



## საქართველოში „კატრექსის“ წარმოება უნდა აღდგეს!

24



16

## ლევი სტურუა სტალინის შესახებ

17



## ლაზარე ჯორბენაძე:



ნაცებმა 2012 წლის სექტემბერში მარტყოფის, კოჯრისა და სენაკის ტყეებში დიდძალი იარაღი დამარხეს!

12

## ქაქთა ღაღადი ანუ ერთი გუნდი სომეხ ლომჯარიათა

6

# ისინი არიან საქართველოს დეპუტატები!

***2024 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ რეესტრში დარეგისტრირებასა და წელიწადში ერთხელ ფინანსური დეკლარაციის წარდგენას ავალდებულებს.***

უფრო კონკრეტულად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების რეესტრში ის მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა დარეგისტრირდნენ, რომელთა შემოსავლის 20 პროცენტზე მეტს უცხოეთიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს. **ორგანიზაცია, რომელიც გამჭვირვალობის კანონს დაარღვევს, ანუ სპეციალურ რეესტრში არ დარეგისტრირდება და ფინანსურ დეკლარაციას არ გაასაჯაროებს, პირველ ჯერზე 25 000 ლარით დაჯარიმდება, ხოლო, თუ კანონისადმი დაუმორჩილებლობას არ შეწყვეტს, ყოველ მომდევნო თვეში 20 000 ლარის გადახდა მოუწევს.**

ასე და ამრიგად, საქართველოში უკვე მოქმედებს კანონი, რომელმაც ქართული სახელმწიფოს შინაური და გარეული მტრების სრული ლუსტრაცია ჯერ კიდევ მანამდე მოახდინა, სანამ პარლამენტის 84 დეპუტატი მესამე მოსმენით საბოლოოდ დაამტკიცებდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონპროექტმა ჯერ კიდევ კანონად გადაქცევამდე ჩამოხსნა ნიღაბი საქართველოს **„დაუძინებელ მეგობრებსა“** და მათ მიერ დაფინანსებულ **„მეხუთე კოლონას“,** რომლებიც წლების განმავლობაში ახერხებდნენ, საქართველო სუვერენული სახელმწიფო კი არა, კოლექტიური დასავლეთის „უკანა ეზო“ და, ფაქტობრივად, უუფლებო კოლონია ყოფილიყო.

შესაბამისად, ისე გამოვიდა, რომ **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონის მიღებით ქართულმა სახელმწიფომ კუდზე ფეხი დააბიჯა პოლიტიკურ გველეშაპს, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტის წყაროს დაჰპატრონებია და ქართველი ხალხისაგან მუდმივად ხარკსა და ტარიგს მოითხოვს — **თუ გინდათ, წყურვილით სული არ ამოგხადოთ, თქვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა შემომწიროთო!**

ჰოდა, გამჭირვალობის კანონის გამო, ერთბაშად გამძვინვარდა საქართველოს სუვერენიტეტის წყაროსთან ნებიერად გაწოლილი გველეშაპი — რაებს მიბედავთ, თქვე მშიერმუცელა მონებო, ახლა განახვებთ სეირს, არც ევროკავშირში მიგიღებთ და არც ნატო-ში შემოგასუნინებთ, სანქციებს დაგიწესებთ, ფინანსურ ტრანშებს გაგიყინავთ, „ფერად რევოლუციას“ მოგიწყობთ და სახელმწიფოს გადაგიტრიალებთო!

მარტო მუქარას არ დასჯერდა და, თავისი ჭკუით, ქმედით სადამსჯელო ზომებსაც მიმართა საქართველოს სუვერენიტეტის წყაროს დაპატრონებულმა გველეშაპმა — **ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთან ჯერ ერთობლივი სამხედრო წვრთნები გააუქმებინა და შემდეგ 95 მილიონი დოლარის ფინანსური დახმარებაც დაბლოკვინა, ხოლო ევროკავშირს ქართული ჯარისათვის განკუთვნილი 30 მილიონი ევრო კოლექტიური ლომჯარიას ყულაბაში ჩაარიცხვინა!**

თუმცა, ასეთი

## მუქარების, შანტაჟისა და ზეწოლის მიუხედავად, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ქართული კანონი უკვე ძალაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი



ზაზა ლომინაძე, დავით მათიკაშვილი, სამველ მანუკიანი, ლევან მაჭავარიანი, ლევან მგალობლიშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი



გოგი მეშველიანი, ირაკლი მეძმარიაშვილი, სავალან მირზოევი, გივი მიქანაძე, იმედა ნიკურაძე, ანტონ ობოლაშვილი



ბექა ოდიშარია, ანრი ოხანაშვილი, შალვა პაპუაშვილი, გელა სამხარაული, ნიკოლოზ სამხარაძე, ვიქტორ სანიკიძე



დავით სონღულაშვილი, გიორგი სოსიაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, ნოდარ ტურძელაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ლევან ქარუმიძე



მერაბ ქვარაია, სალომე ქურასბედიანი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე



გოდერძი ჩანქსელიანი, ქეთევან ჩარკვიანი, ვასილ ჩიგოგიძე,გიორგი ცაგარეიშვილი, ბეჟან წაქაძე, ნინო წილოსანი



ხატია წილოსანი, გრეტა წიწავა, შოთა ხაბარელი, გიორგი ხახუბია, სალომე ჯინჯოლავა, გიორგი ბარვენაშვილი

# მათ რუსული კი არა, ქართული კანონი მიიღეს!



გია ბენაშვილი, რიმა ბერაძე, მაია ბითაძე, ანზორ ბოლქვაძე, ელისო ბოლქვაძე, მაკა ბოჭორიშვილი



ელგუჯა გოცირიძე, ბექა დავითულიანი, ალექსანდრე დალაქიშვილი, ზაურ დარგალი, ისკო დასენი, ზაალ დუგლაძე



გოჩა ენუქიძე, გია ვოლსკი, ირმა ზავრადაშვილი, ირაკლი ზარქუა, არჩილ თალაკვაძე, ედიშერ თოლორაია



რატი იონათამიშვილი, ლადო კახაძე, გიორგი კახიანი, კახა კახიშვილი, პაატა კვიჟინაძე, ბაია კვიციანი



ირაკლი კირცხალია, სუმბატ კიურეღიანი, ლევან კობიაშვილი, რესან კონცელიძე, მარიამ ლაშხი, დიმიტრი სამხარაძე



დავით კაჭარავა, გურამ მაჭარაშვილი, სოზარ სუბარი, ეკა სეფაშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, ირაკლი (დაჩი) ბერაია



ზაალ მიქელაძე, დიმიტრი ხუნდაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გივი ჭიჭინაძე, ავთანდილ ენუქიძე, ფრიდონ ინჯია

**საზოგადოებისათვის მარტივად ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია, საიდან და რამდენით ფინანსდება პოლიტიკური დესტაბილიზაცია, ლგბტ პროპაგანდა, მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაცია, ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლა, ერთნაირსქესიანი ქორწინების ლობირება და ყველანაირი ნეოლიბერალური სიბილწე, რაც ძირს უთხრის საქართველოს ეროვნულ თვითმყოფადობასა და სახელმწიფო უსაფრთხოებას.**

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ **გამჭვირვალობის კანონით** მხილებული და ლუსტრირებული საქართველოს **„დაუძინებელი მეგობრები“** იძულებული იქნებიან, თავიანთი **„მეხუთე კოლონის“** დაფინანსება ან საერთოდ შეწყვიტონ, ან საგრძნობლად შეამცირონ, რაც ავტომატურად გამოიწვევს ქართულ პოლიტიკაზე უცხოური გავლენების შესუსტებასა და საქართველოს სუვერენიტეტის გამყარებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ

**ქართველი საზოგადოებისაგან პატივისცემასა და მორალურ მხარდაჭერას იმსახურებს საქართველოს პარლამენტის ის 84 დეპუტატი, რომელმაც არნახული საგარეო და საშინაო ზეწოლის, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ტერორის, ბულინგისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მიიღო.**

გამჭვირვალობის კანონის მიმღები 84 დეპუტატიდან, რომელთა სიასა და ფოტოებსაც აქვე გთავაზობთ, ზოგიერთი შეიძლება, ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი იყოს, რადგან ისინი პლენარულ სხდომებზე გამოსვლებით, სატელევიზიო დებატებში მონაწილეობითა თუ სხვა სახის საჯარო აქტივობებით არ გამოირჩევიან. **ისიც სათქმელია, რომ ზოგიერთი მათგანი „ქართულ ოცნებაში“ ნაციონალური მოძრაობიდან არის გადაპორტირებული და პოლიტიკური ბიოგრაფია სააკაშვილის რეჟიმთან თანამშრომლობითა თუ მისი დაფინანსებით აქვს დამძიმებული. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მხარდაჭერით, მათ ნამდვილად პატრიოტული და სახელმწიფოებრივი ნაბიჯი გადადგეს!**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი **„რუსი დეპუტატები“** არ არიან და **„რუსული კანონი“** არ მიუღიათ!

**ისინი არიან საქართველოს დეპუტატები, რომლებმაც ქართული კანონი მიიღეს!**

**ჯაბა ხუბუა**

# ბრავო, ქართველო ბექაურო!



**როცა ლაშა ბექაური ზედიზედ მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მისმა მამამ გელა ბექაურმა მთელი დარბაზისა და კამერების დასანახად მაღლა აღმართა მარჯვენა ხელი, რომელშიც ღვთისმშობლის ხატი ეჭირა!**

***2024 წლის 26 ივლისს პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ჩადენილმა უდიდესმა მკრეხელობამ, რაც ე.წ. დრაგ ქვინების, ანუ ჰომოსექსუალი და ტრანსსექსუალი მსახიობების მიერ იესო ქრისტესა და მის მოციქულთა საიდუმლო სერობის გაშარჟებაში გამოიხატა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით დიდი ვნებათაღელვა და აღშფოთება გამოიწვია.***

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლგბტ არტისტების მიერ **ლეონარდო და ვინჩის გენიალური ფრესკის — „საიდუმლო სერობის“ ვულგარულმა პაროდირებამ და იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების უკანასკნელი ვახშმის გაშარჟებამ** არამხოლოდ ქრისტიანები, არამედ მუსულმანები და ყველა ტრადიციული რელიგიის მიმდევარნი შეურაცხყო.

მაგალითად, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** განაცხადა:

> ***„პარიზში სამარცხვინო სცენამ შეურაცხყოფა მიაყენა არამხოლოდ კათოლიკურ სამყაროს, არამხოლოდ ქრისტიანულ სამყაროს, არამედ მათ მსგავსად ჩვენც შეურაცხგვყო. პარიზის ოლიმპიადის გახსნაზე წარმოდგენილმა უზნეობამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოავლინა იმ საფრთხის მასშტაბი, რომლის წინაშეც ვდგავართ“.***

თურქეთის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს ხანში დაურეკავს კათოლიკური სამყაროს სულიერ ლიდერს — **რომის პაპს,** რათა მასთან განიხილოს პარიზის ოლიმპიადის გახსნაზე ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ ჩადენილი უზნეობა.

პარიზის ოლიმპიადის ორგანიზატორთა მიერ ჩადენილი უზნეობა, რამაც მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა რელიგიური გრძნობები შეურაცხყო, საფრანგეთიდან დაწყებული, თითქმის ყველა ქვეყნის კათოლიკურმა, მართლმადიდებელმა და პროტესტანტულმა ეკლესიამ დაგმო. მაგალითად, აშშ-ის საეპისკოპოსო კომიტეტის თავმჯდომარემ **ენდრიუ კოზენსმა** სოციალურ ქსელში დაწერა: ***„იესომ ხელახლა განიცადა ვნება პარასკევს ღამით, პარიზში, როცა მისი საიდუმლო სერობა საჯარო ცილისწამებად აქციეს“.*** ეპისკოპოსმა კოზენსმა მთელი მსოფლიოს კათოლიკეებს მოუწოდა, პარიზის ოლიმპიადის გახსნაზე წარმოდგენილ უზნეობას ლოცვითა და მარხვით უპასუხონ.

რასაკვირველია, ჰომოსექსუალებისა და ტრანსსექსუალების მიერ საიდუმლო სერობის შეურაცხყოფა დაგმო **საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ,** რომლის საპატრიარქომაც ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა:

> ***„დიდად ვწუხვართ საფრანგეთში ოლიმპიადის გახსნის დროს ნაჩვენები გარკვეული სცენების გამო და ვეთანხმებით მსოფლიო საპატრიარქოს განცხადებას, სადაც, სხვა მნიშვნელოვან აქცენტებთან ერთად, აღნიშნულია შემდეგი:*** *„ძალიან სამწუხაროა, რომ პარიზში ჩვენ მოწმენი გავხდით ქრისტიანობისა და წმინდა სახარების შე-*



**პარიზის ოლიმპიადის მონაწილე 206 ქვეყნის დელეგაციასა და 10 000-ზე მეტ სპორტსმენს შორის მხოლოდ ქართველებმა და სერბებმა შეძლეს, იესო ქრისტესა და ქრისტიანობის შეურაცხყოფისათვის ეპასუხათ!**



**ქრისტესა და მისი მოწაფეების საიდუმლო სერობის გაშარჟება ჰომოსექსუალი და ტრანსსექსუალი დრაგ ქვინების მიერ პარიზის ოლიმპიადის გახსნაზე. 2024 წლის 26 ივლისი**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



თეორიულად რომ დავუშვათ **ნაცმოძრაობის დაბრუნება,** უკან მოგვრჩება ევროინტეგრაციაც და ყველაფერიც, გარანტიას ვიძლევი, **ერთი კვირა არ დასჭირდებათ, რომ აქ გახსნან მეორე ფრონტი.**

„TV იმედი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



რა სჭირთ ბოლო დღეებში ფსევდოლიბერალებს? — **რუსეთის მიმართ სანქციებიც კი აღარ მოსწონთ.** იმზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი, **ბომბებით წვა კი არა, მშვიდობაზე ლოცულობენ.**

არჩევნების შემდეგ დაიწყება **დაფინანსებული პროექტი** სახელად — **„არჩევნები გაყალბდა“.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ოპოზიცია, **ერთი გრამი ძალაუფლებაც რომ ჩაუვარდეს ხელში,** იმავე მომენტში წავა ესკალაციაზე რუსეთთან, **დააწესებენ სანქციებს, გააგზავნიან შეიარაღებას უკრაინაში** და მეორე დღესვე საქართველო აღმოჩნდება ჩართული ომში.

„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



არავის მივცემთ შესაძლებლობას, რომ **ჩვენი ქვეყნის ინტერესი გამოიყენოს თავისი ქვეყნის ინტერესების გასატარებლად** და ქვეყანაში მივიღოთ ის უბედურება, რაც დღეს, სამწუხაროდ, არის უკრაინაში.

„რეზონანსი“

# ბრავო, სერბო ჯოკოვიჩ!

*ურაცხმყოფელი წარმოდგენებისა, რაც, ასევე, შეურაცხყოფდა ყველა ცივილიზებულ ადამიანს, რომელიც აღიარებს რწმენის უფლებას და პატივს სცემს რელიგიურ სიმბოლოებს“.* ***ჩვენც, ჩვენი მხრივ, ვუერთდებით საერთო აღშფოთებასა და გულისტკივილს, გამოწვეულს მკრეხელური დადგმებით, რამაც საზეიმო გახსნა ზოგადადამიანური ღირსების შეურაცხყოფად და ლგბტ იდეოლოგიის პროპაგანდად აქცია“.***

საყურადღებოა ფრანგი ევროპარლამენტარის **მარიონ მარეშალის** განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ პარიზის ოლიმპიადის გახსნაზე მომხდარი სამარცხვინო ფაქტი მთელი საფრანგეთის კი არა, მხოლოდ ლიბერალური უმცირესობის განწყობასა და პოზიციას გამოხატავს:

***„მსოფლიოს მასშტაბით ყველა ქრისტიანს, ვინც ახლა პარიზის ოლიმპიადის ცერემონიას უყურებს და დრაგ ქვინების მიერ „საიდუმლო სერობის“ პაროდიის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობს — იცოდეთ, რომ ინაუგურაციაზე საფრანგეთი კი არ საუბრობს, არამედ გესაუბრებათ მემარცხენე უმცირესობა, რომელიც მზად არის ნებისმიერი პროვოკაციისთვის“.***

თუმცა, დღეს საფრანგეთსა და მთელ ევროკავშირს, თითოოროლა გამონაკლისის გარდა, სწორედ ეს აგრესიული მემარცხენე უმცირესობა, ანუ ნეოლიბერალური, რეალურად კი, ნეოფაშისტური იდეოლოგია მართავს, რომელიც მზად არის, ნებისმიერ ბინძურ პროვოკაციაზე წავიდეს და გადაუაროს ყველასა და ყველაფერს, რაც კი და ვინც კი მის გავლენებსა და ძალაუფლებას არ ემორჩილება.

რაც ყველაზე სამწუხარო და სახიფათოა, ეს უზნეო და უღმერთო იდეოლოგია არამხოლოდ პოლიტიკაში, არამედ სპორტშიც არის გაბატონებული, რის გამოც პარიზის ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენებისა და ოფიციალური დელეგაციების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, დისკვალიფიკაციისა და ტურნირიდან მოხსნის შიშით, საიდუმლო სერობის მკრეხელური პაროდიისა და ქრისტიანთა რელიგიური გრძნობების ფეხქვეშ გათელვის დასაგმობად ხმის ამოღება ვერ გაბედა.

**პარიზის ოლიმპიადის მონაწილე 206 ქვეყნის დელეგაციასა და 10 000-ზე მეტ სპორტსმენს შორის მხოლოდ ქართველებმა და სერბებმა შეძლეს, იესო ქრისტესა და ქრისტიანობის შეურაცხყოფისათვის ეპასუხათ!**

კერძოდ, ლეგენდარულმა სერბმა ჩოგბურთელმა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა,** რომელსაც დიდი ხანია, გაცხადებული აქვს — **ჯერ მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და მხოლოდ მერე ვარ სპორტსმენიო,** პარიზის ოლიმპიადაზე ასევე ლეგენდარული ჩოგბურთელის, ესპანელი **რაფაელ ნადალის** დამარცხების შემდეგ, კისერზე


ნოვაკ ჯოკოვიჩი

**ეს წერილი უკვე დასაბეჭდად იყო მზად, როცა პარიზის ოლიმპიადის ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩმა ესპანელი კარლოს ალკარასი დაამარცხა და თავის დიდ ტიტულებს ოლიმპიური ჩემპიონობაც მიუმატა!**


გელა ბექაური და ნოვაკ ჯოკოვიჩი

**პარიზის ოლიმპიადაზე ქართველმა და სერბმა მართლმადიდებლებმა სატანიზმში გადაზრდილი ნეოლიბერალიზმის ადეპტებს დაანახეს, რომ უფლის ნების გარეშე არავითარი გამარჯვება და ჩემპიონობა არ არსებობს!**

ძეწკვით ჩამოკიდებული ჯვრის დემონსტრირება მოახდინა. ფოტო და ვიდეოკადრებმა, რომლებზეც ჯოკოვიჩის ეს ჟესტია ასახული, მთელი მსოფლიო მოიარა და ყველა მიხვდა, რომ ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩოგბურთელის მიერ ჯვრის დემონსტრირება სწორედ პარიზის ოლიმპიადის ორგანიზატორთა მიერ ჩადენილ მკრეხელობაზე პასუხი იყო.

რაც შეეხებათ ქართველებს, როცა 23 წლის ძიუდოისტმა **ლაშა ბექაურმა** ფინალური შეხვედრა მოიგო და ზედიზედ მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მისმა მამამ **გელა ბექაურმა** მთელი დარბაზისა და ტელეკამერების დასანახად მაღლა აღმართა მარჯვენა ხელი, რომელშიც ღვთისმშობლის ხატი ეჭირა. **ამ კადრებმაც მთელი მსოფლიო მოიარა** — ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა ბექაური** იქვე, დარბაზში მყოფ თავის მშობლებთან, ახლობლებთან და ოლიმპიური დელეგაციის წევრებთან ერთად აღნიშნავს გამარჯვებას, ტელეობიექტივში კი რამდენჯერმე ხვდება მამამისი ღვთისმშობლის ხატით ხელში. ესე იგი, ქართველები — **ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები** — ღვთისმშობლის ხატს უჩვენებენ იმათ, ვინც იესო და მისი საიდუმლო სერობა ჰომოსექსუალებსა და ტრანსსექსუალებს გააშარჟებინა!

მოგვიანებით **ლაშა ბექაურის მამამ** კომენტარიც გააკეთა:

***„ღვთისმშობლის ხატს ვსახავდი ლაშას, ძალიან რომ უჭირდა. დარწმუნებული ვიყავი, გაიმარჯვებდა. დიდება უფალს! ყველას მადლობას გიხდით — გულშემატკივარს, სრულიად საქართველოს, ემიგრანტებს, ყველას, გვიყვარხართ, ხალხო! მე ვარ ბედნიერი მშობელი, რომ ღმერთმა მაჩუქა ისეთი შვილი, რომელსაც სიხარული მოაქვს თავისი სამშობლოსთვის!“***

სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოც, რომელზეც **ლაშა ბექაურის მამა გელა ბექაური და სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი** არიან აღბეჭდილი. ფოტოზე ჯოკოვიჩს სწორედ ის ღვთისმშობლის ხატი უჭირავს, რომელსაც **გელა ბექაური** შვილის გამარჯვების შემდეგ მთელ დარბაზსა და ტელეკამერებს დემონსტრაციულად აჩვენებდა.

ასე და ამრიგად, **ქართველმა და სერბმა მართლმადიდებლებმა პარიზის ოლიმპიადაზე ღვთის გმობასა და ქრისტიანობის შეურაცხყოფას ღირსეულად უპასუხეს, რითიც მთელ მსოფლიოს, უპირველეს ყოვლისა კი, სატანიზმში გადაზრდილი ნეოლიბერალიზმის ადეპტებს დაანახეს, რომ უფლის ნების გარეშე არავითარი გამარჯვება და ჩემპიონობა არ არსებობს!**



**სანამ სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ქართველი ლაშა ბექაურის მსგავსი დიდი სპორტსმენები ქრისტესა და მისი რჯულის ერთგულებას ნებისმიერ ტიტულზე მაღლა აყენებენ, უღმერთო და უზნეო ნეოლიბერალიზმი კაცობრიობაზე ვერ გაიმარჯვებს!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**არჩილ მორჩილაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



რადგან საქართველოში **სტაბილურობის, მშვიდობისა და, შესაბამისად, კეთილდღეობის** მთავარი გარანტი არის **ბიძინა ივანიშვილი,** სავსებით ლოგიკურია, რომ მის წინააღმდეგ **ტერორისტული აქტი** მზადდებოდა.

„იმედინიუსი“

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი*



დავთანხმდი „ფოქს ნიუსს“, **მქონდეს დებატები კამალა ჰარისთან 4 სექტემბერს.** მანამდე დებატები ჩანიშნული იყო **მძინარე ჯო ბაიდენის** წინააღმდეგ ABC-ზე, თუმცა, ეს გაუქმდა, რადგან **ბაიდენი** მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. დებატების წესები იქნება მსგავსი, რაც იყო **მძინარე ჯოსთან,** რომელსაც საკუთარი პარტია ცუდად მოექცა.

„პირველი არხი“

**ლაშა გუჯეჯიანი**
*საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი*



ის ფაქტი, რომ **ისტორიული შედეგი გვაქვს, გვყავს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი,** ყველაფერს ფარავს. მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ესაა. **გვაქვს ორი ვერცხლის მედალი, ოქროსთან ერთად.** ჩემს უარყოფით ემოციას ისიც იწვევს, რომ **დასანანი შეხვედრები დავთმეთ.** გუნდის რამდენიმე ლიდერმა მედლის რეალური შანსი დაკარგა, თუმცა, ეს სპორტია. **ქართული ძიუდო თავის სიტყვას ამბობს, ის მოწინავე ადგილზეა მსოფლიოში.**

„პირველი არხი“

**ლერი ხაბელოვი**
*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი*



ძიუდოისტებმა ჩვენს დელეგაციას **სამი მედალი შესძინეს,** შემიძლია ვთქვა, რომ **სოლიდურად იასპარეზეს.**

„პირველი არხი“

***საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის თეირანში ჩასვლასა და ირანის პრეზიდენტ მასუდ ფეზეშქიანის ინაუგურაციაზე დასწრებას კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ და ლიბერალურმა არასამთავრობო სექტორმა ტრადიციული პოლიტიკური ისტერია მოაყოლეს — აი, კიდევ ერთი დასტური, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ ქვეყანა ნათელი დასავლური გზიდან გადაიყვანა და ანტიდემოკრატიული სიბნელისკენ მიაქანებს!***

# ქაქთა

## ანუ ერთი

**კოლექტიურმა ნაცებმა და უცხოეთიდან დაფინანსებულმა კოლექტიურმა ლომჯარიებმა** ხელზე განსაკუთრებით ის ფაქტი დაიხვიეს, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ინაუგურაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად ესწრებოდა აშშ-ის, კანადის, ევროკავშირისა და ისრაელის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული **პალესტინური მოძრაობის — „ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერი ისმაელ ჰანია,** რომელიც ინაუგურაციის დასრულებიდან რამდენიმე საათში თეირანში სარაკეტო თავდასხმით მოკლეს.

**კოლექტიური ნაცები და კოლექტიური ლომჯარიები** სოციალურ ქსელებში გაუთავებლად აზიარებენ ფოტოს, რომელზეც ჩანს, რომ „ჰამასის" აწ უკვე ლიკვიდირებული ლიდერი **ისმაელ ჰანია** ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და სხვა პოლიტიკური ლიდერების გვერდით დგას. ფოტოს მოსდევს ნაცლიბერალი სექტანტებისათვის დამახასიათებელი, მათი პოლიტიკური სიბრიყვისა და ანტისახელმწიფოებრივი აზროვნების გამომხატველი კომენტარები: **„კობახიძე ინაუგურაციას ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერთან ერთად დაესწრო"; „აი, სადამდე მიიყვანა ქვეყანა ივანიშვილის რეჟიმმა — დასავლეთი სანქციებს გვიწესებს, ესენი კი ტერორისტებთან პარტნიორობენ"; „საქართველო ევროკავშირისა და ნატო-ს მაგივრად ირანსა და ჩინეთს უმეგობრდება"** და სხვა ამისთანები.

**კოლექტიურ ნაცლომჯარიათა** ამგვარ პოლიტიკურ სისინს პირდაპირ უნდა ვუწოდოთ **ქაქთა ღალადი,** რადგან **ნამდვილი პოლიტიკური ქაქები** არიან ის პროვოკატორები და უცხოეთის გავლენის აგენტები, რომლებიც გაიძახიან, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის დასწრება „ტერორისტებთან თანამშრომლობას" ნიშნავს.

უკეთ რომ ვთქვათ, ესენი არიან **მოლაპარაკე პოლიტიკური ქაქები,** რომელთა ღაღადი ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული!






**ქაქთა ღაღადს** რომ ვამბობთ, ცხადია, ეს გახლავთ ალუზიური გადაძახილი **ილია ჭავჭავაძის** შედევრთან, რომელიც ქართულ პუბლიცისტიკასა და ლიტერატურას **„ქვათა ღაღადის"** სახელით შემორჩა, თუმცა, თავდაპირველად **„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი"** ერქვა და 1899 წელს სწორედ ამ სათაურით დაიბეჭდა ილიასვე გაზეთ „ივერიაში".

ჰოდა, დიდი ილიას მიერ **„ქვათა ღაღადის"** დაწერიდან 125 წლის შემდეგ **ქაქთა ღაღადზე** გვიწევს წერა, ქაქი კი, მოგეხსენებათ, სომხური სიტყვაა და ქართულად განავალს ნიშნავს. აკი, ილია ჭავჭავაძემ **„ქვათა ღაღადი"** სწორედ სომეხი მეცნიერების შესახებ დაწერა, რომლებიც თავიანთ საყვარელ საქმეს — ისტორიის გაყალბებასა და ქართველი ერის დაკნინების ხარჯზე სომეხი ერის განდიდებას — არც მე-19 საუკუნეში ღალატობდნენ. ასეთ **სომეხ მეცნიერებს** ილია მოიხსენიებს, როგორც **„ერთს გუნდს სომხებისას"** და წერს: ***„დროა, ნიღაბი ავხადოთ იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწევენ ქართველებს დიდისა და პატარის გამოუკლებლად";*** ან კიდევ: ***„სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ჭკვიანურ ანდაზის სიბრძნემდე ჯერ აქამომდე ვერ მიუღწევია იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომლის მეცნიერნი ქება-დიდებას სომხებისას საყვირით ჰყვირიან და ამასთან, საცა გინდათ და არ გინდათ, ქართველებს მიწასთან გვასწორებენ და დედა-ბუდიანად გვთხრიან".***

## კვირგვინოსნები

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის" წევრი*



მაშინ, როცა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ საკუთარი კარტი გაშალა, **ჩვენ პოლიტიკური სვლები ჯერ არ დაგვიწყია** — ჩვენ შემთხვევაში ყველაფერი არის წინ!

„რეზონანსი"

**ხათუნა სამნიძე**
*რესპუბლიკური პარტიის ლიდერი*



**კობახიძე** ხალხს დასცინის — **12 წელი არსად მივდივართ!** მაქვს ოპტიმიზმი და მოლოდინი, რომ **ეს ხელისუფლება შეიცვლება 26 ოქტომბერს.**

„ახალი თაობა"

**კახა ოქრიაშვილი**
*პარტია „პროგრესი და თავისუფლებას" ლიდერი*



**„ოცნების" ლიდერებს:** ბატონებო, დახედეთ 270 ათასი ევროს ღირებულების საათებს — **თქვენი წამმზომი ჩართულია!**

„ინტერპრესნიუსი"

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი*



მოქალაქეებს **„ქართული ოცნებისთვის" განაჩენი გამოტანილი აქვთ** და უკვე აღარ კითხულობენ: **„გვეშველება რამე"?** პირდაპირ ამბობენ: **„ხომ ვიმარჯვებთ"?** — დიახ, ჩვენ ვცვლით ხელისუფლებას! „ინტერპრესნიუსი"

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის" წევრი*



არჩევნების გაყალბებაზე წინასწარ საუბარი **უტვინობის ბრალია** და პასუხობს იმას, რომ **გამარჯვების ნაკლები იმედი გაქვს.**

„რეზონანსი"

**მერაბ ტურავა**
*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე*



არ მგონია, **ევროპული ორიენტაცია** მე და ჩემს მოსამართლეებს თქვენზე ნაკლები გვქონდეს. **ჩვენ თქვენზე ნაკლები ევროპელები არ ვართ.**

„რეზონანსი"

# ღაღადი

## გუნდი სომეხ ლომჯარიათა

მოკლედ, ილიამ, როგორც გენიალურმა პუბლიცისტმა და უძლიერესმა პოლემისტმა, თავისი **„ქვათა ღაღადით“** ქვა ქვაზე არ დატოვა **სომეხ მეცნიერთა ერთი გუნდისაგან,** რომლებიც ქართველების მიწასთან გასწორებით იყო დაკავებული, ხოლო ჩვენი **„ქაქთა ღაღადი“** კიდევ ერთხელ ამხელს სომეხ ლომჯარიათა ერთ გუნდს, რომლის მთავარი ხელობაც ქართული სახელმწიფოსათვის ფეკალიების სროლა და ქვეყნის ინტერესების დაზიანებაა.

აქვე, ბოლომდე სამართლიანები რომ ვიყოთ, პრემიერ კობახიძის საავტორო უფლებები უნდა დავიცვათ და აღვნიშნოთ, რომ ფრაზა — **„სომეხი ლომჯარიები“** — სწორედ მას ეკუთვნის. როცა საქართველოს მთავრობის მეთაურს ნაცტელეკანალიზაციების ჩიტკორესპონდენტებმა თავიანთი ჭკუით ჩამჭრელი კითხვა დაუსვეს — ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციას ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული „ჰამასის“ ლიდერთან ერთად რატომ დაესწარითო — **კობახიძემ** უპასუხა:

*„ირანი ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოა რეგიონში და სწორედ ამის გათვალისწინებით, ინაუგურაციას ესწრებოდა რეგიონის უკლებლივ ყველა სახელმწიფო. მათ შორის, ინაუგურაციას ესწრებოდნენ* **ჟოზეფ ბორელისა** *და გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლები. იქ იყვნენ აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი, სომხეთის პრემიერ-მინისტრი, რეგიონი იყო თავიდან ბოლომდე წარმოდგენილი. რაც შეეხება თვითონ ამ თემას, მე როგორც მითხრეს, პირადად ლომჯარიას ჰქონია მისი პატრონებისაგან დავალებული ამ თემის აწევა. მინდა, გითხრათ, რომ* ***ლომჯარიები არიან სომხეთშიც,*** *მაგრამ* ***სომეხ ლომჯარიებს*** *სომხეთში ეს თემა არ აუწევიათ, რადგან სომეხ ლომჯარიებს არ დაავალეს იგივე თემა, რაც დაავალეს* ***ქართველ ლომჯარიებს.*** *ეს არის სამარცხვინო სპეკულაცია“.*

**სომეხი ლომჯარიები!**
**ერთი გუნდი სომეხ ლომჯარიათა!**
**პოლიტიკური ქაქების გუნდი!**

მართლაც, ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე გადაღებულ იმ ფოტოზე, რომელსაც **„ქართველი ლომჯარიები“** სოციალურ ქსელებში აფრიალებენ — აქაოდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერთან ერთად დგასო, სომხეთის პრემიერ-მინისტრი **ნიკოლ ფაშინიანიც** არის აღბეჭდილი, მაგრამ **„სომეხ ლომჯარიებს“,** ანუ უცხოეთიდან დაფინანსებულ გავლენის აგენტურას ერევანში წივილ-კივილი და სომხური სახელმწიფოსათვის ქაქის სროლა არ დაუწყია.

მართალია, **კობახიძემ** განაცხადა — **„ქართველი ლომჯარიებისაგან“ განსხვავებით,** „სომეხ ლომჯარიებს“ თავიანთი პატრონებისაგან შესაბამისი დავალება არ მიუღიათო, მაგრამ, ამასთან ერთად, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ „სომეხი ლომჯარიები“ „ქართველ ლომჯარიებს“ სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და პატრიოტიზმში ცოტათი მაინც სჯობნიან, ხოლო სულგაყიდულობასა და უსამშობლობაში ცოტათი მაინც ჩამორჩებიან!

ამიტომაც არის, რომ ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სომხეთის პრემიერ-მინისტრის დასწრების გამო სომხეთში **ქაქთა ღაღადი** არ ატეხილა, მაგრამ ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის დასწრების გამო ქართული ტელესივრცე და სოციალური ქსელები **ქაქთა ღაღადს** აქვს წალეკილი!

კი, ნაღდად ისე მოჩანს, რომ ერთი გუნდი სომეხ ლომჯარიათა სომხური სახელმწიფოსათვის ნაკლებად საშიში და სახიფათოა, ვიდრე ერთი გუნდი ქართველ ლომჯარიათა — ქართული სახელმწიფოსათვის!

საფრთხე და საშიშროება, რაც ქართულ სახელმწიფოს **ქაქთა ღაღადით** ემუქრება, ქართველმა ხალხმა ამ შემოდგომაზე საარჩევნო ურნებთან უნდა გაანეიტრალოს!

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით საქართველოში **ქაქთა ღაღადი** ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნას ჩახშობილი!



ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე გადაღებულ ფოტოზე, რომელსაც **„ქართველი ლომჯარიები“** სოციალურ ქსელებში აფრიალებენ — აქაოდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერთან ერთად დგასო, სომხეთის პრემიერ-მინისტრი **ფაშინიანიც** არის აღბეჭდილი...

### ბოლოთქმა

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ გრანტებზე სულგაყიდულ და უსამშობლო ქართველ ლიბერალთა ერთ-ერთი კრებსითი სახის — **ნინო ლომჯარიას** აღზევება **სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში** მოხდა, როცა იგი ჯერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გენერალური აუდიტორის პირველ მოადგილედ დანიშნეს, შემდეგ კი, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს სახალხო დამცველად გაამწესეს. ამდენად, **როცა „ქართული ოცნების“ ლიდერები ლომჯარიას აძაგებენ და მის ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ გამოხტომებზე საუბრობენ, სინანულისაგან, სულ ცოტა, ენის წვერზე მაინც უნდა იკბინონ,** ხოლო, თუ ბოლომდე ნამუსიანები იქნებიან, ქართველ ხალხს ყოველ ცისმარე დღეს თითო ბოდიში უნდა მოუხადონ ასეთი **პოლიტიკური ქაქისათვის** ძალაუფლებისა და გავლენის მინიჭების გამო!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები



**ზაალ მიქელაძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*

„ედისონის“ მკვლევრებმა სიმბოლურად, 41-41 პროცენტი დაუწერა საკუთარ არჩევანში ჩაკარგულებს — **ბოკუჩავა-ვაშაძეს.** გაიღვიძეთ! სიზმარშიც კი სწორ გაჩერებებს გაცდით! **შემდეგი გაჩერება არ იქნება „უკრაინიზაცია“!** 26 ოქტომბერს შედგება **მშვიდობიანი, სუვერენული საქართველო.**

„იმედინიუსი“



**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*

**კეზერაშვ**-ის დაფინანსებული **ე.წ. სოციოლოგიური გამოკითხვის ე.წ. შედეგები** თანხვედრაშია სოროსის ფონდის დაფინანსებული გამოკითხვის შედეგებთან — **ეს მანიპულაციური „გამოკითხვები“ ოპოზიციის სისუსტის ყველაზე კარგი ინდიკატორია.**

**თაღლითი არის თაღლითი** — ყველგან და ყოველთვის! **გინდა, ბანკის მფლობელი იყოს და გინდა, პარტიის ლიდერი** ან თუნდაც მეეზოვე.

„იმედინიუსი“



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*

ოპოზიცია თანდათან სულს ღაფავს, რადგან **საკუთარ ნაღმებზე ფეთქდება.** იქნებ **ამ უსამშობლოებმა გაიხსენონ,** რომ ნათქვამია: სხვას ორმოს ნუ უთხრი, თორემ თავად აღმოჩნდები ამ ორმოშიო.

„იმედინიუსი“



**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ყოფილი თავმჯდომარე*

მივიღე გადაწყვეტილება, **დავტოვო „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის პოსტი** — ვერ დავრჩები ვერც ამ საპარლამენტო სიაში და ვერც ამ პოლიტიკურ გუნდში.

„ინტერპრესნიუსი“



**ნათია მეზვრიშვილი**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*

**დაშლილი ნაცმოძრაობის გაცოცხლება** მხოლოდ და მხოლოდ „ოცნების“ ინტერესშია, რათა საზოგადოება **ნაცმოძრაობის ილუზორული დაბრუნებით** შეაშინოს.

„რეზონანსი“

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორად გია ხუბუას დანიშვნას აპროტესტებს და იმ საშინელებებსა და სამარცხვინო ისტორიებს იხსენებს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწორედ ხუბუას სახელს უკავშირდება:*

**„გამწარებული და გაგდებული კახა ლომაია დაგვემუქრა – ნაჯახით ამოვძირკვავ უნივერსიტეტსო! სამწუხაროდ, მან ეს მუქარა შეასრულა!“**





## *გიორგი გოგოლაშვილი:*

# დიახ, გია ხუბუაზე უფრო ოდიოზური ფიგურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ ჰყოლია!

— 2006 წელს ჩვენ უნივერსიტეტი პროტესტის ნიშნად დავტოვეთ და არ მივიღეთ მონაწილეობა იმ ე.წ. კონკურსში, რომელიც რექტორმა **გია ხუბუამ** გამოაცხადა. საერთოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავიდანვე ნაციონალების მთავარი სამიზნე იყო. სააკაშვილსა და მის გუნდს უნივერსიტეტის ეშინოდათ, რადგან 1956 წლის 9 მარტის, 1978 წლის 14 აპრილის, ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და ყველა მნიშვნელოვანი აქციის დროს აქაურ პროფესურას და რექტორს საზოგადოებაზე დიდი ზეგავლენა ჰქონდათ. **ამიტომ უნივერსიტეტი უნდა დაენგრიათ, რაც აღასრულეს კიდეც!** გაგახსენებთ ერთ ფაქტს — შევარდნაძე რომ გადადგა, „კმარას“ გოგო-ბიჭები შუაზე გაიყვნენ. ერთი ნაწილი შევარდნაძის რეზიდენციისკენ დაიძრა, ხოლო მეორე ნაწილი — **თეა თუთბერიძე, გოგა ონიანი** და სხვები უნივერსიტეტს მოადგნენ და ყვირილი ატეხეს — **„როინა, გადადექი!“** დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენა პრიორიტეტული აღარ არის, უნივერსიტეტი დარჩენილია სამეცნიერო პროცესის გარეშე. ჩვენ სტუდენტებს ვეღარ ვაძლევთ აკადემიურ განათლებას!

**— მაინც რამ დაძაბა ურთიერთობა უნივერსიტეტის პროფესურასა და ნაცხელისუფლებას შორის?**

— ყველაფერი დაიწყო უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტით, რომლის საჯარო განხილვასაც არ აპირებდნენ. ამ კანონპროექტში ამოღებული იყო მუხლი იმის შესახებ, რომ საქართველოში უმაღლესი



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა პროტესტი რექტორ გია ხუბუას კაბინეტში. 2006 წელი**

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**მიხეილ სააკაშვილის** ჯანმრთელობის მდგომარეობა **მკვეთრად გაუმჯობესებულია.** როცა პენიტენციურ დაწესებულებაში **გადაყვანასთან დაკავშირებით იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული,** ამის შესახებ ძალიან მალე გაიგებთ თქვენც.

„რეზონანსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



მოვემზადებით **26 ოქტომბრისთვის** და გავიმარჯვებთ, **27 ოქტომბერს** ეგენი სად შეიკრიბებიან, არ ვიცი, **შეიძლება, „ვივამედში“ შეკრიბოს პატიმარმა სააკაშვილმა და იქ მიუსამძიმრონ ერთმანეთს წაგება.**

„პირველი არხი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



არცერთი სხვა შედეგი არ მიიღება, გარდა **ქართველი ხალხის სრული გამარჯვებისა,** ჩვენ, ასობით ათასი ადამიანი **უნდა მოვემზადოთ დღეების, კვირების, თვეების განმავლობაში ქუჩაში დგომისთვის.**

„პირველი არხი“

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილის** სახელი, როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე შიდაპოლიტიკურ რეალობაში **ყველას დავიწყებული აქვს,** რადგან ის ლაპარაკობს იმას, რასაც სულ ლაპარაკობდა — **რომ საქართველოში ქაოსი უნდა იყოს.**

„იმედინიუსი“



# „ცხონებულმა გურამ შარაძემ გია ხუბუას უთხრა – უნივერსიტეტში ქურდულად შემოხვედი და ქურდი ხარო! ამის გამო ხუბუამ ბატონი გურამი ორი კვირით ციხეში ჩაასმევინა!“

განათლების ენა გახლდათ ქართული, რაზეც ავყვირდით. 2004 წლის 27 სექტემბერს უნივერსიტეტის რექტორმა **როინ მეტრეველმა** პარლამენტსა და პირადად სააკაშვილს წერილი გაუგზავნა — ამგვარი კანონპროექტი საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს და მისი კანონად ქცევა არ შეიძლებაო! **სააკაშვილი** მაშინ დედულეთში, სოფელ ცხრუკვეთში იმყოფებოდა, საიდანაც უნივერსიტეტის პროფესორებს სულ კორუმპირებულები და სამარცხვინოები გვეძახა. პარალელურად, **კახა ლომაიამაც** გვლანძღა — არ ეთმობათ კორუფცია და იმიტომაც ეწინააღმდეგებიან რეფორმასო! ლომაიამ ასევე მოგვიქსია თავისი გუნდი — **ლაშა ბაქრაძე, რატი ამაღლობელი და ზაალ სამადაშვილი.** უფრო მეტიც, გამოვიდა **გიგი თევზაძე** და განაცხადა — ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტთან არ ვითანამშრომლებთო! შეგახსენებთ, მაშინ ეს პირი განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანი და მთავარი იდეოლოგი იყო!

**— იმ დღეებში, მგონი, უნიჭო კახა ლომაიაც მოეთრა უნივერსიტეტში!**

— უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ლომაიამ ჩვენი ლანძღვა გააგრძელა, რის გამოც სტუდენტებმა უყვირეს და გააძევეს. **გამწარებული და გაგდებული კახა ლომაია დაგვემუქრა — ნაჯახით ამოვძირკვავ უნივერსიტეტსო და, სამწუხაროდ, მან ეს მუქარა შეასრულა.** 2005 წლის იანვრიდან განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც უნივერსიტეტს სამეცნიერო სექტორის დაფინანსება — 1 მილიონ 800 ათასი ლარი ჩამოეჭრა. 1500 კაცი დატოვეს უხელფასოდ და გააუქმეს ყველა კაბინეტ-ლაბორატორია. **მახსოვს, ერთ ისტორიკოს ქალბატონს სალაროსთან რომ უთხრეს — აქ აღარ მუშაობთ და, შესაბამისად, ხელფასიც არ გექნებათო! — გული გაუსკდა და მოკვდა.** ეს იყო პირველი დარტყმა. დასანგრევი დარჩა უნივერსიტეტის აკადემიური სექტორი. კახა ლომაიამ უნივერსიტეტის რექტორ **რუსუდან ლორთქიფანიძეს** დაავალა 3500 პროფესორ-მასწავლებლის შტატი 700 ადგილამდე დაეყვანა და კონკურსი ისე ჩაეტარებინა, რომ 2800 კაცის შტატი საერთოდ მოესპო, მაგრამ იგი მიხვდა, თუ რა ბინძური დავალების შესასრულებლად გამოგზავნეს უნივერსიტეტში და ეს დავალება არ შეუსრულა. სამაგიეროდ, **კახა ლომაიას** დავალება შეუსრულა **გია ხუბუამ,** რომლითაც რუსუდან ლორთქიფანიძე ჩაანაცვლეს.

**— ასეთ კაცს ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებულ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორად რა უნდა?**

— გია ხუბუას რექტორად დანიშვნით გაოგნებული ვარ! საერთოდ, ქუთაისის უნივერსიტეტის დანიშნულებას ვერ ვხვდები. **დალოცვილო, ქართული ენა საქართველოში დაფუძნებულ უნივერსიტეტში არ უნდა ისწავლებოდეს? იმ უცხოელ სტუდენტებს ერთი-ორი სიტყვა ქართული მაინც რომ ასწავლოთ, ღმერთი გაგვიწყრება?**

**ხუბუამ „ქართულ ოცნებას“ თავი შეაცოდა – რეპრესირებული ვარო! საქმე ის გახლავთ, რომ 2010 წელს ის უნივერსიტეტის რექტორობიდან მანამ არ წავიდა, სანამ პროკურატურამ მასზე საქმე არ აღძრა. სააკაშვილის პროკურატურა ხუბუას ედავებოდა – უნივერსიტეტის გასარემონტებლად ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ ნავდარაანთკარში შენს სახლამდე გზა გამოიყვანაო!**




**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები რექტორ გია ხუბუას კაბინეტიდან პოლიციას ხელებაწეული გამოჰყავს. 2006 წელი**

ამას ისიც დაუმატეს, რომ ხუბუას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან ძვირფასი წიგნების გატაცებას ედავებოდნენ.

**— ხუბუამ უნივერსიტეტის პროფესორები სააქტო დარბაზში რომ ჩაგკეტათ, იმაზე რას იტყვით?**

— მაშინ ხუბუამ წყლის შემოწოდების უფლებაც არ მოგვცა. გადაღებულია კადრები, როცა წყალი თოკით ამოგვქონდა და პოლიციელმა გადაჭრა, რათა გულწასულ პროფესორს არ დაელია. ასობით ადამიანისათვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის გამო **ხუბუას** წინააღმდეგ სარჩელიც კი შევიტანეთ, მაგრამ სააკაშვილის სასამართლოში რას გავაწყობდით? სხვა გზა რომ აღარ დაგვრჩა, 2006 წლის 4 ივლისს ტელევიზიით გამოვედი და ვთქვი, რომ ჰიგიენური მოსაზრებიდან გამომდინარე, აქციებს ვწყვეტდით. იმავე დღეს გია ხუბუამ ბანდიტებად გამოგვაცხადა და მოითხოვა, რომ ჩვენთვის სტუდენტებთან ურთიერთობის უფლება წაერთმიათ. ღამით მომიტანეს სახლში უწყება, ჩვენ წინააღმდეგ საქმე აღძრეს, მერე გადააკვალიფიცირეს და აქეთ-იქით გვატარეს. **აი, ასეთ სიტუაციაში ხუბუამ ჩაატარა კონკურსი, გაყარა 2800 კაცი და უნივერსიტეტში შემოიყვანა კახა ლომაიასა და სააკაშვილის პარტიული აქტივი!**

**— თბილისის უნივერსიტეტის დამაქცევარი ხუბუა რომ ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორად გაამწესეს, თქვენთვის გასაკვირი არ არის?**

— დიახ, **გია ხუბუაზე** ოდიოზური ფიგურა უნივერსიტეტს არ ჰყოლია! იგი კახა ლომაიამ უნივერსიტეტში 2006 წლის 7 აპრილს მოიყვანა. გვიცხადებდნენ — ახალ რექტორს 16 საათზე მოიყვანენო, მაგრამ **ხუბუა** 14 საათზე შემოაპარეს უნივერსიტეტში. მაშინ ცხონებულმა **გურამ შარაძემ** გია ხუბუას უთხრა — **უნივერსიტეტში ქურდულად შემოხვედი და ქურდი ხარო!** ამის გამო ხუბუამ ბატონი გურამი ორი კვირით ციხეში ჩაასმევინა.

## აი, ამ ყველაფრის გამკეთებელი კაცი რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებული უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს, ამაზე მეტი გაუგებრობა და ნონსენსი რაღა უნდა იყოს?

ჩემს გაკვირვებას ისიც იწვევს, რომ ამ ყველაფერს სამართლებრივი შეფასება დღემდე არ მისცემია და ხუბუა დაუსჯელი დადის!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**რობინ დანიგანი**
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*



ძალიან გვაწუხებს **ზოგიერთი ანტიდემოკრატიული ქმედება,** ცრუ განცხადებები აშშ-ის შესახებ, ნეგატიური რიტორიკა. ჩვენ გვსურს, გავაგრძელოთ ერთად მუშაობა. **მზად ვართ, აღვადგინოთ ურთიერთობა,** იმედი მაქვს, მთავრობა გადადგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რათა **დავუბრუნდეთ პირვანდელ კურსს** — ჩვენ ყოველთვის ვიქნებით საქართველოს ხალხის მეგობარი და პარტნიორი.

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში **რობინ დანიგანს: როგორ შეიძლება ჩვენზე წინ იყოს ბანკირ ხაზარაძის პარტია, რომელიც ხალხს სძულს მაღალი ყაჩაღური საპროცენტო პოლიტიკის გამო?** მას ხმას მისცემს მხოლოდ ის, ვისაც ფულს გადაუხდის. ან რანაირად დაწერეს ჩვენზე წინ **ივანიშვილის** ექსპრემიერ **ბახარიას პარტია,** რომელიც **ასევე სიძულვილის საგანია ახალგაზრდებისათვის მიტინგებზე თვალების დათხრის გამო?** სირცხვილია იმ ორი დღის წინ დარეგისტრირებული **გვარამიას პარტიის** ჩვენზე წინ ჩაწერა, რომელიც **იყო წინა რეჟიმის პროკურორი და მე პირადად გამომიცხადა 25-წლიანი პატიმრობა,** რის გამოც 2008 წელს გულზე ოპერაცია დამჭირდა მიღებული სტრესისგან.

„აიპრესი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



საზოგადოების უმრავლესობისთვის სულერთია, **კეზერაშვილი** ვის დააფინანსებს, **მოპარული ფული მაინც არ შერჩებათ,** ადრე თუ გვიან ყველა აგებს პასუხს მართლმსაჯულების წინაშე. „პირველი არხი“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



ნებისმიერი მოქმედება, რომელიც **„ოცნებას“ უპირისპირდება,** დაკავშირებულია **ხელისუფლებაში ნაცმოძრაობის მოსვლასთან,** რომელიც პირდაპირ მოგვიწოდებს **ომში ჩართულობას.** „აიპრესი“

***2-პროცენტიანი პარტია „ლელოს“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის თაღლითობა აქამდე მხოლოდ ქართული სასამართლოს მიერ იყო დამტკიცებული, ახლა კი უკვე საერთაშორისო დონეზეც დადასტურდა.***

# კორძაძემ საერთაშორისოზე ვერ გააქაჩა!

საქმე ის არის, რომ გასულ კვირას პარიზის საარბიტრაჟო სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომლითაც **ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მამუკა ხაზარაძისა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ არცერთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა,** ანუ ხაზარაძემ და მისმა კონსორციუმმა საქართველოსთან სასამართლო დავა პირწმინდად წააგეს.

არადა, **ხაზარაძე,** ფრანგული არბიტრაჟის მეშვეობით, 4 წლის განმავლობაში ცდილობდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობისათვის **მილიარდნახევარი დოლარი** წაეგლიჯა!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ხაზარაძე ლამობდა, საქართველოს ბიუჯეტის თითქმის მეოთხედი ჩაეჯიბა და, ფაქტობრივად, ფინანსური კოლაფსის წინაშე დაეყენებინა ქართული ეკონომიკა, ჯანდაცვა, თავდაცვა, განათლების სისტემა და ყველა ის სფერო, რომელსაც „ლელოს“ ლიდერის მიერ ქართული სახელმწიფოსათვის წართმეული მილიარდნახევარი დოლარი, ანუ თითქმის 6 მილიარდი ლარი მოაკლდებოდა!**

**ხაზარაძე და მისი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოში იმას ჩიოდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საინვესტიციო ხელშეკრულება უკანონოდ გაუწყვიტა, არადა, რეალურად, **საქართველოს ხელისუფლებამ ხაზარაძეს ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით იმდენი რამ აპატია და მოუთმინა, რამდენსაც არცერთ ნორმალურ ქვეყანაში არცერთ უპასუხისმგებლო ინვესტორს არ მოუთმენდნენ და არ აპატიებდნენ.**

დიახ, **ხაზარაძესა და მის კონსორციუმს,** რომლებიც ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებდნენ და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად საჭირო ინვესტიციების მოზიდვას ვერ ახერხებდნენ, სახელმწიფომ კონტრაქტით თავდაპირველად გათვალისწინებული ვადა რამდენჯერმე გაუგრძელა და სახელმწიფო ბიუჯეტში პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი **11 მილიონიც** აპატია. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **საქართველოს მთავრობამ, რომელსაც იმხანად მამუკა ხაზარაძის მეგობარი გიორგი კვირიკაშვილი მეთაურობდა, უპრეცე-**



მამუკა ხაზარაძის მარადიული ვექილი ზვიად კორძაძე



ზვიად კორძაძის მარადიული კლიენტი მამუკა ხაზარაძე

**ხაზარაძეს პოლიტიკური ღირსებისა და თავმოყვარეობის ნატამალი რომ გააჩნდეს, პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ პოლიტიკიდან სამუდამოდ აიკრავდა გუდა-ნაბადს!**

## კვირგვინოსნები



**ბექა ძამაშვილი**
*იუსტიციის მინისტრის მოადგილე*

**ანაკლიის საქმეზე საქართველოს მიერ მოგებული დავა,** ფაქტობრივად, იყო ლოგიკური გაგრძელება და, შეიძლება, **დასასრულიც იმ შემოტევებისა,** რომლის წინაშეც ჩვენი სახელმწიფო ბოლო 7 წლის განმავლობაში იყო.

„POSTV“



**ვლადიმერ ბოძაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*

„**ხანდაზმულმა თაღლითებმა**“ საქართველოს წინააღმდეგ **საარბიტრაჟო სასამართლო წააგეს.** ბევრი სცადეს, მაგრამ ვერც ჩვენი მოსახლეობა მოატყუეს და ვერც სასამართლო. **1 500 000 000 დოლარს ითხოვდნენ საქართველოსგან იმის გამო, რომ თავად ვერ შეასრულეს აღებული ვალდებულება და ვერ მოიზიდეს ინვესტიციები,** 7-ჯერ მოითხოვეს ვალდებულების გადავადება და მხოლოდ ზღვის სანაპირო დაანაგვიანეს. საერთაშორისო სასამართლომ სათანადო ადგილი მიუჩინა **მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს,** ახლა ამომრჩევლის ჯერია — **26 ოქტომბერს მიუჩენს სათანადო ადგილს „ლელოს“.**

„აიპრესი“



**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*

არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გულდასაწყვეტია. ჩვენ გვაქვს **ანაკლიის** სწორ გზაზე დაბრუნების მარტივი გამოსავალი: **ეს მთავრობა, რომელიც რუსეთის ინტერესებს ემსახურება, შევცვალოთ პროევროპული კოალიციური მთავრობით.** ჩვენ ავაშენებთ **ანაკლიას!**

„რეზონანსი“



**ილია ვერძაძე**
*„ქართული ოცნების“ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი*

**ხაზარაძე-ჯაფარიძის** პოლიტიკური ავანტიურის კრახი სახეზეა. **თაღლითობით მოპოვებულ შემოსავალს მიჩვეულნი,** ამავე გზებით ცდილობენ პოლიტიკაში დივიდენდების მიღებას. „ინტერპრესნიუსი“

# ქართულ სასამართლოში „ასავალ-დასავალისათვის“ 500 თუმნის წამგლეჯმა მამუკა ხაზარაძემ პარიზის სასამართლოში საქართველოს მილიარდნახევარი დოლარი ვერ წაგლიჯა!

**დენტო ნაბიჯი გადადგა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ კაპიტალის შესავსებად 100 მილიონი დოლარის გამოყოფის ვალდებულება იკისრა.**

ცალკე საუბრის თემაა ის ძალზე საეჭვო და ბუნდოვანი გარემოებები, თუ როგორ გაიმარჯვა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ტენდერში **ხაზარაძის კონსორციუმმა,** რომელსაც ეკონომიკის სამინისტროში გაცილებით უფრო უარესი საინვესტიციო პაკეტი ჰქონდა წარდგენილი, ვიდრე მის კონკურენტ ჩინურ კომპანიას. ამის შესახებ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე არაერთხელ ვწერდით და აღარ გავიმეორებთ, მაგრამ ერთს კი შეგახსენებთ — **როცა ეკონომიკის სამინისტროში ანაკლიის პორტის მშენებლობის ტენდერი ჩატარდა, მინისტრის სავარძელში ხაზარაძის ძმაკაცი კვირიკაშვილი იჯდა, რომელიც შემდეგ პრემიერ-მინისტრად დაწინაურდა და სანამ პოსტს ინარჩუნებდა, ხაზარაძეს ყველანაირად უწყობდა ხელს, პორტის ასაშენებლად საჭირო მილიონები სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გამოეწოვა.**

საბოლოო ჯამში, როცა **ხაზარაძემ** ანაკლიის პორტის ასაშენებლად ვერც კერძო ინვესტიციები მოიზიდა და **კვირიკაშვილის** პრემიერობიდან მოხსნის გამო, ვეღარც სახელმწიფო ბიუჯეტის პარაზიტობა გააგრძელა, **საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, მისთვის კონტრაქტი გაეწყვიტა.** ჰოდა, გამწარებულმა ხაზარაძემ — **როგორ თუ ჩემი გასაკეთებელი საქმე სახელმწიფოს ვერ ავკიდე და ჩემი ჯიბის გასასქელებელი პორტის ასაშენებლად ხალხის ფული ვერ დავითრიეო** — საქართველოს ბიუჯეტის გატყავება პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოს გამოყენებით მოინდომა, თუმცა, ხელში რაც შერჩა, უკვე ვთქვით — **მისი სარჩელი არცერთ ნაწილში არ დაკმაყოფილდა და ქართული სახელმწიფოსათვის არათუ მილიარდნახევარი დოლარის ახევა ვერ შეძლო, არამედ ფრანგულმა არბიტრაჟმა იქით დააკისრა სახელმწიფოსათვის 650 000 დოლარის გადახდა.**

ასე და ამრიგად,

## უკვე საერთაშორისო დონეზეც ოფიციალურად დადასტურდა, რომ პარტია „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე გახლავთ ჩვეულებრივი თაღლითი, შულერი და ყაჩაღი, რომელიც საკუთარი ჯიბის გასასქელებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ჩამოქცევას ცდილობდა!

პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება **მამუკა ხაზარაძისათვის** არამხოლოდ სამართლებრივი, არამედ მორალური და პოლიტიკური განაჩენია, რადგან



გიორგი კვირიკაშვილი და მამუკა ხაზარაძე ანაკლიაში

## მისი და მისი უბადრუკი პარტიის პოლიტიკაში ყოფნას ამიერიდან ზუსტად ისეთივე ფასი აქვს, როგორიც სააკაშვილის გამონაცვალ ბოტასს, რომელიც სოფო ჯაფარიძის მიერ გახსნილ სააკაშვილისვე მავზოლეუმში ასვენია!

საერთოდ, **მამუკა ხაზარაძეს** პოლიტიკური ღირსებისა და თავმოყვარეობის ნატამალი რომ გააჩნდეს, პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ პოლიტიკიდან სამუდამოდ აიკრავდა გუდა-ნაბადს და თავის 2-პროცენტიან პარტიასაც თან გაიყოლებდა!

ისე კი, საინტერესოა, **რისი ან ვისი იმედი ჰქონდა ხაზარაძეს, როცა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მილიარდნახევარი დოლარის წასაგლეჯად ფრანგულ არბიტრაჟში სარჩელი შეჰქონდა?** მისი მუდმივი ადვოკატის **ზვიად კორძაძის** ხომ არ ეიმედებოდა? იმას ხომ არ ფიქრობდა — **რაკი კორძაძის ვექილობით „ასავალ-დასავალს“ სასამართლო დავა მოვუგე და 5 000 ლარი ავწაპნე, ახლა საერთაშორისო არბიტრაჟში ქართულ სახელმწიფოსაც გავძარცვავო?**

თუ ასე იყო, მაშინ ფაქტია, რომ **ხაზარაძის მარადიულმა ვექილმა კორძაძემ** საერთაშორისოზე ვერ გაქაჩა!

კაცმა რომ თქვას, **კორძაძეს** არც ადგილობრივ დონეზე გაუქაჩავს, რადგან **ხაზარაძემ „ასავალ-დასავალს“ სასამართლო დავა თავისი ვექილის ოსტატობის წყალობით კი არა, იმის გამო მოუგო, რომ მაშინ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან იყო ჩახუტებული, მისი ძმაკაცი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრად იჯდა და სასამართლოს ზედა ეშელონსაც პოლიტიკური დირექტივა ჰქონდა მიღებული** — ნებისმიერი დავა, რომელშიც ხაზარაძე და მისი კომპანიები მხარეებად იქნებიან წარმოდგენილი, მათ სასარგებლოდ უნდა გადაწყდესო!

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ **ხაზარაძის მარადიულმა ვექილმა კორძაძემ** საერთაშორისოზე ვერ გაქაჩა და მისი მარადიული კლიენტის სასარგებლოდ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს მილიარდნახევარი დოლარი ვერ წაგლიჯა!

ის კი არა, **ხაზარაძის მარადიულმა ვექილმა კორძაძემ** ახლა იმაზე უნდა იფიქროს, რომ პარიზის საერთაშორისო არბიტრაჟში დამარცხებულმა მისმა მარადიულმა კლიენტმა, რომელსაც ქართული სახელმწიფოსათვის 650 000 დოლარის გადახდა დაეკისრა, სულ მთლად უჰონორაროდ არ დატოვოს, **აქაოდა — სად მაქვს ფული, მე უბედურსო!**

„დათა თუთაშხიაში“ მევახშე **კაცა ბულავა** ხომ სწორედ ასე მოთქვამს — **„სად მაქვს ფული, მე უბედურსო!“** — და მევახშე მამუკა ხაზარაძეც ასე რომ აბღავლდეს, ვინმეს გაუკვირდება?

**ლიტერატურაში იქნება, კინოში თუ ცხოვრებაში, მევახშე ყველგან მევახშეა!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულმა სასამართლომ **მამუკა ხაზარაძეს** უთხრა — **მტყუანი ხარო!**

„რეზონანსი“

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



**ანაკლიის პორტთან** დაკავშირებით საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ თავისი სახელი დაარქვა ყველაფერს — **მამუკა ხაზარაძემ დავა წააგო,** ეს მისთვის რთული იქნება, მაგრამ ამის აღიარება მოუწევს. **ხაზარაძეს მოუწევს ბოდიში მოიხადოს!**

„ინტერპრესნიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



პოლიტიკოსები და იურისტები **მამუკა ხაზარაძესა** და „ლელოს“ **მაგრად წეწავენ,** შეიძლება, მათ ბევრი არ დაეტყოთ, დიდი ფული აქვთ, მაგრამ **ჩვეულებრივი მოკვდავებისა და იურისტებისთვის „ლელო“ ძალიან გემრიელი საკბილოა.**

„რეზონანსი“

**თამარ ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მე ვთვლი, რომ **ხაზარაძემ** დედის რძესავით შეირგო **ელისაშვილის** ბრალდებები. **ელისაშვილმა ხაზარაძეს** პირდაპირ ეთერში უთხრა, რომ **ციხეში კრედიტებს უხსნიდი ფეხებით ჩამოკიდებულ ხალხსო.**

„ახალი თაობა“

**ბერდია სიჭინავა**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



**მამუკა ხაზარაძისგან** ველით ბოდიშს **იმ აღვირახსნილ, ცილისმწამებლურ კამპანიაზე,** რაც ჩვენი გუნდის და საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოა.

„პალიტრანიუსი“

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №30–31*

# ლაზარე ჯორბენაძე:

# 2012 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ნაცებმა მარტყოფის, კოჯრისა და სენაკის ტყეებში დიდძალი იარაღი დამარხეს!



***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და იმ სისხლიან დროს იხსენებს, როცა სააკაშვილი და მისი მკვლელების ბრიგადები ქვეყანაში უმძიმეს სისხლიან პროვოკაციებს აწყობდნენ:***

— რაც პარიზის ოლიმპიადის გახსნაზე მოხდა, როცა საიდუმლო სერობის ბიბლიური სიუჟეტი შეურაცხყვეს, ეს არის სატანიზმი. **აქედან გამომდინარე, მივმართავ ქართველ ერს: საქართველოს ადგილი სატანისტების გვერდით არ არის!** ეს უკვე აღარ არის ევროპა, ეს სოდომ-გომორია, რომლის განუყოფელი ნაწილიც არის ნაცმოძრაობა! მე ძალიან ინფორმირებული ადამიანი ვარ, საუკეთესოდ ვიცი, რასაც ვამბობ და ამიტომაც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **ევროპაშიც და ამერიკაშიც ნაცმოძრაობის დამქირავებლები და კოლექტიური ნაცმოძრაობის შემქმნელები, ძირითადად, სწორედ სოდომისტები არიან!**

**— რამდენად რეალურია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ტერაქტი მზადდებოდა?**

— ეს აბსოლუტურად რეალურია, ამიტომ დავსვათ შეკითხვა — **ვინ შეიძლება მოახდინოს ტერაქტი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ და ვის აწყობს ეს?** აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია ხელს აძლევს ევროპისა და ამერიკის პოლიტიკოსების ლიბერალურ ნაწილს. საქვეყნოდ გახმაურებული ამბავია, რომ **ირაკლი კობახიძესაც** კი დაურეკა ევროკომისარმა **ოლივერ ვარჰეიმ** და უთხრა — **შესაძლოა, რობერტ ფიცოს ბედი გაიზიაროთ!** ვინმეს სჯერა, რომ ტრამპზე დაგეგმილი თავდასხმის შესახებ ამერიკის სპეცსამსახურებმა არაფერი იცოდნენ? არადა, იმავეს გაკეთება უნდათ საქართველოშიც. ახლა ყურადღება მივაქციოთ ერთ რამეს: როცა **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობის გამო **დათა ახალაია** კუდ-ის უფროსობიდან გადადგა და მისი მკვლელი ძმა **ბაჩო ახალაია** თავდაცვის მინისტრად დაინიშნა, მან ხელი დახვია და მთელი ეს საზიზღარი და საშინელი ადამიანები — **მკვლელები კუდიდან სულ თავდაცვის სამინისტროში გადმოიყვანა!** მაგალითად, **„კილერა“,** რომელიც მცემდა, რადგან ეგ და **ბაჩო ახალაია** ციხის ბუნტის საქმეზე პირადად დავკითხე, ციხის უფროსობიდან რომ გადადგა, 2011-2012 წლებში სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილე გახდა. მაშინ სამხედრო პოლიციაში **მეგის ქარდავას** მიჰყავდა პარადი. ისიც და **„კილერაც“,** ანუ იგივე **ალექსანდრე მუხაძე,** ფსიქიკურად მოშლილი ადამიანები, მკვლელები არიან. ბაჩო ახალაიამ თავდაცვის უწყებაში **კუდ**-იდან ასევე გადმოიყვანა **სოსო თოფურიძე,** რომელიც გენერალური ინსპექციის უფროსად დანიშნა. მოკლედ, მთელი თავდაცვა, ანუ ჯარი, ტერორში ჰყავდათ. უფრო მეტიც, **სოსო თოფურიძე და გიგი უგულავა** სინოდის სხდომებს უსმენდნენ და ჩანაწერებს აკეთებდნენ, ხოლო ციხეების მინისტრი ლილისფერი სპორტულებით არაერთხელ მინახავს ციხეში „წითელ პარასკევს“, ე.წ. კარანტინის დაშლის დღეს. სწორედ მის თვალწინ სცემდნენ პატიმრებს, რასაც ვიდეოკამერით იღებდნენ და მერე ამ ჩანაწერს მანიაკ სააკაშვილს აყურებინებდნენ.

**— ასე რომ, ზოგიერთი ნამუსგარეცხილი და პროვოკატორი დღეს რომ გამოდის და გაიძახის — ციხის კადრები დადგმული იყოო! — ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა?**

**— უბედურება, იცით, რა არის? ციხის კადრები ხომ სინამდვილეა და რაც იმ კადრებში ხდება, იმაზე უარესს მე მოგიყვებით, მაგრამ, ვინც ამას სჩადიოდა, ის ხალხი, თუ უმაღლეს ეშელონებს მხედველობაში არ მივიღებთ,**

## «დღეს ნამდვილი „ოცნება“

**სუყველა სისტემაში მუშაობს!**

მოკლედ, კუდ-სა და თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში — სამხედრო პოლიციასა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში მოკალათებული იყვნენ საშინელი ადამიანები. ახლაც მახსოვს, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობდა **ვინმე ებანოიძე,** რომელიც ნამდვილად სატანა იყო. **დათა ახალაიას დროს კუდ-ში მომუშავე მკვლელები და საშინელი ფსიქიკის მქონე ხალხი ებანოიძესთან და მეგის ქარდავასთან დაასაქმეს.** სწორედ ებანოიძისა და მეგის ქარდავას უწყებებში დასაქმებულმა მკვლელებმა და ფაშისტებმა წამებით მოკლეს საცოდავი **სერგო თეთრაძე** და **გია კრიალაშვილი.** ეს მკვლელები, მწამებლები და ფაშისტები, რომლებითაც **სააკაშვილი** თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობას ატერორებდა, რადგან ჯარს ნაცები არ ენდობოდნენ, დღეს მეგის ქარდავასა და ებანოიძის გარდა, ისევ თავდაცვის უწყებაში არიან ჩანერგილი და მარჯვე დროს ელიან. **ეს ის ხალხია, რომელიც უბინძურეს ჩანაწერებს აკეთებდა და მერე ამ ჩანაწერებს იარაღთან ერთად სამეგრელოში კასრებში მარხავდა.**

**— მეგის ქარდავა სადაც არის, ვიცით, მაგრამ ებანოიძე — თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად სად იმყოფება?**

— **ებანოიძე,** როგორც ვიცი, გადამდგარია, მაგრამ, ვინც **ბაჩო ახალაიას** დროს ებანო-

## „ნაცების მიერ საქართველოს ტყეებში დამარხული იარაღის შესახებ იციან: ბათუ ქუთელიას ძმამ გიგა ქუთელიამ, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ებანოიძემ და ამავე სამმართველოს მაღალჩინოსანმა გიორგი მაისურაძემ!“



ბათუ ქუთელია

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



**ესტონეთის ყოფილ პრემიერ კალასს,** რომელიც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი გახდა, **რუსეთში ჰქონდა ბიზნესი.** ამ დროს ეს ადამიანი ჩვენ გვმოძღვრავს და სისულელეებს ლაპარაკობს, **ჩვენთან ამოსაღები ხმა საერთოდ არა აქვს არავის,** იმდენად წესიერად ვიმოქმედეთ ამ ომის პერიოდში.

„FOR.GE“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



სირცხვილია **ალეკო ელისაშვილის** პატრიოტობაზე, მამულიშვილობაზე ლაპარაკი, **ხაზარაძე** ხომ საერთოდ ჩამოწერილია. მე მგონი, **ხაზარაძემ გადაუსწრო ბოკერიას და ნაცრეჟიმის სხვა წარმომადგენლებს ტოტალურ ანტიპათიაში,** რაც ქართველ საზოგადოებას მის მიმართ გააჩნია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი, ისტორიკოსი*



ივანიშვილი **ამერიკული ომის პარტიისთვის** არასასურველი ფიგურაა, რადგან მან **საქართველოს ომში ჩართვაზე** უარი განაცხადა.

„საერთო გაზეთი“

**ელიზბარ ჯაველიძე**
*ანალიტიკოსი*



26 ოქტომბრის არჩევნები სულ რომ მსოფლიო დემოკრატიის მამებს ჩაატარებინოთ, **ხაზარაძე, ბოკუჩავა-ხაბეიშვილი** მაინც დაიწყებენ, რომ **არჩევნები გაყალბდა,** რადგან ეს მათი პატრონების დაკვეთაა.

„რეზონანსი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



თუ რომელიმე მხარემ დამაჯერებლად არ გაიმარჯვა, **ძალიან არეული სიტუაცია გველოდება** 27 ოქტომბრიდან.

„რეზონანსი“

იძის შემდეგ სისტემაში მოვიდა, სუყველა იქ არის! მახსოვს, მაგალითად, მანდ იყო **იმედაშვილიც,** რომელიც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტის საქმეში მეცნო.

**— დიახ, ორი ძმა იმედაშვილი სუს-მა დაჰკითხა!**

— ორივე ვიცანი, რადგან ორივე მკვლელებთან ერთად მუშაობდა! ერთს **კუდ**-ში ჰქონდა მაღალი თანამდებობა, ხოლო მეორე სამხედრო პოლიციაში ფლობდა მნიშვნელოვან პოსტს. **ებანოიძე, ძმები იმედაშვილები, ბათუ ქუთელიას ძმა — გიგა ქუთელია,** რომელიც კუდ-ის პირველი თუ მესამე სამმართველოს უფროსი იყო და სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი **თემურ მაისურაძე** არიან ის ადამიანები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის მიზნით დაგეგმილი ტერაქტის საქმეში გამოძიებას სწორ კვალზე გაიყვანენ!

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

— თუნდაც ის ფაქტი, რომ უკრაინაში წათრეული და წაშავებული **ზურაბ ადეიშვილი და გია ლორთქიფანიძე** სწორედ ამ ხალხის მეშვეობით ახორციელებდნენ ტერორს და ეს ხალხი ნებისმიერ სისაძაგლეს მოაწერს ხელს! **გია ლორთქიფანიძე** — ჯერ **კუდ**-ის კახეთის სამმართველოს უფროსი, ხოლო შემდეგ **ვანო მერაბიშვილის** მოადგილე იყო. ამათ გარეშე **სააკაშვილის** რეჟიმი ვერაფერს აკეთებდა. ესენი იყვნენ ნომერ პირველი მკვლელები. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ნამდვილად ემუქრებათ საფრთხე, რადგან იმ წყეული კოჰაბიტაციის წყალობით, მთელი თავდაცვის სამინისტროს საშუალო და ქვედა რგოლი სწორედ ნაცმოძრაობის კადრებით — ზემოხსენებული მკვლელებითა და მათი ხელქვეითებით არის დაკომპლექტებული!

**იგივე მდგომარეობაა სუს-შიც, სადაც უმაღლესი ხელმძღვანელობის გარდა, სისტემის შუა და დაბალი რგოლი ასევე თავიდან ბოლომდე ნაცმოძრაობისა და ახალაიების კლანის წევრები არიან!** ეს ხალხი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული სააკაშვილის ტერორისტულ რეჟიმთან და ფლობს ინფორმაციას ბიძინა ივანიშვილის გადაადგილების, მარშრუტის შესახებ. აქედან გამომდინარე,

**საქმე, რომელსაც დღეს სუს-ი იძიებს, აბსოლუტურად რეალური მგონია და ბატონ ბიძინას ვურჩევ, სიფრთხილე გაასასკეთოს!**

ხაზგასმით ვაცხადებ: არ ვარ „ქართული ოცნების“ ფანი, მაგრამ დღეს ქვეყანაში შექმნილია ისეთი პოლიტიკური ვითარება, „ქართული ოცნების“ წაქცევა საქართველოს გაუბედურებას ნიშნავს!

**არ მომწონს, რომ ბიძინა ივანიშვილმა დაუჯერა „ქართული ოცნების“ ლიდერშიფში გამოჯგიმულ ყოფილ ენჯეოშნიკებს და მოსამართლეებისა და პროკურორების კლანს შეეკრა, მაგრამ დღეს რომ საქართველოში ომი არ არის, ეს პირადად ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა და ამისთვის მას მთელმა საქართველომ მადლობა უნდა გადაუხადოს!**

ღმერთმა ნუ ქნას, ბიძინა ივანიშვილს ამ მკვლელებმა რამე დამართონ, თორემ ქვეყანა თავზე დაგვემხობა. ბიძინა ივანიშვილი რომ განზე გადგეს, „ქართული ოცნება“ ხმების 10-15 პროცენტსაც ვერ მიიღებს!

მოდით, დავსვათ უმარტივესი შეკითხვა — ვინ წარმოადგენს დღეს „ქართულ ოცნებას“? პასუხი უმარტივესია — **„ქართულ ოცნებას“ დღეს წარმოადგენენ „ოცნებაში“ გადამხტარი ნაცები და ენჯეოშნიკები!** ანუ რეალურად თუ განვსჯით, დღეს ნამდვილი „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში არ არის! ასე რომ, თუ „ქართული ოცნება“ დამარცხდება, აქ ისეთი საშინელი ტერორი დაიწყება, სააკაშვილის ტერორი მონაგონი იქნება! ამიტომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა ეცადოს, ქვეყანა გადაარჩინოს! არ მინდა ამის თქმა, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკური სიტუაცია ისეთია, რომ „ქართული ოცნების“ გადარჩენა დღეს ქვეყნის გადარჩენას ნიშნავს!

**— მოკლედ, თქვენ ფიქრობთ, რომ ქართულ სპეცსამსახურებში ჩანერგილი ნაცები ტერაქტს ამზადებენ?**

**— ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ესენი არ მოისვენებენ!** პროკურატურა და სასამართლო თავიდან ბოლომდე ნაცების ხელშია, ხოლო სამხედრო პოლიციაში, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და სუს-ში საშუალო და დაბალი რგოლების დონეზე რაც ხდება, უკვე მოგახსენეთ.

ასე რომ, ეს ტერორისტები ახლა არიან ჩასაფრებული და მარჯვე დროს უცდიან, რათა ქვეყანა გადაატრიალონ! შიგნიდან, სპეცსამსახურებიდან მოწოდებული ინფორმაციის გარეშე ტერაქტი არ იგეგმება. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ეს შიდა ინფორმაცია ჟონავს და ამ ტერორისტებსაც სწორედ ამის იმედი აქვთ! ეს ყველაფერი დაკავშირებულია უკრაინასთან, რადგან **სააკაშვილის** ხელმძღვანელობით და **ზურაბ ადეიშვილისა და გია ლორთქიფანიძის** უშუალო მონაწილეობით, უკრაინაში წაიყვანეს დაახლოებით ათასამდე მებრძოლი, რომლებმაც საბრძოლო ოპერაციებში შეიძინეს დიდი გამოცდილება. თითოეული ეს მებრძოლი დაკავშირებულია **სააკაშვილთან, ადეიშვილთან და გია ლორთქიფანიძესთან,** უფრო მეტიც, მათგან დავალებულიც არიან და ამ ვირთხების გულისთვის თავსაც გაწირავენ.

**ადეიშვილი და ლორთქიფანიძე უკრაინაში გადახვეწილ მებრძოლებს ჰპირდებიან, რომ, თუკი ბიძინა ივანიშვილს დაამხობენ და ხელისუფლებაში მოვლენ, თითოეულ მათგანს ოქრო-ვერცხლში ჩასვამენ!**

ახლა ძალიან ცუდი რამ უნდა ვთქვა, რისთვისაც საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი: **2010 წლის ივლისში ტერორისტივით რომ დამიჭირეს და მაწამეს, ციხეში ღამის 3 საათზე მომიყვანეს ჩემი ძმა** — სააკაშვილის სასამართლოს ცნობილი მაღალჩინოსანი **ომარ ჯორბენაძე** და განმიცხადეს — **თუ ჩვენთან არ ითანამშრომლებ, შენ 30 წელს მოგისჯით, ხოლო შენს ძმას დავიჭერთო!** უნდა გადამერჩინა ჩემი თავიც და ოჯახიც... მოვაწერე ხელი სააკაშვილის მკვლელებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას, თუმცა, არაფერი არავის წინააღმდეგ არასოდეს გამიკეთებია, რადგან სააკაშვილის სპეცსამსახურები გადავაგდე... ვინაიდან თანამშრომლობის დოკუმენტზე ხელი მოწერილი მქონდა, ამ მკვლელებსა და უწიგნურებს უკვე თავისიანი ვეგონე და ჩემთან ისეთ რამეებს ლაპარაკობდნენ,

*გაგრძელება მე–14 გვერდზე*




## „დათა ახალაიამ მითხრა – დიდუბეში ხალხი უნდა შეკრიბო და ისე გააკეთო, თითქოს „ქართული ოცნების“ მომხრეებს არეულობის მოწყობა უნდათ!“

# ხელისუფლებაში არ არის!»




## „ინფორმაცია დამარხული იარაღის ადგილსამყოფლის შესახებ უნდა ჰქონდეს ვაჟა ლელუაშვილსაც, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ დაიჭირა და მერე გამოუშვა, ხოლო შემდეგ კვლავ ჩაიხუტა და დღეს მთელ ქვემო ქართლს ვაჟა ლელუაშვილი და მისი ძმაკაცები აკონტროლებენ!“

## კვირგვინოსნები



**ნანა კაკაბაძე**
*საზოგადოებრივი მოძრაობა „ყოფილი პოლიტპატიმრები საქართველოსთვის“ დამფუძნებელი*

საქართველოს ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ გაირკვეს — **რა დავალება აქვს ნაციონალურ მოძრაობას საქართველოს წინააღმდეგ!**



**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*

ხელისუფლებას საქმე ცუდად აქვს! **ნატურალური ამომრჩეველი ხელისუფლებას არ ჰყავს.** ნატურალურში ვგულისხმობ იმ ამომრჩეველს, რომელიც თვლის, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში უკეთესად იცხოვრებს.

„ახალი თაობა“



**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*

ევროპა თუთიყუშივით აჰყვა ამერიკას — **უნდა ვებრძოლოთ ყველაფერს, რაც ჩინეთს უწყობს ხელსო** და ერთ-ერთი საბრძოლო სამიზნე აღმოჩნდა საქართველო.

„თბილისელები“



**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*

**სალომე ზურაბიშვილი ზეპარტიული პოლიტიკოსია.**

„ახალი თაობა“



**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*

არასდროს გვითქვამს, რომ **რუსეთთან ვაჭრობა** უნდა შეწყდეს.

„რეზონანსი“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# ლაზარე ჯორბენაძე:
# „ქართული ოცნების“ გადარჩენა დღეს ქვეყნის გადარჩენას ნიშნავს!



თმები ყალყზე დაგიდგებოდა. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც სააკაშვილის მკვლელების ბუნაგი იყო, იურიდიულ რჩევებს სწორედ ჩემგან იღებდა. იურიდიულ რჩევებს მაშინ ასევე ჩემგან იღებდა კუდ-ის ხალხი. ზედამხედველად მომაგრებული მყავდა ეს მართლაცდა ვირთხა, ბათუ ქუთელიას ძმა **გიგა ქუთელია,** რომელიც სასწაულ რაღაცებს მიყვებოდა.

2012 წლის აგვისტო-სექტემბერში კუდ-მა, სამხედრო პოლიციამ, დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ და პროკურატურამ „ქართულ ოცნებაში“ ძალიან ბევრი აგენტი ჩანერგეს. მგონი, **ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილისა და ვახტანგ გომელაურის** გარდა, მაშინ „ქართულ ოცნებაში“ ყველა სააკაშვილის აგენტი იყო. აი, მაგალითად,

**დღეს, ვინც „ქართული ოცნების“ სათავეშია, სუყველა სააკაშვილის სპეც-სამსახურებისა და იმ ენჯეოების აგენტურაა, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ.**

2012 წლის 25 სექტემბერს, არჩევნებამდე ექვსი დღით ადრე, **ბათუ ქუთელიას** ვირთხა ძმამ **გიგა ქუთელიამ** დამავალა — მოდულის შენობის გვერდით, ეკლესიასთან მდებარე სახლის პირველ სართულზე კაფეა და იქ **იმედაშვილს** შეხვდიო!

**— თქვენ ამ დროს რას საქმიანობდით?**

— ამ დროს დიდუბეში „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს ვხელმძღვანელობდი და „ქართულ ოცნებას“ წარმოვადგენდი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. შევხვდი იმედაშვილს, რომელმაც კაფეში უკანა კარიდან შემიყვანა და რას ვხედავ — **დათა ახალაია** ზის მაგიდასთან! დავჯექი... **დათა ახალაიამ** მითხრა — დიდუბეში ხალხი უნდა შეკრიბო და ისე გააკეთო, თითქოს „ქართული ოცნების“ მომხრეებს არეულობის მოწყობა უნდათო! — გამორიცხულია, ხალხი ისეა შეშინებული, ამას ვერ გავაკეთებ-მეთქი! **დათა ახალაიას** ირონიულად ჩაეცინა — ხალხს ჩვენ მოგცემთ, „ქართული ოცნების“ მაისურებს გადავაცმევთ და პროვოკაციებს მოვაწყობინებთ, ხოლო მერე ჩვენ ვიცითო!

ესენი აპირებდნენ ასეთი რამ მოეწყოთ არამარტო დიდუბეში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა მერე დაეწყოთ საშინელი რეპრესიები და დაეხოცათ ხალხი! იზამდნენ კიდეც ამას, მაგრამ ამერიკის ელჩმა გადაარჩინა მაშინ საქართველო დიდ სისხლისღვრას. ამერიკელებმა სააკაშვილს უთხრეს, რომ არჩევნების გაყალბებას არ დაუკანონებდნენ და უნდა წასულიყო! რომ არა ამერიკის მტკიცე პოზიცია, **ბიძინა ივანიშვილი** ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა და **სააკაშვილი** სისხლის ტბებს დააყენებდა.

უშუალოდ 2012 წლის 1 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, 17 საათიდან **დათა ახალაიამ** სამჯერ დამირეკა და კატეგორიულად მომთხოვა, ხელი მომეწერა გაყალბებულ ოქმებზე, რომლის თანახმადაც „ქართულ ოცნებას“ არჩევნები წაგებული ჰქონდა. 17 საათზე და 19 საათზე რომ დამირეკა და მკითხა — რა ხდებაო? — მოვატყუე — სანერვიულო არაფერი გვაქვს, „ქართულ ოცნებას“ არჩევნები უსათუოდ წაგებული აქვს-მეთქი! მაგრამ 20 საათზე, როცა უბნები დაიხურა და **ახალაიამ** მესამეჯერაც დამირეკა, მაშინ ვუთხარი — დიდუბეში 56 უბანი უკვე წაგებული გაქვთ და 3 სპეცუბანზე თუ მოიგეთ, ეგ არ ვიცი, არჩევნები პირწმინდად გაქვთ წაგებული-მეთქი! — რას ამბობო?! — გაგიჟდა **დათა ახალაია.** რას ვამბობ და დაგერხათ-მეთქი! — ხვალ ამ სიტუაციას დავალაგებთ და ზეგ ისეთ რაღაცას დაგმართებ, სიცოცხლეს ინანებო! — დამემუქრა ახალაია. — ბიჭო, ხვალ ხელისუფლებაში აღარ იქნები და ვერაფერსაც ვერ მიზამ. დამელოდე, ერთი ხვალ შენთან უნდა მოვიდე, თუ გნახავ-მეთქი! ამაზე გაგიჟდა — შენ თუ არ გაგასაღო, კაცი არ ვიყოო! — არ მეშინია-მეთქი! — სპეცრაზმს გამოვაგზავნი და დაგარბევო! — აბა, სცადე, მზად ვარ, სისხლი დაიღვრება-მეთქი! 200 კაცი კარგად ნასვამ-ნაჭამი და შეზარხოშებული დიდუბეში მზად მყავდა და შტაბის წინ იდგა... **ეტყობა, დათა ახალაიამ ჩემი მზადყოფნის შესახებ შეიტყო, ზემოდანაც უთხრეს, რომ სიტუაციის გართულებას აზრი აღარ ჰქონდა და შემეშვა.** დიდუბიდან ყველაზე მაღალი, 72-პროცენტიანი გამარჯვება მოვუტანე „ქართულ ოცნებას“. „ქართული ოცნება“ 2012 წელს ხელისუფლებაში მოსასვლელად მზად არ იყო და გათვლა იმაზე კეთდებოდა, რომ ბიძინა ხმების 40 პროცენტს აიღებდა, მაგრამ ციხის კადრებმა თავიდან ბოლომდე გადატეხა სიტუაცია.

> „ივანიშვილი რომ განზე გადგეს, „ქართული ოცნება“ არჩევნებში ხმების 10–15 პროცენტსაც ვერ მიიღებს!“

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, რომ ძალიან საშიშია ის იარაღი, რომელიც ნაცებმა კასრებში ჩააწყვეს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამარხეს. მაინც ვინ იცის ამ იარაღის ადგილსამყოფელი?**

— 2012 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში დამუშავდა პროექტი — კასრებში ჩაეწყოთ დიდძალი იარაღი და მერე დაემარხათ, რათა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მოეწყოთ სამხედრო პროვოკაციები! ჩემი ინფორმაციით, 2012 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ნაცებმა დიდძალი იარაღი დამარხეს მარტყოფის, კოჯრის და სენაკის ტყეებში და განმუხურში, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან!

**— თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ იმ ხალხის ვინაობა, ვინც დამარხული იარაღის ადგილსამყოფელი იცის?**

— ნაცების მიერ საქართველოს ტყეებში დამარხული იარაღის შესახებ იციან: **ბათუ ქუთელიას ძმამ გიგა ქუთელიამ,** თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა უფროსმა **ებანოიძემ** და ამავე სამმართველოს მაღალჩინოსანმა **გიორგი მაისურაძემ;** იქ ასევე იყო ბატონი **თემური** — ულვაშიანი კაცი, რომელსაც სულ სხვადასხვა გვარი ჰქონდა; ინფორმაცია დამარხული იარაღის ადგილსამყოფლის შესახებ უნდა ჰქონდეს **ვაჟა ლელუაშვილსაც,** რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ დაიჭირა და მერე გამოუშვა, ხოლო შემდეგ კვლავ ჩაიხუტა და დღეს მთელ ქვემო ქართლს **ვაჟა ლელუაშვილი** და მისი ძმაკაცები აკონტროლებენ!

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**

## კვირგვინოსნები

**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ივანიშვილის** განცხადების შემდეგ, როდესაც მან **ღიად დადო ფსონი ტრამპის გამარჯვებაზე,** საქართველოსა და ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციებს შორის დაპირისპირებამ უფრო სხვა დატვირთვა და შინაარსი შეიძინა. **ამერიკის პოლიტიკურმა ელიტამ**, რომელშიც „რესპუბლიკელების“ საკმაოდ დიდი ნაწილიც მოიაზრება, **მიიღო გადაწყვეტილება ტრამპისტული პოლიტიკური ბანაკის ალაგმვის შესახებ** არჩევნების შემდეგ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

„ინტერპრესნიუსი“

**გია რონინიშვილი**
*მსახიობი*



26 ოქტომბერი იქნებ **ბოლო შანსია** ამ ქვეყნისთვის?!

„ახალი თაობა“

**ნოდარ ხარშილაძე**
*„სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელი*



„ქართულმა ოცნებამ“ **პროევროპულობის ილუზია დაკარგა** — ევროკავშირში სერიოზულად არის საუბარი **ვიზალიბერალიზაციის გაჩერების შესახებ** გადაწყვეტილებაზე.

„ინტერპრესნიუსი“

**მიხაილ პოდოლიაკი**
*უკრაინის პრეზიდენტის აპარატის მრჩეველი*



უკრაინა მზად არის **რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის,** მაგრამ მხოლოდ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

„აიპრესი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია, **დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები** დიპლომატიური გზით.

„რეზონანსი“

# გენერალისიმუსი

**№39 (275) ★ 2024 წლის 5 აგვისტო ★ გამოდის 2003 წლიდან**


***2024 წლის 10 აგვისტოს 16 წელი შესრულდება იმ ავბედითი და სამარცხვინო დღიდან, როცა ნაცების ბელადი მიხეილ სააკაშვილი ხალხთა ბელადის იოსებ სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში მიწაზე გაგორდა და მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ ქვეყანას, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ომის მომგები გენერალისიმუსი შვა, 21-ე საუკუნეში გულდედალი და მფრთხალი არსება მართავდა.***





**ნაცთა ბელადი სააკაშვილი გორში 2008 წლის 10 აგვისტო**

# 16 წლის წინათ, 2008 წლის 10 აგვისტოს, ნაცთა ბელადი ხალხთა ბელადის მშობლიურ ქალაქში გაგორდა!

მიუხედავად იმისა, რომ **2008 წლის 10 აგვისტოს** ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებები უკვე დასრულებული იყო და ნაცების ხელისუფლებას **ახალგორის რაიონი და „ზემო აფხაზეთად“ წოდებული კოდორის ხეობაც** რუსი ოკუპანტებისათვის ჰქონდა ჩაბარებული, სააკაშვილმა გორში მარტო ჩასვლა ვერ გაბედა და თან წაიყვანა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი **ბერნარ კუშნერი,** რომელიც შემდეგ თვალებგაფართოებული და ყბაჩამოვარდნილი შესცქეროდა რუსული თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე დაფეთებული ნაცბელადის სპრინტერულ გარბენს შორიახლოს მდებარე ბუჩქებისაკენ.

**ისე გამოვიდა, რომ ნაცების ბელადმა სირცხვილი პირდაპირ მაღალი რანგის ევროპელი სტუმრის თვალწინ ჭამა, თუმცა, მარტო კუშნერის თვალებს ვინ ჩივის, როცა სააკაშვილის გაქცევისა და მიწაზე ფორთხვის კადრები სხვადასხვა უცხოური ტელეარხის ეთერში მთელმა მსოფლიომ იხილა.**

მოკლედ, იმ დღეებში რუსული დათვის მიერ დატორილ და სისხლიანი ცრემლებით მოტირალ საქართველოს ოკუპანტის ტყვიებისა და ბომბების ცეცხლთან ერთად სირცხვილის ალმურიც წვავდა, რადგან თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე გაკურდღლებულ და მიწაზე გართხმულ სააკაშვილს, ასე თუ ისე, მაინც ქართველი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და მთავარსარდლის სტატუსი ჰქონდა.

სახელოვანმა ქართველმა პუბლიცისტმა და მწერალმა, სააკაშვილისა და მისი რეჟიმის შეურიგებელმა ოპონენტმა **თამაზ წივწივაძემ** თავისი გაზეთის — **„ლიტერატურული საქართველოს“** ფურცლებზე მაშინ ისიც კი დაწერა, რომ **სააკაშვილი ბუჩქებისაკენ შიშის გამო არ გაქცეულა, არამედ თანმხლები სტუმრის — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის უსაფრთხოებაზე იზრუნა და რუსული თვითმფრინავი თავისკენ გაიტყუა.**

მართალია, თამაზ წივწივაძე სარკაზმის დიდოსტატი იყო, მაგრამ მის ამ სიტყვებში მწარე ირონიასთან ერთად იმის მცდელობაც იგრძნობოდა, რომ სააკაშვილის მიწაზე ფორთხვისათვის რამენაირი გამართლება მოეძებნა და საქართველოსათვის ცოტათი მაინც ჩამოერეცხა სირცხვილის ტალახი, რომელიც მას თავისი პრეზიდენტის დედლობით მოეცხო.

თუმცა, სახელოვანი პუბლიცისტი, სამწუხაროდ, ამაოდ დაშვრა!

**შიშისაგან წამხდარი ნაცბელადის გაქუსვლისა და მიწაზე ფორთხვის სამარცხვინობას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ სტალინის დაბადების დღეს — 21 დეკემბერს დაბადებული სააკაშვილი მაინცდამაინც სტალინის მშობლიურ ქალაქში — გორში გაგორდა!**

აბა, შევხედოთ, როგორი კონტრასტია:

**ქართულ მიწაზე სხვადასხვა საუკუნის სხვადასხვა წელს, მაგრამ ერთი და იგივე თვის ერთსა და იმავე დღეს დაიბადა ორი პოლიტიკოსი, რომელთაგანაც პირველმა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ომი მოიგო, ხოლო მეორემ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე ომის წაგებაც არ იკმარა და შიშისაგან ცხვირით მიწა მოხნა!**

ეს კონტრასტი განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი იყო განდიდების მანიით შეპყრობილი სააკაშვილისათვის, რომელსაც ძლიერ უყვარს საკუთარი თავის გატოლება ისეთ დიდ ისტორიულ ფიგურებთან, როგორიც, მაგალითად, დავით აღმაშენებელი ან გნებავთ, ჯორჯ ვაშინგტონია.

ჰოდა, **ხალხთა ბელადის მშობლიურ ქალაქში შერცხვენილმა და თავმოჭრილმა ნაცთა ბელადმა სტალინზე შური იმით იძია, რომ გორის ცენტრში მდგარ მის ძეგლს ღამით საკუთარი მსტოვრები მიუქსია, პიედესტალიდან ჩამოაგდო და სადღაც სანაგვეზე მიუჩინა ადგილი.**

**კი, გორის ცენტრში სტალინის ძეგლის დამხობა სხვა არაფერი იყო, თუ არა ბოღმიანი და კომპლექსიანი სააკაშვილის შურისძიება ხალხთა დიდ ბელადზე იმის გამო, რომ ნაცთა ბელადმა თავისი ყოფითი და პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე დიდი სირცხვილი სწორედ მის მშობლიურ ქალაქში ჭამა!**

**ცხადია, ძეგლის დამხობით სააკაშვილმა სტალინის სიდიადეს ვერაფერი დააკლო, ხოლო პატარა გორი, რომლის მიწაზეც შეშინებული ნაცთა ბელადი სამარცხვინოდ გორავდა, კვლავინდებურად დიდია, რადგან იქ ხალხთა ბელადი და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ომის ტრიუმფატორი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი დაიბადა!**

***გიორგი ძაძამია***

## პატარა გორი დიდია! ★



გამოქანდაკებულს, არამედ ცოცხალს, ხორცშესხმულს.

**მაშინ ამ სტრიქონების ავტორს თექვსმეტი წელი უსრულდებოდა. ყოველი ჩვენგანი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულით იყო აღ-**

ბის მაშინდელმა მინისტრმა **რუხაძემ** — ჯუჯა სადისტმა — დააყენეს სტალინის წინაშე საკითხი (ამის შესახებ სტალინის სიკვდილის შემდეგ მოგვითხრო **ანასტას მიქოიანმა**), რომ მამა გაერიცხათ პარტიიდან და მთე-

სამი ლიმუზინი ნელი სვლით შემოვიდა პარკში და ხუთიოდე წუთის შემდეგ გაჩერდა სახლის წინ, პატარა მოედანზე. ის გენერალი, რომელმაც შეატყობინა კალინინს — სტალინი გესტუმრებაო, სწრაფად გადმოხტა შუამანქანის წინა დასაჯდომიდან, გამოაღო შუაკარი და გაშეშდა ჩვეულ (ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა) მოწიწებულ-აღფრთოვანებულ პოზაში.

სტალინი მსუბუქად გადმოვიდა მანქანიდან და მოკლე, მტკიცე ნაბიჯებით გაემართა კალინინისაკენ. სიარულის დროს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ იხრებოდა. სტალინი გადაეხვია კალინინს, მაგრამ არ უკოცნია.

**მელსაც გაზეთებში ხატავდნენ მარშლის სამოსელში, ოქროს პაგონებით, აღმოჩნდა უღმერთოდ დაჭმუჭნილ ფლანელის კიტელსა და შარვალში, წინ წაცვეთილ, დაბებკილ ფეხსაცმელში. ამ სანახაობამ ისე დამარეტიანა, რომ საკმაოდ დაგვიანებით დავაცქერდი მის სახეს, იერსა და მთელ მის გარეგნობას.**

**მას პროპორციული აგებულება ჰქონდა და როცა თანამოსაუბრეს ჩამოსცილდებოდა, დაბალი ტანისა არ ჩანდა. ვადასტურებ: არავითარი გრძელი ხელები, არავითარი მსხვილი თითები, არავითარი ხორციანი ცხვირი, არავითარი ჩაცვენილი მკერდი და ჩამო-**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დევი სტურუა წლების მანძილზე მუშაობდა ქართულ პრესაში. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის თანაშემწე, 1961-1970 წლებში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ხოლო 1971-1991 წლებში — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი.*

## დევი სტურუა

# რაც მინახავს და

1946 წლის გაზაფხული იყო.

ერთ კვირადღეს ჩვენთან ბინაზე აწკარუნდა ტელეფონის აპარატი „ვჩ“. ყურმილი მე ავიღე.

— თქვენ გელაპარაკებათ **მიხეილ ივანეს ძე კალინინის თანაშემწე,** გთხოვთ, მოუხმოთ აპარატთან **გიორგი თედორეს ძეს.** მასთან **მიხეილ ივანეს ძეს** სურს საუბარი.

ბედზე მამა შინ აღმოჩნდა. იგი კარგად იცნობდა კალინინს, — ისინი ერთად მუშაობდნენ არალეგალურად თბილისში. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი მამა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მისი მოადგილე იყო.

კალინინი რამდენიმე დღით პატიჟებდა მთელ ჩვენს ოჯახს სინოპში. დედა შეუძლოდ იყო, ჩემი ძმა — **მელორი** მოსკოვში სწავლობდა, ასე რომ, სოხუმში მეორე დღესვე გავემგზავრეთ მამა და მე.

მიუხედავად მძიმე სენისა (შორს წასული შაქრის დიაბეტი), კალინინი მხიარულად შეგვეგება.

სინოპში ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღესვე სტუმართმოყვარე მასპინძლის ნება-სურვილით მე „დამაწინაურეს“ მის „მდივნად“. რაში გამოიხატებოდა ეს? ძირითადად იმაში, რომ მე მას ხმამაღლა ვუკითხავდი საგაზეთო სტატიებს. ხშირად ის შემაწყვეტინებდა კითხვას შეძახილით: „ეს სისულელეა!“ და მავალებდა, გადავსულიყავი სხვა მასალაზე. ასეც ხდებოდა, რომ „პრავდისა“ ან „იზვესტიის“ ესა თუ ის ნომერი, კალინინის აზრით, პირწმინდად „სისულელეებისაგან“ შედგებოდა, რაც მაშინ, მართალი გითხრათ, ძალზე მაკვირვებდა.

სინოპში ჩვენი უდარდელი ყოფნის მესამე თუ მეოთხე დღეს, სმეცკოის ვილას მოადგა „ზისი“. მანქანიდან გადმოვიდა საშუალოზე ცოტა მაღალი, საკმაოდ სრული გენერალი. იგი მიესალმა მხოლოდ კალინინს და უთხრა:

**— ორი საათის შემდეგ თქვენ გინახულებთ ამხანაგი სტალინი.**

ამის შემდეგ იგი ჩაჯდა თავის „ზისში“ და წავიდა. ალბათ, ეს იყო სტალინის პირადი დაცვის უფროსი **ვლასიკი.** დამამახსოვრდა მისი ტიპური რუსული სახე და გულკეთილი იერი.

მამამ კალინინს უთხრა, — სოხუმის სასტუმროში გადავბარგდებითო, რაზეც მასპინძელმა უპასუხა:

— არავითარ შემთხვევაში. ამხანაგი სტალინი აქ ნახევარ საათზე მეტს არ დააყოვნებს, ასე რომ, დარჩით, თუ ღმერთი გწამთო.

ჩემდა ბედად, მამა მასპინძელს არ გაუძალიანდა და ჩვენ ყველანი — კალინინი, მამა, დაცვა, ექიმი და მდივანი, სტალინის მოლოდინში ვსეირნობდით სმეცკოის ვილის წინ მდებარე მომცრო მოედანზე.

ცოტა ხნის შემდეგ ცენტრალური ალაყაფის კარით პარკში შემოვიდა ჯარისკაცებით სავსე სამი სატვირთო ავტომობილი. ჯარისკაცები მყისვე გადმოხტნენ და აქა-იქ გაიბნენ, ყოველგვარი ბრძანების გარეშე. ოდნავ მოგვიანებით პარკში შემოვიდნენ მსუბუქი ავტომანქანები, საიდანაც გადმოვიდნენ სახელმწიფო უშიშროების ოფიცრები და ისინიც პარკის სიღრმეში მიიმალნენ.

ბოლოს პარკში ნელი სვლით შემოვიდა სამი ლიმუზინი და მე თავბრუსხვევა ვიგრძენი, — ნუთუ ახლა, აი ამ წუთს ვიხილავ სტალინს არა გაზეთში, ტილოზე თუ ქვაში

**ზრდილი, თუმცა, ჩემმა ძმამ მელორმა და მეც მამისაგან ვიცოდით, რომ, ვინც დაიღუპა ოციან და ოცდაათიან წლებში, სულაც არ ყოფილა „ხალხის მტერი“.** როცა მელორს თექვსმეტი წელი შეუსრულდა, მამამ მას ტიციან ტაბიძის ლექსთა ერთტომეული აჩუქა, ხოლო როცა მე თვრამეტი წელი შემისრულდა, მამამ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „არსენა მარაბდელი“ მაჩუქა. ორივე — ტიციანიცა და ჯავახიშვილიც 1937 წელს დაიღუპნენ. ზუსტად ორი წლის შემდეგ, მას მერე, რაც ჩვენ სინოპში კალინინთან ვსტუმრობდით, მამამ დასვა საკითხი უდანაშაულოდ დაღუპულთა რეაბილიტაციის თაობაზე და ამის გამო მოხსნილ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, როგორც ადამიანი, რომელმაც უთანაგრძნო განადგურებულ ტროცკისტებს (დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია დაწვრილებით გაეცნოს ამ საკითხს საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივში. — ოქმი „განსაკუთრებული საქაღალდე“ № 696, გვ. 6-43).

საქართველოს კომპარტიის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ და სახელმწიფო უშიშროე-

ლი მისი ოჯახი გაესახლებინათ შუა აზიაში. მაგრამ სტალინს ამაზე თანხმობა არ მიუცია. მიქოიანის გადმოცემით, სტალინს უთქვამს: **„ეტყობა, ქართველ ამხანაგებს სტურუა არ სურთ, ჰყავდეთ ხელმძღვანელ ბირთვში. სტურუა ყოველთვის იყო თავისებური და ჯიუტიც კი. წლების კვალდაკვალ ეს თვისებები ალბათ უფრო გაღვივდა. ჩემი წინადადებაა, დავეთანხმოთ ქართველ ამხანაგებს და გავათავისუფლოთ სტურუა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობიდან. რაც შეეხება დანარჩენს — მისი პარტიიდან გარიცხვასა და გასახლებას, თითქოსდა ტროცკისტების მიმართ თანაგრძნობისთვის, ეს სისულელეა. მას დიდი დამსახურება მიუძღვის პარტიის წინაშე. მიეცეს პერსონალური პენსიის მაქსიმუმი და არავინ გაბედოს მისი ხელის ხლება“.**

ამ წიაღსვლას აქვს პირდაპირი კავშირი ძირითად თხრობასთან, განსაკუთრებით იმასთან, რაც უთხრა სტალინმა მამას სმეცკოის ვილის წინ.

შემდეგ თავის ოდნავ შესამჩნევი დაქნევით მიესალმა ყველა დანარჩენს, ვინც გაშეშდა სახლის წინა პატარა მოედანზე. როცა სტალინის მზერა მამას დაეცა, მის თვალებში ოდნავი გაკვირვება გამოკრთა. ასეთივე მოკლე, მტკიცე ნაბიჯებით გაემართა იგი მამისაკენ, ხელი ჩამოართვა და მცირე პაუზის შემდეგ ქართულად ჰკითხა: **„შენ ისევ ისეთი ახირებული ხარ, გიორგი?“** მამამ არ უპასუხა. შემდეგ სტალინმა შემხედა მოზღვავებული გრძნობებისაგან გახევებულ ჭაბუკს, გაიღიმა და თავისი პატარა, ლამაზი ხელი გამომიწოდა. მე ჩამოვართვი ხელი და ვიგრძენი, რომ მიწა მეცლება.

**სტალინს ეცვა მოყვითალო ფლანელის კიტელი და ფლანელისვე შარვალი. კიტელიცა და შარვალიც უღმერთოდ იყო დაჭმუჭნილი. ფეხებზე ეცვა შტიბლეტები (ნახევარჩექმა), წინ საგრძნობლად წაცვეთილი და გვერდებზე დაბებკილი (ეტყობა, ჩვეულებრივი ფეხსაცმელი პოდაგრულ სახსრებს აწვებოდა).**

**ეს ყველაფერი წარმოუდგენელი იყო! სტალინი, რო-**

**შვებული მხრები. ეს იყო კარგად შეკრული ქართლელი გლეხი, რომელიც რაღაც მანქანებით გარდასახულიყო სტალინად და უღმერთოდ არღვევდა კანონს, წარმოიდგინეთ, ყველა იმ გარეგნული ხინჯის გარეშე, რაც მას მიაწერეს ისტორიკოსების, მწერლების, პუბლიცისტების, მემუარისტების მთელმა ლეგიონებმა.**

ხარბად ვაგრძელებ სტალინის „ფოტოგრაფირებას“ მზერით. **გამართულ მხრებზე ყინჩად მჯდარი სწორი ფორმის თავი. თმა თითქმის მთლად გაჭაღარავებული, ასევე ჭაღარა ულვაშები, ტუჩებთან ახლოს გაყვითლებული, როგორც ჩანს, ხშირი მოწევის შედეგი (სხვათაშორის, იმ ორმოციოდე წუთის განმავლობაში, რაც სტალინი სინოპში სტუმრობდა, მას არც ერთხელ არ ამოუღია ჯიბიდან თავისი ლეგენდარული ჩიბუხი და არც ჩვეულებრივი პაპიროსი მოუწევია). წარბები თმებთან შედარებით უფრო მუქი, ხოლო წარბებქვეშ — ეს მე კარგად დამამახსოვრდა — საოცრად ახალგაზრდა შავი ან მუქი წაბლისფერი თვალები, ოდნავ ნუშისებრი. რა ვქნა, კიდევ ერთხელ მომიწევს ამ კაცის დაჩემებული სპეციალისტების გაწბილება. არავითარი თვალების სიყვითლე და გლაუკომით გამოწვეული სიმღვრივე.**

„მსურდა აღელვება, განგაში ამომეკითხა მის თვალებში, ფოცხვერისას რომ მიუგავდა“, — წერს თავის მემუარებში **უინსტონ ჩერჩილი,** აღადგენს რა იმ ეპიზოდს, როცა სტალინმა გარეგნულად არავითარი რეაგირება არ მოახდინა **ტრუმენის** ინფორმაციაზე ამერიკელების მიერ ატომური ბომბის წარმატებული გამოცდის თაობაზე. მართლაც, როცა სტალინი გაგანია მზეზე დგომისას თავის ოდნავ ნუშისებრ თვალებს ჭუტავდა, ისინი რაღაცით ფოცხვერისას ჩამოჰგავდნენ.

ორმოცმა წუთმა წამივით გაირბინა... ასევე მსუბუქად დაჯდა სტალინი ძველი, პეწგადაცლილი მრავალადგილიანი „პაკარდის“ შუა დასაჯდომზედ. **ვლასიკმა** ფრთხილად მიხურა უკანა კარი, თვითონ მძღოლის გვერდით დაჯდა და ლიმუზინე-



ბი ისევე დინჯად, როგორც პარკში შემოვიდნენ, დაიძრნენ ადგილიდან. ზღაპარი მალე დამთავრდა. ანგარიშმიუცემლად ვუყურებდი, როგორ ჩასხდნენ მსუბუქ ავტომანქანებში ოფიცრები, სატვირთო მანქანებში კი — ჯარისკაცები და თვალს მიეფარნენ. სმეცკოის პარკი ჩვეულ ცხოვრებას მიეცა.

•

მეც თანდათანობით ვერკვეოდი და ჩემ წინ ისახებოდა ახალი პრობლემა — **რატომ მისცა სტალინმა ასეთნაირი შეკითხვა მამას, რომელიც, ჩემი აზრით, სრულებითაც არ იყო ახირებული?**

ფლები აღარ დარჩათ, რათა რეაბილიტაციის საკითხი დაესვათ.

მაგრამ საჯაროდ სტალინის წინააღმდეგ გამოსვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

1956 წლის მარტი მან მძიმედ გადაიტანა, თუმც რომელ მძიმედ გადატანაზე ვამბობ? ის ამავე წლის პირველ აპრილს გარდაიცვალა.

— ეს როგორ მოხდა? — წუხდა და ბორგავდა მამა, — ესროლეს ბავშვებს, რომლებსაც ყურები გამოუჭედეს იმით, რომ სტალინი ყველა დროისა და ყველა ქვეყნის გენიალური ბელადია, რომ მან საქართველოს დიდება მოჰფინა მთელს პლანეტას და რა არის გასაკვირი იმაში, რომ ეს ბავშ-



რიც იქნებოდა, რომ ეს მასა, ის კი რჩეულთაგან იყო შემდგარი, სხვაგვარად მოქცეულიყო.

კიდევ ერთხელ ვადასტურებ: არ იყო არავითარი შიში, რაიმე ძალდატანების ელემენტი. შეიძლება ასეთ რამეს ჰქონდა ადგილი ოცდაათიან წლებში, მაგრამ 44-ის ნოემბერში იყო აღფრთოვანება, აღმაფრენა, „ღვთაებასთან“ შეხების დიდი სიხარული.

საოცარია, რომ ამდენი საზეიმო

მეორე მომენტი, რომელიღაც წამს სტალინს მიაშვირეს ყველა პროჟექტორი „იუპიტერი“. სტალინი ლამის აღარ ჩანდა ოქროსფერ საბურველში გახვეული. იგი შეჩერდა. მთელი კორპუსით მობრუნდა ჯერ ერთ მხარეს, მერე — მეორეს. ეს საკმარისი აღმოჩნდა. „იუპიტერები“ იმწამსვე შეტრიალდნენ დარბაზისკენ.

სტალინი გამოვიდა ტრიბუნასთან ყოველგვარი საქაღალდეების გარეშე. მოხსენება, როგორც ჩანს, წინასწარ იყო დადებული ტრიბუნაზე. სტალინი ლაპარაკობდა ისე, რომ პირდაპირ დარბაზს შეჰყურებდა, მოგრძო პაუზებით. იშვიათად ტრიბუნის პიუპიტრს დაჰკრა-

# რაც მსმენია!

ვდა მზერას, ტექსტს რომ ძალიან არ ასცდენოდა.

•

მამა, ჩემი უფროსი ძმა **მელორი** და მე ვიყავით ისტორიულ გამარჯვების პარადზე 1945 წლის ივნისში. დამამახსოვრდა, როგორ წამოასხეს სტალინს ლაბადა, რომ დაეფარათ წვიმისაგან და როგორ ნიშნისმოგებით გახევდა ის, როცა საბჭოთა მებრძოლებმა ლენინის მავზოლეუმთან ჰიტლერული შტანდარტები დაანარცხეს.

საზეიმო სხდომას, რომელიც გაიმართა მოსკოვის დიდ თეატრში და მიეძღვნა სტალინის 70 წლისთავს, ვესწრებოდით მამა, მელორი და მე. მოსაწვევი ბილეთები გვიშოვა **ანასტას მიქოიანმა,** მიუხედავად იმისა, რომ მამა უკვე „შერისხული“ გახლდათ.

ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ მიქოიანი, ცნობილი თავისი განსაკუთრებული სიფრთხილითა და დიპლომატიური ნიჭით („От Ильича до Ильича без инфаркта и паралича“) ერთ რამეში იჩენდა გასაოცარ სითამამესა და კეთილშობილებას. მის სუფრასთან ისხდნენ არამარტო „შერისხულები“ და მათი შვილები, არამედ იმ რეპრესირებული ამხანაგების უახლოესი ნათესავები, რომლებსაც მიქოიანი იცნობდა და რომლებთანაც ერთად მუშაობდა იატაკქვეშეთში. მიქოიანმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ სტალინს მოახსენებდნენ მისი ამ „სისუსტის“ თაობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, სტალინი ამას ყველაფერს გულგრილად ან გაგებით ექცეოდა, სხვა შემთხვევაში მიქოიანის საქმე აუცილებლად გართულდებოდა. ასეა თუ ისე, ვიმეორებ, მიქოიანებთან სადილებზე და ვახშმებზე ხშირი სტუმრები იყვნენ რეპრესირებულთა და შერისხულთა ნათესავები, ხოლო მიქოიანის უმცროსმა შვილმა სერგომ სულაც ცოლად შეირთო ყბადაღებულ ლენინგრადის საქმეზე დაპატიმრებული და დახვრეტილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **კუზნეცოვის** ქალიშვილი ალა.

სტალინის 70 წლისთავის ზეიმზე ბევრი რამ დაწერილა. სხვადასხვა დროს ბევრი გულისამრევი დაშაქრული სიტყვა თქმულა, ხოლო მერე ბევრი ღვარძლიც დანთხეულა.

შევჩერდები მხოლოდ ერთმომენტზე.

მას შემდეგ, როცა სტალინს მიესალმა **მაო ძე დუნი** (ის ლაპარაკობდა დიდხანს, მოულოდნელად მისი მძიმე ფიგურისათვის მაღალი, თითქმის წვრილი ხმით), ტრიბუნაზე ავიდა ახალგაზრდა ქერა მთარგმნელი და სხარტად დაიწყო: **„ძვირფასო ამხანაგო სტალინ...“** აქ გაისმა სტალინის მკვეთრი, მოწყვეტილი შეკითხვა: **„ვინ არის ეს, რომ მესალმება?“** თავმჯდომარე, ეს იყო **შვერნიკი,** დაიხარა მისკენ და რაღაცა ჩასჩურჩულა, ალბათ, უთხრა, რომ ეს მთარგმნელიაო. სტალინმაც, თავის მხრივ, რაღაცა უთხრა შვერნიკს, რომელმაც უხმო თავის (ალბათ) თანაშემწეს და დავალება მისცა. თანაშემწე მივიდა მთარგმნელთან, გააჩერა იგი, და, როგორც ჩანს, მისი გვარი და სახელი იკითხა. საბოლოოდ შვერნიკმა დარბაზს აუწყა, რომ ესა და ეს კაცი თარგმნის ჩინურიდან რუსულად ამხანაგ მაო ძე დუნის სიტყვას. „აი ასე“. — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა იუბილარმა და ინციდენტი ამით ამოიწურა.

რა არ უთხრეს იმ დღეს სტალინს, როგორ არ შეამკეს, რა არ უმღერეს! ასეთი კონცერტრირებული და ასეთი უზომო დოზებით ლიქნა არ ღირსებია, დარწმუნებული ვარ, არამარტო იულიუს კეისარსა და ნაპოლეონს, არამედ თავისი პირადი განდიდების უდიდეს ორგანიზატორს — ნერონსაც კი. **სტალინი ყველაფერს ამას ისმენდა მშვიდად, მის სახეზე ერთი ნერვიც არ განძრეულა. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ გუნებაში ის აბუჩად აგდებით, ზიზღითაც კი პასუხობდა ფარისეველთა გულისამრევ მეცადინეობას.** მან, მსოფლიოში უდიდესმა რეალისტმა და ცინიკოსმა, რაღა თქმა უნდა, შესანიშნავად იცოდა ამ მეხოტბეთა ალავერდის ჭეშმარიტი ფასი. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ **სტალინმა არც კი ინება უბრალო მადლობა ეთქვა იმათთვის, ვინც ასე ურცხვად და ყოველგვარი ზომიერების გარეშე ოსანას უმღეროდა ამ სუპერღმერთს, მხრებზე მარშლის პაგონები რომ ჰქონდა დამაგრებული და სახე ქართლელ გლეხს მიუგავდა.** ეს მართლაც დაუჯერებელი იყო, — ერთი სიტყვა — მადლობაც კი არ გაიმეტა, ისე უბრალოდ მიიღო ყველაფერი.

როცა წინა საკონცერტო შესვენება გამოცხადდა, მელორმა და მე გავუზიარეთ მამას ჩვენი გაოცება სტალინის ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ქცევის გამო. ჩვენ კიდევ უფრო გაგვაოცა მამის პასუხმა:

**— თქვენ მსჯელობთ როგორც პირწავარდნილი ობივატელები. დააკვირდით სტალინის ნებისმიერ გამოსვლას ან სტატიას. ყოველ მათგანში არის თავისი დროისათვის რაიმე პრინციპულად ახალი.** ასე იყო ომის წინ, ომის დროს და ახლაც. სტალინი არასოდეს არ წერს და არ ლაპარაკობს იმისათვის, რომ ოღონდ წეროს და ილაპარაკოს. თქვენ ცუდად იცნობთ მის ნაწერებს.

— კი მაგრამ, მას ხომ შეეძლო ყოველგვარი სიახლეების გარეშე უბრალოდ მადლობა ეთქვა გამომსვლელებისათვის და დამსწრეთათვის, — შეეპასუხა მელორი.

**— არა, არ შეეძლო. მაშინ ის სტალინიც არ იქნებოდა,** — დაასკვნა მამამ.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



•

... მამა პატივს სცემდა და უყვარდა სტალინი იმის შემდეგაც, რაც მას უსინდისოდ მოექცნენ. მამამ მისწერა სტალინს წერილი, სავსე საყვედურითა და სამართლიანი წყრომით. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ, თუ სტალინს ამ წერილს აჩვენებდნენ, ჩვენ რეპრესიები არ აგვცდებოდა. მაგრამ ვიმედოვნებდით, რომ ამ „თავხედურ“ წერილს სტალინს ვერავინ გაუბედავდა ჩვენებას.

მაგრამ ერთ „მშვენიერ დღეს“, გვიან ღამით, მამას ბინაზე დაურეკა **პოსკრებიშევმა** და უთხრა სიტყვასიტყვით შემდეგი:

**„თქვენი წერილი ამხანაგმა სტალინმა წაიკითხა. ის თქვენ მიგიღებთ“.** ეს იყო 1949 წლის დეკემბრის ბოლოს, სტალინის 70 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის შემდეგ.

მამის წერილი იყო გასაოცარი კონტრასტი იმ გულისამრევ მლიქვნელობასთან, რაც იმ დღეებში გადმოიღვარა საბჭოთა პრესის ფურცლებზე, საიუბილეო გამოცემებში და სხვ.

**ვინ იცის, იქნებ ნამდვილი რევოლუციონერის** (და არა საზიზღარი პირმოთნისა და მონის) **პირდაპირი და მკაცრი სიტყვები მოეწონა სტალინს, მასში სულის კეთილშობილი მოძრაობა გამოიწვია. ვინ იცის?..**

მამა ცხოვრობდა ამ მიღების მოლოდინით. მან შეადგინა მასთან საუბრის კონსპექტი. თავის თავზე იქ მხოლოდ ერთი სტრიქონი იყო, დანარჩენი — უდანაშაულოდ დაღუპული მეგობრებისა და ამხანაგების რეაბილიტაციის შესახებ.

**სტალინმა მამა არ მიიღო.**

როცა სტალინი გარდაიცვალა და ოდნავ მოგვიანებით მისი პიროვნების კულტის კრიტიკა დაიწყო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ მამას წინადადება მისცა, სტალინის წინააღმდეგ გამოსულიყო.

— ის ხომ თქვენ უსამართლოდ და სასტიკად მოგექცათ. — ეუბნებოდნენ მამას.

მამას საოცრად გაუხარდა, როცა დაიწყო უდანაშაულოდ დაღუპულთა რეაბილიტაცია, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ის დღესა და ღამეს ასწორებდა, წერდა პროკურატურაში, სასამართლოში მათ შესახებ, ვისაც პირადად იცნობდა, განსაკუთრებით იმათზე, ვისაც ჭირისუფლები, როგორც ეს მათ შეუძლიათ, იცავენ მის ხსოვნას?

•

მამა და მე ვესწრებოდით საზეიმო სხდომას კრემლში, 1944 წლის ნოემბერში. ამ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა სტალინი. მე მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი და პირადობის მოწმობა არ გამაჩნდა, მაგრამ ჩაწერილი ვიყავი მამის პასპორტში და ეს ადასტურებდა ჩემს პიროვნებას, რაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ შეედარებინათ მოსაწვევი ბარათი რაიმე დოკუმენტთან.

კარგად დამამახსოვრდა ჯარისკაცების მრავალრიცხოვანი მწკრივები კრემლში შესასვლელიდან საკმაოდ მოშორებით.

ამოწმებდნენ დიდხანს და საგულდაგულოდ. „ჩვენს შემთხვევაში“ სახელმწიფო უშიშროების ოფიცრებს, რომლებიც ამოწმებდნენ მოსაწვევ ბილეთებს, აშკარად აკვირვებდათ და აოგნებდათ ის ფაქტი, რომ მე არასრულწლოვანი ვიყავი, არ მქონდა პირადობის მოწმობა და მხოლოდ მამის პასპორტში ვიყავი ჩაწერილი.

განსაკუთრებით გულდაგულ სინჯავდნენ მოსაწვევ ბარათებსა და პირადობის მოწმობებს კრემლის სასახლეში შესვლის წინ. ოფიცერი, რომელიც სინჯვას ხელმძღვანელობდა, ზრდილობიანად შეეკითხა მამას: „იარაღი ხომ არ გაქვთო“, რაზედაც მამამ უპასუხა: „არა, ჩვენ განიარაღებულნი გახლავართო“. ოფიცერმა გაიღიმა, მხედრული სალამი მისცა მამას, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა.

კრემლის გაჩახჩახებული დიდი დარბაზის პრეზიდიუმის კულუარიდან მოსკოვის პირველი საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე **პრონინი** გამოიკვეთა. მოშორებით სტალინი გამოჩნდა მარშლის ფორმაში, მის უკან — პოლიტბიუროს წევრები.

დარბაზი აფეთქდა. ეს მქუხარე „რრააა!“ ათ-თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. ვერც პრონინის ზარებმა და ვერც სტალინის „დამამშვიდებელმა“ ჟესტებმა საქმეს ვერ უშველა. სტიქია ბობოქრობდა.

დღევანდელი დღის თვალსაწიერიდან, როცა ყველა და ყველაფერი უარყოფილია, დაგმობილი, შეჩვენებული და თვითგვემის ქარცეცხლში გატარებული, ყველაფერი ეს გაზვიადებული, უტრირებული და ცივილიზებულ ყოფასთან შეუთავსებელი ჩანს, მაგრამ მაშინ ეს იყო ერთ მუჭად შეკრული და შედუღაბებული მასის სრულიად ნორმალური ქცევა, და საოცა-

ჭექა-ქუხილის შემდეგ „ღვთაებამ“ წამოიწყო თავისი მოხსენება დინჯად, დაბალ ხმაზე თითქმის ყოფითად, ყოველგვარი ორატორული ხერხების გარეშე, და, სხვათაშორის, საგრძნობი, გამაღიზიანებელი აქცენტის გარეშეც, რაც ასე შეიმჩნევა იმ ქართველი და არაქართველი მსახიობების მეტყველებაში, რომლებიც განასახიერებენ სტალინის როლს უამრავ კინოფილმში.

ორი მომენტი დამამახსოვრდა კარგად.

**როცა სტალინი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ საბჭოთა არმია იბრძვის არა მარტო საბჭოთა კავშირის თავისუფლებისათვის, არამედ სურს იხსნას მთელი მსოფლიო მიხაკისფერი ჭირისაგან, მან მოულოდნელად აღმართა თავისი პატარა ხელი კრემლის დიდი დარბაზის ზემოთ მდებარე ლოჟებისაკენ, სადაც ისხდნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატები და ჟურნალისტები.** ეს მეტყველი ჟესტი კარგად დაინახეს და შეაფასეს კიდეც. აქამდე თავიანთ ლოჟებში დარბაისლურად მსხდომი დიპლომატები ზეზე წამოცვივდნენ, ტაში შემოჰკრეს. გაისმა მისასალმებელი შეძახილებიც.

## მოგონებანი გარდასულ დღეთა ★

## დამოუკიდებელი ექსპერტის თვალით ★



# მაია ნიკოლეიშვილი:

# დღეს ამერიკას პრეზიდენტი არ ჰყავს, რაც მსოფლიოსთვის ძალიან სახიფათოა!

*— შეიძლება, **კამალა ჰარისი** როგორც პოლიტიკური ფიგურა არარაობა იყო, მაგრამ, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, ხელწამოსაკრავი არ არის. ის **ტრამპის** ძალიან სერიოზული მეტოქეა და გამარჯვების დიდი შანსი აქვს,* ***— აცხადებს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და იმ სახიფათო შედეგებზე საუბრობს, რომელიც შესაძლოა, საქართველოსთან მიმართებაში მომავალში განვითარდეს:***

— გარდა იმისა, რომ უფრო ახალგაზრდა და ენერგიულია, **კამალა ჰარისს** ლგბტ-ების და ემიგრანტების, განსაკუთრებით ფერადკანიანების დიდი მხარდაჭერა აქვს. მერე რა, რომ გაუნათლებელსა და უმეცარს უწოდებენ?! ელექტორატიც გაუნათლებელი ეყოლება, ამერიკაში ხომ ისინი პროცენტულად საკმაოდ ბევრნი არიან?! ისე კი, დღეს ამერიკას პრეზიდენტი არ ჰყავს, რაც მსოფლიოსთვის ძალიან სახიფათოა!

**— აბა, ვინ არის ბაიდენი?**

— სახეზეა მხოლოდ **ბიოლოგიური ბაიდენი** გონებრივი შესაძლებლობების გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ შტატებში არაფორმალური მმართველობაა! როგორც წესი, უპრეზიდენტო ქვეყანაში ქვედა რგოლები აკეთებენ იმას, რაც მათ სურთ. ამიტომაც გაძლიერდა ჩვენი მისამართით ქვების სროლა. თუ აქამდე ფორმალურად მაინც ამბობდნენ, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოაო, ახლა პირდაპირ გვეუბნებიან — შენ სახელმწიფო არ ხარ და ვერ გადადგამ იმ ნაბიჯს, რაც ჩვენს ინტერესებში არ შედისო.

### ამერიკული დემოკრატია კარიკატურად იქცა. ე.წ. ამერიკული დემოკრატიის აკვანი ატლანტის ოკეანის ფსკერზე განისვენებს!

ის, რაც ოლიმპიადის გახსნაზე ვიხილეთ, ეს ხომ, საერთოდ, სითავხედის პიკია! ევროვიზიაზე ტრანსგენდერის გამარჯვება ამასთან შედარებით ჟურნალი იყო.

**— ახსენეთ, კამალა ჰარისის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის შემდეგ სამყარო სხვანაირად აფორიაქდა და საქართველოს პერსპექტივებიც იცვლებაო. მაინც, რა პოლიტიკურ საფრთხეებზე მიანიშნებთ?**

— ძალიან საინტერესო პროცესები მიდის მეზობელ სომხეთში. მაშინ, როდესაც ამერიკა საქართველოს 95 მილიონი დოლარის დახმარებას უჩერებს, 59 მილიონს აძლევს სომხეთს. ევროკავშირმაც გამოუყო 10 მილიონი. საქართველოში აუქმებენ ნატოს წვრთნებს, იქ ატარებენ. ჩვენ, ლამის, ჯვარზე გვაკრავენ ჩინეთთან ურთიერთობის გამო, სომხეთი კი ოფიციალურად აფორმებს სტრატეგიულ პარტნიორობას. ერთი სიტყვით, რასაც ჩვენ გვიკრძალავენ, იმათ ყველაფერს აკეთებინებენ.

**— ეს რაზე მიანიშნებს?**

### – სურთ, რომ სამხრეთ კავკასია სომხეთის ხელით აწეწონ და საქართველომ შუა დერეფნის ფუნქცია დაკარგოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩინეთისთვის, ევროპისთვის და რუსეთისთვის ყველაზე მომგებიანი სავაჭრო გზები დაიკეტება.

**— ამას დაუშვებენ ჩინეთი და რუსეთი?**

— ამიტომაც დიდია ალბათობა, რომ ეს პროცესები ახალი გარიგების საფუძველი გახდეს. რამდენი შემთხვევა ყოფილა, როდესაც დიდი სახელმწიფოები ბოლო მომენტში ერთმანეთთან გარიგებულან? ნიშანდობლივია, რომ ამერიკელი სამხედროები რუსეთის თავდაცვის ახალ მინისტრთან საუბრობენ. ზელენსკიც უცებ მშვიდობაზე ალაპარაკდა.

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა დოლარის მიმოქცევა შეამცირა, გასაღების უზარმაზარი ბაზარი დაიკარგა. რეკორდული სისწრაფით იზრდება ამერიკის საგარეო ვალი. თუ რუსეთს შესთავაზეს სარფიანი მოლაპარაკება უკრაინის მიმართულებით, რა უფრო საინტერესო იქნება მისთვის — პირდაპირი გზა ევროპისკენ თუ საქართველოზე გამავალი ტრასა, რომელიც ჩინეთის გაძლიერებას შეუწყობს ხელს?!

### რუსეთი და ჩინეთი დღეს კი არიან სიტუაციური მოკავშირეები, მაგრამ ჩინეთის უსაზღვრო გაძლიერება არც რუსეთისთვის არის დიდი საჩუქარი.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რუსეთ-ამერიკის გარიგების შემთხვევაში საქართველო ძალიან დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდება. სადღაც იმის შიშიც მაქვს, უკრაინის გადანაწილებაში ხომ არ გაიცვლება სამხრეთ კავკასია-მეთქი?! და, საერთოდ, ახლა ქვეყნის ნომერ პირველი ამოცანა ევროკავშირში შესვლა კი არა, საქართველოს გადარჩენაა! **ნატოში შესვლის საკითხი ხომ საერთოდ უნდა ამოვიღოთ ხსენებიდან.**

### დღეს მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ ავიცილოთ თავიდან სახელმწიფო გადატრიალება და სამხრეთ კავკასიის აწეწვა!

**— არჩევნებში „ქართული ოცნება“ დიდი უპირატესობით რომ გაიმარჯვებს, ამაში ეჭვი, ალბათ, თავად ოპოზიციონერებსაც აღარ ეპარებათ...**

— მაგრამ იმისათვის, რომ არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ქვეყანაც გადარჩეს, საჭიროა მეზობლებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა, რუსეთთან საუბარი, მითუმეტეს, როდესაც გუშინდელი სტრატეგიული პარტნიორი ნომერ პირველ მტრად გყავს მოკიდებული. **საქართველოსთვის ნომერ პირველი საფრთხეა ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი ადმინისტრაცია და მისი ევროპელი ვასალები!**

ოპოზიციონერების გულზე მჯიღის ცემა და გადაადგილებები — ის იმას შეუერთდა, იმან იმას ხელი ჩამოართვა და ა.შ. ამ შიდამოხმარების უნიჭო სპექტაკლია. ეუბნებიან — იმოძრავეთო და ისინიც მოძრაობენ. ჰოდა, იყეფონ, რაც უნდათ და რამდენიც უნდათ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**ამერიკის შეერთებული შტატების აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატი ჯო ბაიდენი, პრეზიდენტობის მოქმედი კანდიდატი კამალა ჰარისი და სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი**

## „საქართველოსთვის ნომერ პირველი საფრთხეა ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი ადმინისტრაცია და მისი ევროპელი ვასალები!“

2024 წლის 5 აგვისტო. №39 (275)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

***წინა კვირას სამუდამო პატიმარმა ვოვა არუთინიანმა დამირეკა და თავისი უდიდესი მწუხარება მამცნო. სწორედ იმ ვოვამ, ვისაც აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსზე ტერაქტის ბრალდება შეუთხზეს და ციხეში უვადოდ გამოკეტეს...***



# ანჟელა არუთინიანის სიკვდილი

## ნაბუშართა ტყვეს გარდაცვლილი დედის შუბლზე ამბორის უფლებაც ჩამოართვეს!

— **„დედა გარდამეცვალა, ბატონო ზაზა!“** — შემომჩივლა ადამიანმა, რომელიც 19 წელზე მეტია, სამარტოო საკანში ზის და ამ ხნის განმავლობაში საყვარელ დედას აღარ შეხებია!

**არ მეგონა, გარეშე ადამიანის სიკვდილის გამო ასე თუ დამწყდებოდა გული. არც ის მეგონა, სწორედ მე რომ მომიწევდა საზოგადოებისთვის მისი გარდაცვალების შეტყობინება.**

რეალურ ცხოვრებაში **ვოვა არუთინიანთან** ჩემი გზა არასოდეს გადაკვეთილა, ნაცნობებიც კი არ ვყოფილვართ და ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ რამდენიმე ათეული სატელეფონო საუბრით ამოიწურება, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა. ამ კაცთან დაკავშირებით, რომელსაც უმცროსი ბუშთაგანის ლიკვიდაციის მცდელობა ბრალდება, ჩემი პირადი შთაბეჭდილება გამაჩნია. ნუ გაოცდებით და ეს შთაბეჭდილება ბოლომდე პოზიტიურია!

კაცი უკვე 19 წელია, სამარტოო საკანში იმყოფება. ამ ხნის განმავლობაში ადამიანებს ლაპარაკიც კი ავიწყდებათ, სულით ეცემიან და, თუნდაც კაჟივით ჯანმრთელებს, დეპრესია და მელანქოლია ბოლოს უღებს. **ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ციხეში თავად გავატარე 5 წლამდე, როდესაც შეიარაღებული გადატრიალების შეთითხნილი ბრალდებით სააკაშვილის რეჟიმმა სრულიად უდანაშაულოდ თავისუფლება აღმიკვეთა.** მინახავს პატიმრები, რომელთაც 10-15 წელი არ ენახათ თავისუფლება და კარგად ვიცი მათი ფსიქოლოგია.

შუადღით, ზუსტად მაშინ დამირეკა, როცა მისი ერთადერთი ძვირფასი ადამიანის კუბოს მესაფლავეები მიწას აყრიდნენ... ვოვასგან განსხვავებით, ძალიან ახლოს ვიცნობდი მის დედას, ახლადშესვენებულ **ანჟელა არუთინიანს,** რომელსაც ბედმა მკაცრი და მწარე სიბერე არგუნა — **ერთადერთი შვილი უვადოდ დაუპატიმრეს, თავად კი დეზერტირების ბაზარში პოლიეთილენის პარკებისა და ხელსახოცების გაყიდვით ირჩენდა თავს და არჩენდა პატიმარ ვაჟს!** ვოვა ალბათ, დედას დაემსგავსა ადამიანების მიმართ უსასრულო მადლიერების გამოვლენის ნიჭით და თავმდაბლობით. ქალბატონი ანჟელაც ათას მოკრძალებულ მადლობას იხდიდა, თუ ვოვა არუთინიანის შესახებ პრესაში რაიმეს დავწერდი.

გადაჭარბების გარეშე, ის გახლდათ უაღრესად განათლებული ქალბატონი, ფრანგული ენის სპეციალისტი, უკიდურესი სიღატაკის მიუხედავად, უკიდურესად თავმოყვარე. სიცოცხლის ბოლო წუთამდე პოზიტიურ ადამიანად დარჩა! იობის მოთმინებით იტანდა თავსდამტყდარ განსაცდელს, რომელიც არ იქნა და აღარ დასრულდა! მხოლოდ იმას დარდობდა — ჩემი სიკვდილის მერე ვოვა მარტოდმარტო რჩებაო...

კეთილშობილებასთან ერთად, უაღრესად კეთილიც ბრძანდებოდა. თავად ღატაკი, ყოველთვის ცდილობდა სხვებისთვის სიამოვნების მინიჭებას და საჩუქრის მიძღვნას! დღემდე ვინახავ სახლში მისგან ნაჩუქარ წიგნს, პროდუქტების ჩანთასა და სუვენირებს. წავიდა და უვადოდ დაპატიმრებული შვილის დარდი გაიყოლა.

**დადიოდა, ფურცლებს, სტატიებს დაატარებდა, ჟურნალისტებს და უფლებადამცველებს მოკრძალებით სთხოვდა, მისი შვილის მიმართ სამართლიანობის აღდგენაში დახმარებას. ამბობდა, რომ ვოვა არუთინიანი უდანაშაულოა და საკმაოდ ლოგიკური მსჯელობით ასაბუთებდა თვალსაზრისს.**

მკითხველს ეხსომება 2005 წლის მაისის მიწურული, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში (უმცროსი),** სისხლიანი სააკაშვილის მოწვევით, რომელიც მან „დემოკრატიის შუქურად“ მონათლა, თბილისს ესტუმრა. თავისუფლების მოედანზე, სადაც ტყვიაგაუმტარი შუშის მიღმა პრეზიდენტები ერთობლივად უნდა წარმდგარიყვნენ, ტევა არ იყო, მაგრამ თითოეულ ადამიანს, ვინც ამ შეკრებაზე მოვიდა თუ მოიყვანეს, რამდენიმე ძალოვანი სტრუქტურა აკონტროლებდა. მოედანზე შემსვლელს ჯერ პოლიციის კორდონი უნდა გაევლო, შემდეგ ქართული უშიშროების მუშაკები ამოწმებდნენ საგულდაგულოდ, ბოლოს კი — თავად ამერიკის სპეცსამსახურები, ათასი დეტექტორის და აპარატურის საშუალებით რენტგენში ატარებდნენ ყველას!

ჰოდა, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ასეთ მდგომარეობაში მოედანზე შეაღწიოს ვოვა არუთინიანმა, რომელსაც ჯიბეში ხელყუმბარა უდევს, რათა ამერიკის პრეზიდენტი ააფეთქოს?! **უფრო მეტიც — არუთინიანი სპეცსამსახურებისგან შეუმჩნევლად ამ ყუმბარის ამოღებას და ბუშის მიმართულებით გადაგდებასაც ახერხებს, მერე კი შემთხვევის ადგილს შეუფერხებლად ტოვებს...** მაგრამ ყუმბარა არ ფეთქდება, რადგან ნამდვილი არ ყოფილა!

ვოვა არუთინიანის დასაკავებლად ვაშლიჯვარში მდებარე მისი კორპუსისაკენ სპეცრაზმი და პოლიციელები მიემართებიან. გამოძიების მასალების თანახმად, შეიარაღებული (არადა, ვოვა არუთინიანის იარაღთან კონტაქტის შესახებ არავის სმენოდა!) არუთინიანი გარბის! მას პოლიციელები მისდევენ და, ბრალდების თანახმად, ერთ-ერთი პოლიციელი ეცემა! სააკაშვილის გამოძიების ალტერნატიული ვერსიით, დაღუპულ პოლიციელს ტყვია ზურგიდან აქვს მოხვედრილი, რაც გამორიცხავს არუთინიანის მიერ მის მოკვდინებას. პოლიციელი ან სხვა ძალოვანის შემთხვევითმა ტყვიამ იმსხვერპლა, ან **მიზანმიმართულად** მოკლეს, რადგან სხვაგვარად არუთინიანისთვის უვადო პატიმრობის მისჯას ვერ შეძლებდნენ!

დიდი ალბათობით, ვოვა არუთინიანი ბოლომდე უდანაშაულოა. ის პროვოკაციაზე წამოაგეს. პროვოკაციები კი სააკაშვილს სჩვეოდა, რათა ოკეანისგაღმელი პატრონების წინაშე თავი მოეწონებინა! **არსებული ოფიციალური ბრალდების მიხედვით, არუთინიანის მხრიდან ბუშის ლიკვიდაციის მცდელობა თავისი აბსურდულობით არ ჩამოუვარდება ლევან სამხარაულის მკვლელის აღსასრულის ოფიციალურ ვერსიას, რომელმაც თავი მოიკლა ორი სხვადასხვა იარაღიდან გასროლით.**

ნიშანდობლივია, რომ ამერიკულ პრესაში ორი სიტყვაც არ დაბეჭდილა, რომ საქართველოში **ჯორჯ ბუშის** ვიზიტის პერიოდში მისი ლიკვიდაციის მცდელობას ჰქონდა ადგილი! **ეს გულდასმით გამოიკვლია ფოტორეპორტიორმა იური მეჩითოვმა, რომელმაც თვეების განმავლობაში ფურცლა ამერიკული პერიოდული პრესა.** ამის მიუხედავად, **ვოვა არუთინიანი** დღემდე საპატიმროში იმყოფება. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მისი საქმის ხელახლა გამოძიება არ მომხდარა, **რაც უთუოდ ნაცარტუტად აქცევდა სააკაშვილის რეჟიმის კუდ-ის და უსამართლო სასამართლოს მიერ აქამდე ოფიციალურად აღიარებულ ვერსიებს, თითქოს ვოვა არუთინიანი ამერიკის პრეზიდენტის ლიკვიდაციას მართლაც აპირებდა! ხელახლა გამოსაძიებელია არუთინიანის საქმეში პოლიციელის დაღუპვის გარემოებებიც!**

ამასობაში, თბილისში რჩება **ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩა.** იმ ბუშისა, რომელმაც სისხლიანი ტირანი სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურად“ მონათლა.

**ბუშების და თახსირების ქუჩები ქართველ ერს ტაძრამდე ვერასოდეს მიიყვანს!**

ვერც სამართლიანობა აღდგება, ვიდრე **ვოვა არუთინიანი** უვადო პატიმრის საკანშია გამოკეტილი, ხოლო ათასობით ადამიანის სიკვდილისა და უბედურების მიზეზი მიხეილ სააკაშვილი — ვივამედის ლუქს-პალატაში!






ჯორჯ ბუში უმცროსი და მიხეილ სააკაშვილი. თბილისი, 2005 წელი

### ბოლოთქმა

**მიცვალებული დედის შუბლზე უკანასკნელი ამბორის საშუალებაც არ მისცეს ნაბუშართა ტყვეს — ვოვა არუთინიანს, რომელმაც მთხოვა, მისი გულწრფელი მადლობა გადავცე თითოეულ ადამიანს, ვინც თუნდაც 4 სიტყვით უფალს მისი დედიკოს სულს შეავედრებს:**

ღმერთმა აცხონოს, **ანჟელა არუთინიანი!**

***ზაზა დავითაია***

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ***იგორ ქვესელავა*** *აცხადებს,* ***რომ შევარდნაძეს ერთი სული ჰქონდა, ზვიად გამსახურდიას ცხედარს სენაკის აეროდრომიდან როდის მოიშორებდა და ჩეჩნეთში გაგზავნიდა:***




ედუარდ შევარდნაძე და თემურ სტეპანოვი


გურამ მგელაძე

## იგორ ქვესელავა:

# ედუარდ შევარდნაძემ ზვიადის მკვლელობა თემურ სტეპანოვთან, ნუგზარ საჯაიასა და გურამ მგელაძესთან ერთად დაგეგმა!

— ზვიად გამსახურდიას შევარდნაძის ხელისუფლებამ ორმოცი ბრალდება წაუყენა, რომლებიც დღეს სრულად არის გაბათილებული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ პროკურატურამ თავის დროზე საქმე შეთითხნა. ცხადია, ამ ყველაფრის უკან შევარდნაძე იდგა ისევე, როგორც შევარდნაძის ინსტრუქციით, არჩევნებიდან მეორე დღეს, 1990 წლის 29 ოქტომბერს, ზვიადის მოკვლა პირველად სცადეს.

საერთოდ, შევარდნაძე და მისი უახლოესი გარემოცვა თავიდან ზვიად გამსახურდიას მკვლელობას არც განიხილავდნენ. ედუარდი ფიქრობდა, რომ გამსახურდია ქვეყნის მართვას ვერ შეძლებდა და ქართველი ხალხი მას, როგორც სამარცხვინოსა და უუნაროს, ხელისუფლებიდან გააპანღურებდა. მაგრამ შევარდნაძე მალევე მიხვდა, რომ მწარედ მოტყუვდა. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რომელიც თავიდან ბოლომდე შევარდნაძის კისერზეა, სამ მიზანს ისახავდა — კომპარტიის დისკრედიტაციას, **ჯუმბერ პატიაშვილის** ხელისუფლებიდან ჩამოშორებას და ეროვნული მოძრაობის, ანუ ზვიადის დისკრედიტაციას!

შევარდნაძემ 9 აპრილის ტრაგედიით ორ მიზანს ბრწყინვალედ მიაღწია — კომპარტიაც დაანგრია და ხელისუფლებას **ჯუმბერ პატიაშვილიც** ჩამოაშორა, მაგრამ ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაცია ვერ მოხერხდა, პირიქით, ეროვნული მოძრაობა აღმავლობის გზას დაადგა. აი, ამის შემდეგ, როგორც კი გამოჩნდა, რომ ქვეყანას ეროვნული კაცი მოევლინა, შევარდნაძის გუნდში მუშაობა დაიწყეს გამსახურდიას ჩამოშორების სამ გეგმაზე.

**— მაინც რაში მდგომარეობდა და ვისთან ერთად განიხილავდა შევარდნაძე ამ გეგმებს?**

— პირველი გეგმის თანახმად, ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობით უნდა დაესრულებინა სიცოცხლე; მეორე გეგმით — ზვიადი საკუთარ დაცვას უნდა მოეკლა, ხოლო მესამე გეგმით — ზვიად გამსახურდია უნდა მოეკლა შევარდნაძეს! შევარდნაძემ ვერც ის გათვალა, რომ ზვიად გამსახურდია ღრმად რელიგიური პიროვნება იყო, ბიბლიით ცხოვრობდა, მისთვის უცხო გახლდათ დეპრესია, გულგატეხილობა, აპათიაში ჩავარდნა და ამდენად, პრეზიდენტი თავს არ მოიკლავდა. ზვიადისთვის არც დაცვის წევრებს უსვრიათ... მართალია, **როზიზონ მარგველანმა, ბესარიონ გუგუშვილმა და ბაჩუკი გვანცელაძემ** პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ ყველაფერი იციან და სიმართლეს მალავენ, მართალია, **ზაზა გურჯანაძე და გოჩა კეკენაძე** — პრეზიდენტის დაცვის უერთგულესი წევრები — გამსახურდიას მიზანმიმართულად ჩამოაშორეს და ბოლო მომენტში სიტუაციიდან „მოტეხეს“, მაგრამ არაფრით დასტურდება, რომ ზვიადს **მარგველანმა, გუგუშვილმა** და ან **გვანცელაძემ** ესროლეს, რადგან ზვიად გამსახურდია **კარლო ღურწკაიას სახლში** მკვდარი მიიყვანეს. დარჩა ბოლო ვარიანტი — **ზვიად გამსახურდია სწორედ შევარდნაძეს უნდა მოეკლა!** ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბოლო მომენტში ედუარდ შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობას თავის პატრონთან და მოკავშირესთან, ამერიკის სახელმწიფო მდივან **ჯეიმს ბეიკერთან** აუცილებლად შეათანხმებდა. სხვანაირად ედუარდი გამსახურდიას მოკვლას ვერ გაბედავდა. გეგმა გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ასევე შეთანხმებული იყო **პრეზიდენტ ელცინთან და პრეზიდენტ ბუშთან.**

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

— **ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის გარემოება, რომ შევარდნაძემ 2014 წლის ზაფხულამდე იცოცხლა და მისი დაკითხვა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე ვერავინ შეძლო!** ეს შემთხვევით არ მომხდარა — შევარდნაძე საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის უმძიმესი პასუხისმგებლობისგან ასე საგულდაგულოდ იმიტომ დაიცვეს, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში რუსები და ამერიკელები ერთად მონაწილეობდნენ! მეტი მტკიცებულება რაღა გინდათ — ზუგდიდის ტაქსოპარკში დაბანაკებული რუსული სპეცრაზმი „ლეტუჩი მიშ“ სწორედ იმ ღამეს აიბარგა სამეგრელოდან და გადავიდა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, როცა ზვიად გამსახურდია მოკლეს, ხოლო 1992 წლის 26 მაისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, შეკრებილი ხალხის წინაშე სიტყვით გამოსული ჯეიმს ბეიკერი მოიქცა სამარცხვინოდ, როცა ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დამხობაზე და ხუნტის სისხლიან ჯალათებთან ერთად ავანსცენაზე დადგა.

**— საიდან გაქვთ ინფორმაცია ზვიად გამსახურდიას მოშორების სამი გეგმის შესახებ?**

— ჩემი უახლოესი მეგობარი იყო **თენგიზ სიგუას** სიმამრი, პროფესორი **გრიშა ჟვანია.** არაერთხელ ვყოფილვარ მათთან სუფრაზე და სწორედ თენგიზ სიგუასგან მსმენია ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია შევარდნაძის გეგმების შესახებ. შევარდნაძემ საქმე ისე მოაწყო, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა თვითმკვლელობად გაასაღა, რაშიც დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა ქართველმა პათანატომმა, აკადემიკოსმა **თამარ დეკანოსიძემ,** რომელსაც ამ თემაზე არაერთი წინააღმდეგობრივი განცხადება აქვს გაკეთებული!

**— რას გულისხმობთ?**

— აკადემიკოსი **თამარ დეკანოსიძე,** დიდი ალბათობით, ნამყოფია **ვალიკო ზარანდიას სახლში,** სადაც მეორე სართულზე საიდუმლო ვითარებაში ზვიად გამსახურდიას ცხედარი იყო დასვენებული. **დეკანოსიძე,** რომელიც შევარდნაძის პოლიტიკური გუნდის წევრი იყო, თავიდან აცხადებდა, რომ ზვიად გამსახურდიამ, სავარაუდოდ, თავი მოიკლა, მაგრამ მერე, როცა სააკაშვილის ხელისუფლების დროს **კონსტანტინე გამსახურდიას** ხელმძღვანელობით საპარლამენტო საგამოძიებო კომისია შეიქმნა და **თამარ დეკანოსიძეს** ზვიად გამსახურდიას ნიკაპის ქვეშ არსებულ სავარაუდო ნატყვიარზე აზრი ჰკითხეს, მან განაცხადა, რომ შესაძლოა, ეს მართლაც იყო მეორე ნატყვიარი და არა გვამური ლაქა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას იმის შესახებ, თუ ვისთან ერთად ამუშავებდა შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მოშორების გეგმებს, აქ უნდა გამოვყოთ რამ-


თამაზ ნინუა

## „უშიშროების გენერლის თამაზ ნინუასა და მისი მეუღლის ჩაცხრილვა პირდაპირ უკავშირდება შევარდნაძისა და მისი ბანდის მიერ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს!“

## კვირგვინოსნები

**გიორგი კობერიძე**
*ანალიტიკოსი*



**შიშის დათესვა** სურთ და არა ის, რომ რეალური საფრთხე არსებობს. **ამ პროპაგანდით „ქართული ოცნება“ იგებს ხუთით ნულს** ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ძალასთან საქართველოში. „კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



ირკვევა, რომ **სააკაშვილის შემოპარება სერიოზული დასავლური ძალების ორგანიზებული ყოფილა.** უკრაინის ხელისუფლებამაც შესანიშნავად იცოდა ამ ვოიაჟის შესახებ და ბევრი მათგანისთვის **სააკაშვილის უკრაინიდან წასვლა ძალიანაც სასიხარულო ამბავი იყო.** საქართველოში არეულობა ჩვენი სამეზობლოდან ძალიან ბევრი ქვეყნის ინტერესებში შედის, **როგორც მტრების, ასევე მეგობრების.** ჩვენი მტრები და მოყვრები ძალიან ბევრ პრობლემას გადაჭრიან **საქართველოს სახელმწიფოს განადგურების ხარჯზე.**

„კვირის პალიტრა“

**ბადრი ნაჭყებია**
*პოლიტოლოგი, სოხუმის უნივერსიტეტის ექსპერტ-კონსულტანტი*



დღეს **ბიძინა ივანიშვილი არის ყველაზე გავლენიანი პიროვნება საქართველოში** და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი **რადიკალური ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებს** მისი მოშორება უნდოდეთ.

„საერთო გაზეთი“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



ერთადერთი ხსნა საქართველოსთვის ახლა **კოალიციური მთავრობაა.** შეიძლება, ამას მოჰყვეს **გაუთავებელი საპარლამენტო კრიზისი და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნაც კი,** მაგრამ დაე, იყოს ასე, მთავარია ვერცერთმა ძალამ ვერ შეძლოს ძალაუფლების **ერთპიროვნულად** ხელში ჩაგდება.

„კვირის პალიტრა“



ნუგზარ საჯაია

## „შევარდნაძე ხელისუფლებას აბარებდა და ნუგზარ საჯაია, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ყველა დეტალი იცოდა, ედუარდმა მოიშორა, როგორც პოტენციური ოქროს მოწმე!“



დენიმე პიროვნება — **ნუგზარ საჯაია, გურამ მგელაძე, თემურ სტეპანოვი და ავთანდილ მარგიანი.** მარგიანი ამ საქმეში უფრო ფოსტალიონის, ინფორმაციის შემკრებისა და შევარდნაძისთვის მიმწოდებლის როლს თამაშობდა, რაც შეეხება უშუალოდ მკვლელობის დაგეგმვას, ედუარდ შევარდნაძემ ზვიადის მკვლელობა **თემურ სტეპანოვთან, ნუგზარ საჯაიასთან და გურამ მგელაძესთან** ერთად დაგეგმა! შევარდნაძემ წერა არ იცოდა და მთელი მისი მემუარები სწორედ **სტეპანოვისა და კობა იმედაშვილის** დაწერილია, რომელიც მისი მრჩეველი იყო. კობა იმედაშვილის მამა ეთნიკური სომეხი გახლდათ, მერე მან გვარი გადაიკეთა და გაქართველდა... საერთოდ, ასეთი ადამიანები შევარდნაძეს გარემოცვაში მრავლად ჰყავდა. რაც შეეხება **ნუგზარ საჯაიას,** 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის წინ მისი თვითმკვლელობა შემთხვევით არ მომხდარა. შევარდნაძე ხელისუფლებას აბარებდა და **ნუგზარ საჯაია,** რომელმაც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ყველა დეტალი იცოდა, ედუარდმა მოიშორა, როგორც პოტენციური ოქროს მოწმე!

**— შევარდნაძეს სხვა ჭკვიანი ვინ ჰყავდა გარემოცვაში?**

— აი, მაგალითად, ძალიან ჭკვიანი და განათლებული კაცი იყო **ლადო ალფენიძე.** მართალია, შევარდნაძე მას ასეთ შავბნელ საქმეებს არ ანდობდა, თუმცა, ვერც ელეოდა!

**— რატომ ვერ ელეოდა?**

— მე და **ლადო ალფენიძე** ერთმანეთს კარგად ვიცნობდით. პრესით შევარდნაძის კრიტიკა რომ დავიწყე, ლადო ალფენიძემ მითხრა — **შევარდნაძეს თავი გაანებე, თორემ შენს თავს დაგაპატიმრებინებ! შენ რა იცი შევარდნაძის შავბნელი საქმეების შესახებ იმდენი, რა ინფორმაციაც მე მაქვსო!** ამ საუბარს ესწრებოდა ადვოკატი **ოთარ ბერიშვილი,** რომელმაც ლადო ალფენიძეს იქვე უთხრა — **შევარდნაძეს იგორს დააპატიმრებინებ და, ადვოკატი მე ვიქნებიო!**

საერთოდ, **ლადო ალფენიძე** შევარდნაძეზე გაბრაზებული იყო, რადგან ედუარდმა ის მოსკოვში არ წაიყვანა. ლადო იტალიაში წავიდა... ედუარდმა ყველაფერი გააკეთა, ალფენიძე იტალიიდან ჩამოიყვანა და მრჩევლად დაისვა, რადგან მას ლადო ალფენიძის ძალიან ეშინოდა. ლადო განათლებული კაცი იყო და შევარდნაძე პანიკაში ჩავარდა, იტალიაში მყოფ ალფენიძეს მემუარების წერა არ დაეწყო და შევარდნაძე უცხოელების თვალში არ მოეთხარა! ამიტომაც პოტენციური მტერი ახლოს დაისვა, რათა ადვილად გაეკონტროლებინა.

შევარდნაძე რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელია, ამის უტყუარი დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რაც 1994 წლის თებერვალში სენაკის აეროდრომზე მოხდა, როცა ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტის **ზელიმხან იანდარბიევის** ხელმძღვანელობით ზვიად გამსახურდიას ცხედარი საქართველოდან ჩეჩნეთში გადაასვენეს. მოგეხსენებათ, ზვიადის ცხედარს სამშობლო ისე დაატოვებინეს, პირველი პრეზიდენტის გვამს მხოლოდ ზედაპირული დათვალიერება ჩაუტარდა. არავითარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არც საქართველოში და არც ჩეჩნეთში...

**— ეს ხომ ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ წამოყენებული აუცილებელი პირობა იყო?**

— გასაგებია, რომ ამას ქალბატონი მანანა ითხოვდა... ისიც გასარკვევია, რატომ ითხოვდა ამას მანანა არჩვაძე-გამსახურდია და რატომ გააფორმა მან **ბესარიონ გუგუშვილთან** შეთანხმება, რომლის ძალითაც ზვიად გამსახურდიას ცხედრის ექსპერტიზას ოჯახი არასდროს მოითხოვდა. ჩვენ ამის შესახებ ბევრი ვისაუბრეთ და ამჯერად თემას აღარ მივუბრუნდებით, მაგრამ, თუ შევარდნაძე მართალი იყო და გამსახურდიას მკვლელობაში ბრალი არ მიუძღოდა, ხოლო ზვიადი ნამდვილად თვითმკვლელი იყო, მაშინ ედუარდი მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტებს მოიწვევდა, ცხედრის დეტალურ ექსპერტიზას ჩაატარებდა და მერე პილატესავით ხელებს დაიბანდა — **ხომ ხედავთ, მე არაფერ შუაში ვარ, ზვიად გამსახურდია საბოლოოდ დარწმუნდა თავის უმწეობაში, თავისი პოლიტიკური გზის უპერსპექტივობაში და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლეო!** მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, შევარდნაძეს ერთი სული ჰქონდა, ზვიად გამსახურდიას ცხედარს სენაკის აეროდრომიდან როდის მოიშორებდა და ჩეჩნეთში გაგზავნიდა. საერთოდ, შევარდნაძე და მისი გარემოცვა ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს ზვიად გამსახურდია სიცოცხლის ბოლო დღეებში უმწეო მდგომარეობაში იყო და დეპრესია ტანჯავდა, რაც ტყუილია.

**— ცხონებულმა ჯონსონ კვარაცხელიამ პირადად მითხრა, რომ პრეზიდენტმა, როცა მის სახლს ტოვებდა, დამოუკიდებლად, სხვების დაუხმარებლად ჩაიარა დაღმართი, ზვიადი იყო მხნედ და საბრძოლველად გახლდათ განწყობილი.**

— ახლა ყურადღება მიაქციეთ **კარლო ღურწკაიას** ჩვენებასაც — ნაბადში გახვეული კაცი სახლში რომ შემოვიდა, ფეხები დააბრახუნა — **გამარჯობათ, ზვიად გამსახურდია ვარო!** ვინმეს წარმოუდგენია, რომ ზვიად გამსახურდიას მსგავსი რაფინირებული ინტელიგენტი, თანაც დევნილობაში მყოფი კაცი, რომელსაც შევარდნაძის ქორ-მაძებრები და მკვლელები ყველგან დაეძებდნენ, უცხო ოჯახში ფეხების ბრახუნით შევიდოდა, უსაფრთხოების ელემენტარულ ნორმებს არ დაიცავდა და მთელი ხალხის გასაგონად იტყოდა — **ზვიადი ვარ, გამსახურდიაო?!** ეს გამორიცხულია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ათასჯერ მითქვამს და სრული პასუხისმგებლობით კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ

**კარლო ღურწკაიას ცოცხალი ზვიად გამსახურდია არ უნახავს, ის ზვიად გამსახურდიას საერთოდ არ შეხვედრია, ღურწკაიების სახლში მიიყვანეს გამსახურდიას ორეული და მერე მიიტანეს ზვიადის ცხედარი.**

მე ამაში დარწმუნებული ვარ და ეჭვი არ მეპარება თუნდაც იმიტომ, რომ „კაგებეს“ გენერალი, აწ განსვენებული **მიხეილ ოსაძე** გარკვევით და კატეგორიულად მეუბნებოდა — **ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს, პრეზიდენტი მოკლესო!** შევარდნაძემ არ დაინდო არავინ, ვინც კი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ რამე ღირებული იცოდა. აი, მაგალითად, უშიშროების გენერლის **თამაზ ნინუასა და მისი მეუღლის** ჩაცხრილვა 2009 წლის 11 ნოემბერს პირდაპირ უკავშირდება შევარდნაძისა და მისი ბანდის მიერ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს! ნინუა, რომელიც 1991 წლის 23 აგვისტოდან 1992 წლის 14 იანვრამდე საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, მეუღლესთან ერთად სახლში მოკლული იპოვეს. თამაზ ნინუა, რომელიც თანამშრომლობდა შევარდნაძის რეჟიმთან და ძალოვან უწყებებში ძალიან მაღალ პოსტებს იკავებდა, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დეტალებსაც ზედმიწევნით იცნობდა. სწორედ ამიტომ შევარდნაძემ ის მოაკვლევინა და ამაში დარწმუნებული ვარ. **შევარდნაძემ არ დაინდო არც შოთა კვირაია, რომელიც სამეგრელოში ხელფეხშეკრული ბიჭების სრულიად უმიზეზოდ დახვრეტის გამო ყურებით ჰყავდა დაჭერილი. ავთანდილ იოსელიანი,** რომელიც ზვიად გამსახურდიას პირადად დასდევდა მოსაკლავად და პირველი პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცოდა, 2007 წლის 13 ნოემბერს სრულიად მოულოდნელად პანკრეასის თავის სიმსივნით გარდაიცვალა. დარწმუნებული ვარ, მისი გარდაცვალების უკანაც შევარდნაძე დგას!

## „ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელად გამოცხადებაში შევარდნაძეს დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა ქართველმა პათანატომმა, აკადემიკოსმა თამარ დეკანოსიძემ, რომელსაც ამ თემაზე არაერთი წინააღმდეგობრივი განცხადება აქვს გაკეთებული!“



თამარ დეკანოსიძე

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები



**ანზორ ბრეგაძე**

*საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი*

**პუტჩისტთა, ანუ ქვეყნის დამაქცევართა შორის,** ჩემდა გასაკვირად და სავალალოდ, ჩემი ახლობლები, კოლეგები, მეცნიერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები ერივნენ. **„ძე-შეცდომილთა“ ნაწილმა მოინანია და ამიტომ, აღარ განვიკითხავ.** საერთოდ, პატიება ადვილად შემიძლია, მაგრამ დავიწყება მიჭირს, რადგან, მიუხედავად მონანიებისა, **ქვეყნის ღალატის დავიწყება ძალიან ძნელია.** თეორიულ მოწინააღმდეგეებს კიდევ გაუგებს კაცი, მაგრამ **შემოპარულ მედროვეებს,** რომლებიც შენს მზეს იფიცებდნენ და შემდეგ იარაღით დაგიპირისპირდნენ, იესო ნაზარეველი უნდა იყო, ბოლომდე რომ აპატიო. თუმცა, **დიდმა ზვიად გამსახურდიამ,** ვით ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ესეც შეძლო — **მათაც კი შეუნდო.**

მეტად ფაქიზი და წმინდა სულის ბრძანდებოდა სულკურთხეული პრეზიდენტი, მაგრამ ცუდ დროს მოუწია მოღვაწეობა — **უგულო და ხეპრე მმართველთა შორის.** ბევრ უცხოელ მმართველს მისადმი ზღვარგადასული შურიც კი ამოძრავებდა. აკი, **მარგარეტ ტეტჩერმა** ზვიადს **21-ე საუკუნის პრეზიდენტი** უწოდა. ნათქვამია — შენი მეგობარი რომ კუზიანი იყოს, შენც მოიხარეო, მაგრამ **ზვიადი არ მოიხარა, კუზიანი არ გახდა და დინების საწინააღმდეგოდ ცურვას შეუდგა,** რის გამოც მთელი მსოფლიო შეითქვა ქართველთა ჭეშმარიტი პრეზიდენტის წინააღმდეგ — **ორი უდიდესი პოლიტიკური ვეშაპი ერთად ეძგერა საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის სიმბოლოს.** ერთხელ, სუფრაზე თამადობისას, ერთმა ცნობილმა მეცნიერმა ზვიადი ადღეგრძელა — **დიდად განათლებული იყო, ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული, ენებიც იცოდაო...** იქვე შეუტია მეორე ჩვენმა კოლეგამ — ნაკითხი და განათლებული შეიძლება, ჩვენზე, მეცნიერებსა და პროფესურაზე თქვან, **ზვიადი კი აბსოლუტურად სხვა განზომილების მოაზროვნე იყოო!**

დიახ, **„სხვა განზომილების“** რომ არის, ამას უკვე ყველა გრძნობს, მაგრამ ვერ ან არ ამბობს, თუ ვინ იყო ზვიადი საქართველოსთვის. მე რაც წამიკითხავს და მომისმენია, **ზვიადის მოღვაწეობა შესაფერისად ჯერ ვერავინ აღწერა.** მის პატიოსნებასა და სამშობლოს სიყვარულზე ვეღარაფერს ვიტყვი, ეს ისედაც ყველამ იცის, მაგრამ პერმენევტიკული და ფენომენალური ხედვაა საჭირო, რომ ჩაწვდე ზვიად გამსახურდიას! ალბათ, დრო უნდა და **მჯერა, ახალ თაობაში აუცილებლად გამოჩნდებიან ისეთები, ვინც შეძლებს, სრულად აღიქვას ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის ჭეშმარიტი არსი!**



**ვიქტორ ორბანი**

*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*

უკრაინა **ევროკავშირისა და ნატოს წევრი ვერ გახდება,** ბუფერული სახელმწიფო იქნება.

„რეზონანსი“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №29-32*

***ძველი ქართული საისტორიო მწერლობა რუსეთის მიერ ოკუპირებული დღევანდელი აფხაზეთის ნაწილს, კერძოდ, ტერიტორიას მდინარე ეგრისის წყლიდან ვიდრე კელასურამდე „შუა სოფელს“ უწოდებს. ეს არის მოქვისა და დრანდის თემები, სადაც ჩვენი დროის კანიბალებმა და ქართველთმოძულეებმა ქართველისა და ქართულის სახსენებელი ამოშანთეს. არადა, მე-17 საუკუნის ფრანგი მისიონერის, იეზუიტთა ორდენის წევრის ლუი გრანჟეს მიერ 1615 წლის 2 მარტს ხელმოწერილ მოხსენებაში გარკვევით იკითხება, რომ „მოქვი სამეგრელოში მდებარეობს“.***


მოქვის ღვთისმშობლის ტაძარი მე-10 საუკუნეშია აგებული და აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვში, მდებარეობს


დავით მეოთხე აღმაშენებელი. გელათის მონასტრის მე-16 საუკუნის ფრესკა

## 1659 წელს იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა დაგვიტოვა ცნობა, რომლის თანახმადაც მოქვის ტაძარში ნახა ასეთი წარწერა – „მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენისა და დავით აფხაზთა მეფის დროს!“ „დავით აფხაზთა მეფე“ იგივე ჩვენი საამაყო და უდიდესი ხელმწიფე დავით მეოთხე აღმაშენებელია!

**მდინარე ეგრისის წყლის** იდენტიფიცირება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჭირს, რადგან მისი ადგილსამყოფლის შესახებ აზრი იყოფა. აკადემიკოსი **პავლე ინგოროყვა** მიიჩნევს, რომ **ეგრისის წყალი** სინამდვილეში მდინარე **ღალიძგაა,** რაც მეგრული ტოპონიმია **(„ღალიშ ძგა“)** და ქართულად **„ღელის ნაპირს“** ნიშნავს.

ზემოხსენებული ფრანგი მისიონერი **ლუი გრანჟე** 1614 წელს სამეგრელოს მთავრის **ლევან მეორე დადიანის** თხოვნითა და სტამბოლში საფრანგეთის ელჩის **აშილ არლე დე სანსის** ხელშეწყობით გაემგზავრა სამეგრელოში კათოლიკობის გასავრცელებლად. 1615 წელს მან იეზუიტთა ორდენის გენერალ **კლავდიო აკვავივას** მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, სადაც სტამბოლიდან გურიამდე მთელი შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობა იყო აღწერილი. **ლუი გრანჟემ** მოხსენებით ბარათში ასევე საგანგებო ყურადღება დაუთმო გურიისა და სამეგრელოს მთავრებთან, ასევე მეფე **თეიმურაზ პირველთან** შეხვედრებს, რომელიც იმხანად ქართლ-კახეთიდან სამეგრელოში იყო გადმოხვეწილი.

მოკლედ, **მოქვი,** რომელიც დღეს, თურმე, „დამოუკიდებელ და სუვერენულ“ აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს, ფრანგი ავტორის ცნობით, მე-17 საუკუნის დასაწყისში ყოფილა სამეგრელო, ანუ საქართველო. ამას ადასტურებს დასავლეთქართული სახელმწიფოს, ანუ ქართულ და უცხოურ წყაროებში მოხსენიებული „აფხაზთა სამეფოს“ მონარქის **ლეონ მესამის** (957-967 წ.წ.) დროს აშენებული მოქვის დიდებული სამნავიანი ტაძარი, რომელმაც არაერთი გადაკეთება განიცადა, მაგრამ აქამდე პირველქმნილი დიდებულებით მაინც მოაღწია. 1300 წელს სწორედ მოქვის ტაძარში შეიქმნა **მოქვის ოთხთავი,** რომელიც **დიმიტრი გულიას** მიერ ყურით მოთრეულ **„აფსუათა ანბანით“** აფსუათა ენაზე კი არა, არამედ ძველისძველი ქართული ასომთავრულითა და ნუსხახუცურით ქართულ ენაზეა დაწერილი.

სხვათაშორის, 1659 წელს, სწორედ მაშინ, როცა აჯანყებულმა კახელებმა და თუშ-ფშავ-ხევსურებმა საქართველოს ისტორიაში საოცარი გმირობის მაგალითი ჩაწერეს და ბახტრიონის ციხესთან დაახლოებით 30 ათასი ყიზილბაში გაწყვიტეს, მოქვის ტაძარს იერუსალიმის პატრიარქი **დოსითეოსი** სტუმრობდა. მან დაგვიტოვა ცნობა, რომლის თანახმადაც მოქვის ტაძარში ნახა ასეთი წარწერა — **„მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენისა და დავით აფხაზთა მეფის დროს!“**

**ალექსი პირველი კომნენოსი,** რომელმაც ბიზანტიის ნგრევა და ტერიტორიული დამცრობა შეაჩერა და პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო, ბიზანტიის იმპერატორი 1081 წელს გახდა, 1118 წელს კი აღესრულა, ხოლო იერუსალიმის პატრიარქ **დოსითეოსის** მიერ მოქვის ტაძრის წარწერაში ხსენებული **„დავით აფხაზთა მეფე“** იგივე ჩვენი საამაყო და უდიდესი ხელმწიფე, საქართველოს კავკასიის იმპერიის შემქმნელი და ფუძემდებელი **დავით მეოთხე აღმაშენებელია.** ეს კიდევ ერთი უტყუარი დასტური და საბუთია იმის სადემონსტრაციოდ, რომ **„აფხაზეთი“, „აფხაზი“, „საქართველო“** და **„ქართველი“** უხსოვარი დროიდან იდენტური ცნებები იყო.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, იმედია, აფსუა სეპარატისტები იერუსალიმის პატრიარქ **დოსითეოსს** მაინც არ გამოაცხადებენ „ისტორიის გამყალბებლად“ და ჯორივით არ დაიწყებენ უცილობლობას, რომ მოქვის წარწერაში მოხსენიებული **„დავით აფხაზთა მეფე“** საქართველოს მეფე **დავით აღმაშენებელი** არ იყო და ქართულად კი არ ლაპარაკობდა, არამედ **ვლადისლავ არძინბასა** და რომელიღაც აფსუა სეპარატისტის წინაპარი გახლდათ და ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარ ენაზე მეტყველებდა!

სხვათაშორის, მოქვის ტაძრის აღმშენებელი **„აფხაზთა მეფე“ ლეონ მესამე** კახეთის მეფე **კვირიკე მეორეს** ებრძოდა, კახეთის დამორჩილებას ცდილობდა და საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში პირველობას არავის უთმობდა. **ლეონ მესამეც და კვირიკე მეორეც** ეთნიკური ქართველები იყვნენ. ისინი საქართველოს გაერთიანებისთვის დაწყებულ ბრძოლაში ერთმანეთს მხოლოდ ჰეგემონობისთვის ებრძოდნენ და არა იმისთვის, რომ „აფსუა“ **ლეონ მესამეს** ქართველი **კვირიკე მეორე** დაეპყრო და მერე კახელები ეიძულებინა, თუ სადმე ქალაქს დაინახავდნენ, ყველაფრისთვის **„აკუა“** ეწოდებინათ.

**ლეონ მესამემ კვირიკე მეორის** დამარცხება და კახეთის შემოერთება ვერ შეძლო, თუმცა, კვირიკე აიძულა, თავი **„აფხაზეთის მეფის“** ვასალად გამოეცხადებინა. ეს ის დრო იყო, როცა შიდა ქართლს უკვე აფხაზეთის დასავლეთქართული სახელმწიფოს მეფენი აკონტროლებდნენ და იქ სწორედ მათი ერისთავი იჯდა. ცნობისათვის, სანამ გამეფდებოდა და მამა ცოცხალი ჰყავდა, ლეონიც ქართლის ერისთავი იყო.

ადრეც ვთქვით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **იოანე მარუშისძე, რომელიც მოწინავე დასთან ერთად საქართველოს გაერთიანების იდეით გამოვიდა და ტაოს მეფე დავით მესამე კურაპალატს შეუთვალა, რომ დაეპყრო შიდა ქართლი და მისი მთავარი ქალაქი უფლისციხე, სწორედ „აფხაზეთის მეფეების“, ანუ დასავლეთ საქართველოს მეფეების მიერ შიდა ქართლში დანიშნული ერისთავი გახლდათ.**

964 წელს სწორედ **„აფხაზთა მეფე“ ლეონ მესამის** დროს აშენდა დღევანდელი ახალქალაქის რაიონში კუმურდოს საკათედრო ტაძარი, რომელიც დახუნძლულია ქართული ასომთავრული წარწერებით.

თუ აფსუა სეპარატისტების მიერ თავიანთ „სახელმწიფო მარკაზე“ გამოსახული **„აფხაზთა მეფე“ ლეონ მეორე** „დამოუკიდებელი აფხაზეთის ფუძემდებელი“ იყო და ქართულთან და საქართველოსთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაშინ როგორ მოხდა ის ამბავი, რომ **ლეონ მეორის** შთამომავალი **„აფხაზთა მეფე“ ლეონ მესამის** ბრძანებით, კუმურდოს ტაძარზე არა აფსუათა, არამედ სწორედ ქართველთა ენაზე ქართული ასომთავრულით ამოგვირისტდა — **„სახელითა ღმრთისაითა. მე იოვანე ეპისკოპოსმან დაუდევ დღე ახუსებაი აღაპად ვაჩე ერისთავსა, ვინ შეცვალოს**

## ქართლის ერისმთავარმა ნერსემ თავისი ცოლ-შვილი აფხაზთა მეფის კარზე გახიზნა!

### კვირგვინოსნები

**მარიამ ქვრივიშვილი**
*ეკონომიკის მინისტრის მოადგილე*



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საქართველოში, კონკრეტულად **რაჭაში, იწყება სრულიად ახალი კურორტის განვითარება** — შერჩეულია **მრავალძალი.** ჩვენ გვქონდა დავალება პრემიერ-მინისტრისგან, ვაწარმოეთ არაერთი კვლევა, მოვიკვლიეთ სხვადასხვა ადგილები და **შეირჩა მრავალძალი,** როგორც ერთ-ერთი გამოკვეთილად საინტერესო მიმართულება, სადაც სახელმწიფო კერძო სექტორთან ერთად გეგმაზომიერად განახორციელებს კურორტის განვითარებას.

„ინტერპრესნიუსი“

**ანა ნაცვლიშვილი**
*პარტია „ლელოს“ დეპუტატი*



სახელმწიფო **შოვთან დაკავშირებით სიმართლეს არ ეძიებს,** არ შეისწავლა და არ გამოიძია საქმე, პირიქით, დაკავებულია იმით, რომ დაგვარწმუნოს, **თითქოს ამოდენა მსხვერპლი არავისი პასუხისმგებლობა არ არის.**

„ინტერპრესნიუსი“

**თეა გოგოლაძე**
*დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორი*



გამოტანილმა მთავარმა დასკვნამ გაგვიმყარა აზრი, რომ **წინასწარი შეტყობინების სისტემების და მონიტორინგის არსებობის შემთხვევაში**, შესაძლებელი იქნებოდა **შოვის ტრაგედიის თავიდან აცილება.**

„ინტერპრესნიუსი“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?



აფხაზთა მეფე ლეონ მესამის ბარელიეფური გამოსახულება კუმურდოს ტაძრის გუმბათქვეშა აფრაში. მე-10 საუკუნე



კუმურდოს საკათედრო ტაძარი მე-10 საუკუნეშია აგებული და სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში, მდებარეობს

## საინტერესოა, რა პასუხი აქვთ ჩრდილოეთ კავკასიიდან მე-17-18 საუკუნეებში საქართველოში ჩამოსახლებულ აფსუა სეპარატისტებს აფხაზთა მეფე ლეონ მესამის დროს აგებულ კუმურდოს საკათედრო ტაძრის ქართულ წარწერებზე?

**კრულია ამით ხატითა, ჩემითა ჯუარითა.“**

ეს წარწერა კუმურდოს საკათედრო ტაძრის სამხრეთ ფასადზეა ამოტვიფრული და თარიღდება სწორედ 964 წლით, როცა ჯავახეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული სასულიერო კერა აშენდა. ზემოხსენებულის გარდა კუმურდოს სხვა უამრავი წარწერაც ამშვენებს და, ჩვენდა გასაკვირად, თითქმის ყველა წარწერა ბოლოვდება საშინელი წყევლითა და ანათემით — **ვინც ეს ყველაფერი შეცვალოს, ხატითა და ჯვრით კრულ იყოს!**

ალბათ, ჩვენი წინაპრები გუმანით გრძნობდნენ, რომ კუმურდოსა და მისი შემოგარენის მიტაცებას, შეცვლასა თუ გადაკეთებას ვიღაც ჩამოსახლებულები, გვარგადაკეთებულები და შემოხიზნულები აუცილებლად შეეცდებოდნენ და ამიტომაც დაიწყევლეს — **„ვინ შეცვალოს კრულია ამით ხატითა, ჩემითა ჯუარითა!“**

ასე რომ, **იოანე ეპისკოპოსის** წყევლა მიუვა ყველა გამყალბებელსა და ქვეგამხედვარს, მათ შორის, ავადსახსენებელ **რუს გენერალ-ფელდმარშალ ივანე პასკევიჩს,** რომელმაც პოლონეთისა და უნგრეთის აჯანყებები სისხლში ჩაახშო, ხოლო 1830-1831 წლებში ჯავახეთში თურქეთიდან გამოხიზნული უამრავი სომხური ოჯახი ჩამოგვისახლა და მთელი სამხრეთ საქართველოს ეთნიკური რუკა თვალის დახამხამებაში შეგვიცვალა!

საინტერესოა, რა პასუხი აქვთ ჩრდილოეთ კავკასიიდან მე-17-18 საუკუნეებში საქართველოში ჩამოსახლებულ აფსუა სეპარატისტებს **„აფხაზთა მეფე“ ლეონ მესამის** დროს აგებულ კუმურდოს საკათედრო ტაძრის ქართულ წარწერებზე? თუ ეს ტაძარი მათმა წინაპარმა ააშენა და „აფხაზთა მეფე“ **ლეონ მესამე** ქართველი კი არა, აფსუა, ანუ სულაძაღლებული ვლადისლავ არძინბას გენეტიკური და სულიერი წინაპარი იყო, მაშინ რატომ არ არის ტაძრის კედლებზე აფსუების სახსენებელი? გასაგებია, რომ წერა-კითხვა აფსუებმა არ იცოდნენ და არც ანბანი ჰქონდათ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ქართული ასომთავრულის გამოყენებით თავიანთ ენაზე სადმე რამე მაინც მიეწერათ, როგორც ამის მაგალითები დაღესტანში გვხვდება?

მაგრამ ასეთი რამ ვერაფრით მოხდებოდა, რადგან აფსუები ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჩამოსახლდნენ ამ სამასი-ოთხასი წლის და ათასზე მეტი წლის წინათ, როცა მოქვის ტაძარი შენდებოდა ცენტრალური კავკასიონის ქედს გადმოღმა, საქართველოში მათი სახსენებელი არ იყო. ბუნებრივია, რაც არ იყო და არ არსებობდა, ის ვერც მოქვის, ვერც კუმურდოს, ვერც ბედიისა და ვერც ბესლეთის ქართულ წარწერებში მოხვდებოდა.

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ცნობილი იტალიელი მისიონერი, ნეაპოლელი **არქანჯელო ლამბერტი,** რომელიც თეატინელთა ორდენის წევრი იყო, 1630-1649 წლებში, მთელი 19 წლის განმავლობაში, სამეგრელოში ცხოვრობდა. მან ბრწყინვალედ შეისწავლა მეგრული ენა და მე-17 საუკუნის არამარტო დასავლეთ საქართველოსა და ოდიშის სამთავროს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ უმნიშვნელოვანესი ცნობები დაგვიტოვა. **არქანჯელო ლამბერტის** ცნობები სპეციალისტების წრეში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე უფრო სანდო წყაროდ. სწორედ **არქანჯელო ლამბერტი** წერს, რომ **მე-17 საუკუნის ოდიშის, ანუ სამეგრელოს სამთავროს ჩრდილოეთი საზღვარი მდინარე კოდორისა და დრანდის ზონას მოიცავდა.** იგი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ოდიშის სამთავროს, ანუ სამეგრელოს ჩრდილოეთის საზღვარი ფანავის ქედს მიუყვებოდა, ადიოდა წებელდასთან, ხოლო შემდეგ გასდევდა მდინარე კოდორის მარჯვენა მხარეს და დრანდის თემის დასავლეთით შავ ზღვას უერთდებოდა.**

„შუა სოფელი“, ანუ ტერიტორია ღალიძგიდან კელასურამდე რომ დადიანის სამფლობელოში შედიოდა და მას სამეგრელო ერქვა, ამას **არქანჯელო ლამბერტის** გარდა თვით რუსი ელჩები — **ფედოტ ელჩინი** და **პავლე ზახარიევიც** კი ადასტურებენ, რომლებმაც 1639-1640 წლებში მოქვისა და დრანდის თემები მოიარეს.

**„აფხაზთა მეფენი“** რომ ქართული პოლიტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ და ქართულ მენტალიტეტს ატარებდნენ, ეს კარგად ჩანს **იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებაშიც“,** სადაც დეტალურად არის მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ გახიზნა არაბთა წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლის ერისმთავარმა და **გრიგოლ ხანძთელის აღმზრდელმა ნერსე მეორემ** თავისი ცოლ-შვილი **„აფხაზთა მეფის“ ლეონ მეორის** კარზე. **ნერსეს** სახლეული გადამთიელ აფსუებთან არ გაუგზავნია, რადგან აფსუები მაშინ აფხაზეთში ჩამოსახლებულები არ იყვნენ. არაბებთან მებრძოლმა გმირმა ერისმთავარმა თავისი სისხლი და ხორცი — ცოლ-შვილი დასავლეთ საქართველოში თვისტომებთან — ქართველებთან გაგზავნა. სხვათაშორის, **„აფხაზთა მეფე“ ლეონ მეორის** მემკვიდრე **თეოდოსი მეორე აშოტ დიდი კურაპალატის** ერთგული მოკავშირე და გულშემატკივარი იყო. როცა **აშოტი** კახეთის პირველ მეფეს, **ქორეპისკოპოს გრიგოლს** შიდა ქართლის გამო ებრძოდა, **„აფხაზთა მეფე“ თეოდოსი მეორე აშოტ პირველს** გვერდით ედგა, ერთიან და დიდ საქართველოზე ფიქრობდა და არა იმაზე, ქართველების მოჭრილი თავებით გაგრის სტადიონზე ფეხბურთი როგორ ეთამაშა!

უძველესი ქართული ტომებით — **ლაზებითა და ჭანებით დასახლებული ტრაპიზონი და მისი შემოგარენი** „აფხაზთა“ დასავლეთქართულ სახელმწიფოს სწორედ **ლეონ მეორის** მეფობის დროს შემოუერთდა. ცხადია, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, **ტრაპიზონი** კოლხეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. ამას ძველი ბერძენი სარდალი, მოგზაური და ფილოსოფოსი **ქსენოფონტეც** ადასტურებს, რომელმაც ქართული ტომებით დასახლებული ტერიტორიები ძველი წელთაღრიცხვის მე-5 და მე-4 საუკუნეების მიჯნაზე თავის 10-ათასკაციან ბერძნულ ლაშქართან ერთად გამოიარა და შავი ზღვის გავლით სამშობლოში დაბრუნება მოახერხა. **ქსენოფონტე** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალაქი ტრაპეზუნტი კოლხეთის სამეფოში შედიოდა ისევე, როგორც კოლხეთს ეკუთვნოდა ტრაპეზუნტის დასავლეთით მდებარე ქალაქი ძველი კერასუნი.

ასე რომ, **„აფხაზთა მეფე“ ლეონ მეორე,** რომელიც აფსუა სეპარატისტებმა თავიანთი „სახელმწიფოებრიობის“ მედროშედ და მებაირახტრედ გამოაცხადეს, ეშმაკებისკენ კი არ იხედებოდა, არამედ ანტიკურ წყაროებში ასე განდიდებული და აღმატებული უძველესი და „ოქრომრავალი კოლხიდის“ აღდგენა-აღორძინების უწმინდეს იდეას ემსახურებოდა, **რადგან თავს კოლხად — ქართველად მიიჩნევდა და არა აფსუად!**

სწორედ ამიტომ იყო, რომ ხატმებრძოლობით ქანცგაწყვეტილი და დასუსტებული ბიზანტია ტრაპიზონზე **ლეონ მეორის** კანონიერი უფლებების აღდგენას ეგუებოდა, თორემ ვიღაც გადამთიელ და წერა-კითხვის უცოდინარ აფსუებს აბა, ტრაპიზონში — ლაზების უმთავრეს ქალაქში ვინ მიასუნინებდა?

**ლეონ მეორე კი არ წვავდა და ანგრევდა, არამედ დიდ და ერთიან საქართველოზე ოცნებობდა და აშენებდა, რადგან ქართველი იყო!**

არადა, ჩვენ დავინახავთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუები ქართული ქალაქებისა და სოფლების გადაწვაში ამ ოთხასი-ხუთასი წლის წინაც ისე იყვნენ გაწაფული, როგორც აფხაზეთის ომისა და 1998 წლის გალის ცნობილი მოვლენების დროს.

## აფხაზთა მეფე ლეონ მეორე დიდ და ერთიან საქართველოს აშენებდა, რადგან ქართველი იყო!

*დიტო ჩუბინიძე*

### კვირგვინოსნები



**ლევან სუხიაშვილი**

*დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი*

**დღეს ყველაზე მაღალი რისკი და საფრთხე თბილისშია** — მოსახლეობა მრავალრიცხოვანია, ქალაქი მჭიდროდ დასახლებულია და საფრთხეც ბევრი სახისაა — **იგულისხმება არამარტო ვერე, არის სხვა მდინარეებიც,** წყალმოვარდნები რომ იცის, არის **მეწყრული უბნებიც** და ამას დავუმატოთ **მიწისძვრის საფრთხეც.**

„კვირის პალიტრა“



**ზურა მანჯავიძე**

*მომღერალი*

დღეს **ეკლესიის წინააღმდეგ დიდი ბრძოლები მიმდინარეობს.** სასულიერო პირების კრიტიკა მოდაშია. სამწუხაროდ, **ელესიის წიაღში ცუდი ფაქტები მართლაც ხდება,** მაგრამ მხოლოდ ცუდის დანახვა ჩვენს სიმდაბლეზე მეტყველებს.

„სარკე“



**დიმიტრი ლორთქიფანიძე**

ცოტა ხანში დაინახავთ, რომ ოპოზიცია **ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების მომხრეთა შორის** რიგში პირველი იქნება.

„საერთო გაზეთი“



**როман გოცირიძე**

*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

ალბათობა, რომ **ოთხი ოპოზიციური ცენტრიდან ერთი დარჩეს გარეთ,** დიდია, რაც დანაშაულებრივი რეჟიმის ხელისუფლებაში დარჩენას ნიშნავს, **ამას ხალხი ოპოზიციას არასდროს აპატიებს.**

„პირველი არხი“

***ცნობილ ქართველ მეცნიერს, მკვლევარს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ალექსანდრე გაჩეჩილაძეს, რომელმაც შავი ზღვის ზვიგენის — კატრანის ღვიძლისგან უნიკალური და ზემძლავრი იმუნომოდულატორი, საქვეყნოდ ცნობილი პრეპარატი „კატრექსი“ შექმნა, 2 აგვისტოს 90 წელი შეუსრულდებოდა. მისი თანამშრომლები და მეგობრები — რამაზ გუნიავა და ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ამ მართლაცდა უნიკალურ პიროვნებას იხსენებენ და აცხადებენ, რომ ალექსანდრე გაჩეჩილაძის „კატრექსის“ უგულებელყოფით ქართული მედიცინა და საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ძალიან ბევრს კარგავს.***



# ალექსანდრე გაჩეჩილაძე, რომლის პრეპარატმა „კატრექსმაც“ მთელი საბჭოთა კავშირი შეძრა, 90 წლის გახდებოდა!



**რამაზ გუნიავა**, ***პრეპარატ „კატრექსის“ წარმოების ყოფილი უფროსი:*** — „კატრექსის“ წარმოება 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და ამ წამლის გამოშვებას მთელ საბჭოთა კავშირში დიდი ეიფორია მოჰყვა. თავიდან ლაბორატორიის თანამშრომლები პრეპარატს ერთმანეთზე ვცდიდით და როცა დავრწმუნდით, რომ აბსოლუტურად უსაფრთხო იყო, გადავედით სერიულ წარმოებაზე. საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილისა და შემდეგ უკვე მინისტრის, მსოფლიო კარდიოლოგიის მამის, აკადემიკოს **ევგენი ჩაზოვის** გადაწყვეტილებით, „კატრექსი“ უნდა გამოგვეცადა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ოდესაში, დნეპროპეტროვსკსა და თბილისში, ხოლო პრეპარატი უნდა გამოგვეშვა აუცილებლად მოსკოვში.

**ალექსანდრე გაჩეჩილაძეს ჩაზოვი ჰპირდებოდა ინსტიტუტის შექმნას, რაზეც მან კატეგორიული უარი თქვა და განაცხადა, რომ „კატრექსი“ მხოლოდ თბილისში, საქართველოში უნდა დამზადებულიყო.**

ამან ჩაზოვსა და გაჩეჩილაძეს შორის ურთიერთობა დაძაბა და „კატრექსის“ გამოყენება მხოლოდ მეოთხე სტადიის, ფაქტობრივად, გადადებულ სიმსივნურ ავადმყოფებზე დაუშვეს. მიუხედავად ამისა, პრეპარატს მაინც სერიოზული ეფექტი ჰქონდა. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ მთელი კრემლი სწორედ „კატრექსს“ იკეთებდა.

მოკლედ, მოსკოვს ჩვენი დახურვა უნდოდა, მაგრამ ვერ გვხურავდნენ, რადგან მთელი პოლიტბიურო „კატრექსს“ იკეთებდა. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ თვითმფრინავი სპეციალურად გაუჩერებიათ და მანქანით გავქცეულვართ, რათა „კატრექსით“ სავსე თერმოსი მოსკოვში წაგვეღო. მოკლედ, **ისეთი მაღალი დონის ხალხი ელოდებოდა მოსკოვში ამ პრეპარატს, რომ მგზავრებით სავსე თვითმფრინავს ასაფრენ ბილიკზე აჩერებდნენ.** როგორც ვიცი, იყო ასეთი შემთხვევაც — რომელიღაც რუსი გენერალი შორეული აღმოსავლეთიდან პირადად ჩამოფრინდა ვაზიანის აეროპორტში სამხედრო თვითმფრინავით, რათა „კატრექსი“ ავადმყოფი მეუღლისთვის წაეღო!

# საქართველოში „კატრექსის“ წარმოება უნდა აღდგეს!

**ჩაზოვის** ბრძანებით, ონკოლოგიურ საავადმყოფოებში „კატრექსის“ შეტანა აკრძალული იყო... ამის მიუხედავად, ონკოლოგიურიდან ერთი ექიმი ჩამოვიდა და მთხოვა — დედა მიკვდება, „კატრექსი“ უნდა გავუკეთო და ნუ გამამხელო! — წაიღე, არ ვიტყვი-მეთქი! ქალი გადადებული იყო და ისეთი საშინელი ტკივილები ჰქონდა, დღეში სამჯერ მორფინს უკეთებდნენ. „კატრექსმა“ უმძიმეს ავადმყოფს ტკივილები დაუცხრო, ქალს მორფინი საერთოდ მოუხსნეს და პაციენტმა ორი თვე იცოცხლა. ავადმყოფი სრულ ჭკუაზე მყოფი, მშვიდად გარდაიცვალა.

**— ბატონო რამაზ, როგორი კაცი იყო ალექსანდრე გაჩეჩილაძე?**

— ეს იყო ძალიან მიმნდობი და საოცრად პატიოსანი ადამიანი! მახსოვს, ალექსანდრე გაჩეჩილაძე ზოოპარკის დირექტორად მუშაობდა, სადაც მომსახურე პერსონალმა ჯიშიან ცხენებს საგანგებოდ მათთვის განკუთვნილი იონჯა არ აჭამა და გაყიდა. ამის გამო ალექსანდრე გაჩეჩილაძე კინაღამ დაიჭირეს. იგი იყო საოცრად გულუბრყვილო, რითიც ბევრი უსინდისო სარგებლობდა და ატყუებდა. ერთხელ დაინტერესებულმა პირებმა ამერიკაში წაიყვანეს, სადაც მან, ეტყობა, ზომაზე მეტი ილაპარაკა, რის შემდეგაც შვეიცარიამ აბსოლუტურად იდენტური პრეპარატი — **„ზვიგენის ხრტილი“** გამოუშვა. მისი ანოტაცია ზუსტად იმეორებს „კატრექსის“ ანოტაციას.

## კვირგვინოსნები

**ნანი ბრეგვაძე**
*მომღერალი*



ღმერთს ვთხოვ, **კიდევ ორი წელი ვიცოცხლო...** ამასობაში **88 წლამდე** მოვედი. მინდა, კარგს მოვესწრო, უკვე ძალიან დიდი ხნის ვარ. როცა წავალ, **ბევრი ტირილი საჭირო არ არის,** ჩემები ძალიან მოწესრიგებული და დავარცხნილები უნდა ისხდნენ.

„კვირის პალიტრა“

**ციცინო კობიაშვილი**
*რეჟისორი*



გული მისკდება, ყველა წუთში რომ განცხადებებს ვისმენთ და ვკითხულობთ იმ ადამიანების შესახებ, **ვისაც სიცოცხლის გადასარჩენად თუნდაც ერთი ლარი ესაჭიროება.** ნუთუ არ გვექნება ისეთი ჯანდაცვა, რომ **ადამიანებს ასეთ აუცილებელ საკითხებზე არ უწევდეთ დარდი.** თუ დიდი ფული მექნებოდა, ჯანდაცვაში ჩავდებდი.

„თბილისელები“

**ნანა ლორთქიფანიძე**
*ქეთევან კიკნაძის ქალიშვილი, მსახიობი*



მენინგიტის შემდეგ **სრულიად აილო თეატრმა ხელი დედაზე.** არადა, ქართულ სერიალებში მაინც იღებდნენ. რა სერიალიც კი გადაღებულა საქართველოში, თითქმის ყველგან ითამაშა. **თეატრში მუშაობის ენერგიაც ჰქონდა, სურვილიც, მაგრამ 2011 წლის შემდეგ სცენაზე აღარაფერი უთამაშია.**

„სარკე“

**გოგი გვახარია**
*კინომცოდნე*



**ქალებმა გაუსწრეს კაცებს კინოში,** უკან ჩამოიტოვეს, ბევრად უფრო თამამ ფილმებს იღებენ — უფრო გაბრაზებულ ფილმებს, უფრო ცოცხალ ფილმებს. **და ასე იქნება პოლიტიკაშიც, ფეხბურთშიც და ყველგან.**

„სარკე“



ლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვინმე **ალექსანდრე გაჩეჩილაძე** და მის მიერ შექმნილი პრეპარატი **„კატრექსი“.**

**ლუარსაბ შარაშიძე** მას უწოდებდა ცრუმეცნიერსა და აფერისტს, რომელმაც **კატრანის** ღვიძლისგან შექმნა ვითომდა კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატი და ა.შ. გადავწყვიტე, შევხვედროდი **ალექსანდრე გაჩეჩილაძეს,** რომელიც ანტონოვსკაიას ქუჩაზე, სარდაფში, სრულიად შეუფერებელ პირობებში, ოთხ-ხუთ კაცთან ერთად მუშაობდა. სწორედ იქ გავიცანი **რამაზ გუნიავაც.** დაგეგმილი ნახევარი საათის ნაცვლად, **ალექსანდრე გაჩეჩილაძესთან** საუბარი 5 საათს გაგრძელდა. გამაოცა მისმა არაორდინარულმა იდეებმა და აზრებმა. მოგეხსენებათ, **ალექსანდრე გაჩეჩილაძე** იკვლევდა ყვავის სისხლს, მუშაობდა ჭიაყელებზე, რომლებსაც რეგენერაციის უნარი გააჩნიათ.

**— როგორი კაცი იყო ალექსანდრე გაჩეჩილაძე?**

— ის იყო უდიდესი მეცნიერი, ამასთან, ფართო ერუდიციისა და გაქანების ადამიანი, რომელსაც სპეცსამსახურები დევნიდნენ. ალექსანდრე გაჩეჩილაძის შურდათ და ექიმები, ფაქტობრივად, არც ეკარებოდნენ. ცნობილია, რომ ის „კატრექსზე“ 60-იანი წლებიდან მუშაობდა. მისი ყურადღება მიიპყრო მარშალის კუნძულებთან ამერიკელების მიერ წყალქვეშ განხორციელებულმა ატომურმა აფეთქებებმა, სადაც რადიაციამ ირგვლივ ყველაფერი გაჟუჟა, გარდა ზვიგენებისა, რომლებიც ოკეანეში თავისუფლად დაცურავდნენ.

მოგეხსენებათ, ღვიძლი არის ის ორგანო, რომელიც ორგანიზმს ყოველგვარი სიბინძურისგან იცავს და სისხლს ფილტრავს. აქედან გამომდინარე, **რაკი ატომურ აფეთქებებს ზვიგენები გადაურჩნენ, ალექსანდრე გაჩეჩილაძემ დაასკვნა, რომ ზვიგენის ღვიძლი უნდა ყოფილიყო ის უძლიერესი ორგანო, რომელმაც ისინი რადიაციისგან იხსნა.** მოკლედ, მეცნიერმა შავი ზღვის ზვიგენის — **კატრანის** ღვიძლის თერმული დამუშავების შედეგად შექმნა უმძლავრესი იმუნომოდულატორი **„კატრექსი“,** რომელმაც თავის დროზე მთელი საბჭოთა იმპერია შეძრა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, საიდან არ გვაკითხავდა იმ სარდაფში ხალხი. მერე ნუცუბიძის 127-ში, უკვე სახლში გადავედით.

**— თქვენ ალექსანდრე გაჩეჩილაძის ლაბორატორიაში რა ფუნქცია გქონდათ?**

— მე და **ბატონი ალექსანდრე** შევთანხმდით, რომ მასთან სრულიად უსასყიდლოდ ვიმუშავებდი და აღვწერდი მძიმე ონკოლოგიურ პაციენტებზე „კატრექსის“ ზემოქმედების შედეგებს. მთელი ორი წლის განმავლობაში 600-მდე სხვადასხვა შემთხვევა აღვწერე.

**აღმოჩნდა, რომ კიბოს პირველ და მეორე სტადიაში „კატრექსი“ ამარცხებდა, ხოლო მომდევნო სტადიებში პაციენტის მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა, მტანჯველ ტკივილებს ხსნიდა და სიცოცხლეს ახანგრძლივებდა.**

მივლინებებით მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარე — **„კატრექსი“ ჩამიტანია ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკში, მოსკოვში, კიევში...** თბილისში, საბურთალოს ქუჩის №35-ში, სადაც ბობოლა კაგებეშნიკები ცხოვრობდნენ, ალექსანდრე გაჩეჩილაძის თხოვნით, „კატრექსი“ არაერთხელ მიმიტანია. ჩინოვნიკები მერე ამ „კატრექსს“ მოსკოვში, კრემლში აგზავნიდნენ. **„კატრექსით“ თვით ლეონიდ ბრეჟნევიც მკურნალობდა!**

**— ალექსანდრე გაჩეჩილაძის მოღვაწეობას როგორ შეაფასებთ?**

— **ალექსანდრე გაჩეჩილაძემ** დროს გაუსწრო! ისეთი იდეები ჰქონდა და ისეთ პროექტებზე მუშაობდა, გაოცებული ვიყავი. ზედმიწევნით იცოდა ძველი ქართული მედიცინა და, როგორც ყველა გენიოსს, აბსოლუტურად არ აინტერესებდა ყოფითი წვრილმანები. ალექსანდრე გაჩეჩილაძეს ძალიან უყვარდა ქალები და ღვინო — ნამდვილი ქართველი იყო.

ალექსანდრე გაჩეჩილაძეს ჰყავდა ორი დიდი მტერი — საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის მინისტრი, აკადემიკოსი **ევგენი ჩაზოვი** და საბჭოთა კავშირის მთავარი ონკოლოგი **ნიკოლაი ბლოხინი.** ამ მტრობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ალექსანდრე გაჩეჩილაძემ, როგორც პატრიოტმა ქართველმა, უარი უთხრა ჩაზოვს, „კატრექსი“ მოსკოვში გამოეშვა. „კატრექსს“ სჭირდებოდა დახვეწა, მაგრამ გაჩეჩილაძე ძალიან საეჭვო ვითარებაში 64 წლისა ინსულტით გარდაიცვალა. **ჩვენ, ქართველებმა, მისი სახით ნობელის პრემიის პოტენციური ლაურეატი დავკარგეთ. „კატრექსი“, რომლის წარმოების ტექნოლოგია სულ რამდენიმე ადამიანმა ვიცით, აუცილებლად აღსადგენია!**

ესაუბრა

**დიტო ჩუბინიძე**



## რამაზ გუნიავა:

# მოსკოვს ჩვენი დახურვა უნდოდა, მაგრამ ვერ გვხურავდნენ, რადგან მთელი პოლიტბიურო „კატრექსს“ იკეთებდა!



**— „კატრექსი“ სჯობს თუ „ზვიგენის ხრტილი“?**

— რა თქმა უნდა, **„კატრექსი“** სჯობს, მაგრამ უცხოელებს ისე აქვთ დალაგებული ყველაფერი, ვერაფერში შეედავები!

**— დღეს „კატრექსი“ გამოდის?**

— დღეს „კატრექსი“ დაბლოკილია, პრეპარატი არ იწარმოება და არც ლიცენზია არსებობს. „კატრექსი“, როგორც იმუნომოდულატორი და დამხმარე საშუალება, იდეალურია, მაგრამ სახელმწიფოს ეს პრეპარატი არ აინტერესებს. „კატრექსი“ არის აბსოლუტურად ბუნებრივი პრეპარატი. ფაქტობრივად, ცოცხალი D ვიტამინი შეგვყავდა ადამიანის ორგანიზმში, რაც ფანტასტიკის სფეროა.

**— როგორ და როდის გარდაიცვალა ალექსანდრე გაჩეჩილაძე?**

— ალექსანდრე გაჩეჩილაძე 1998 წელს გარდაიცვალა. 64 წლის იყო, შინ ტელევიზორს უყურებდა და საჭმელს ჭამდა, როცა ინსულტი დაემართა. უნიჭიერესი ბიოლოგი იყო — არაორდინარული პიროვნება, საოცარი და ფანტასტიკური იდეებით. საქართველომ მისი სახით უდიდესი მეცნიერი და ნოვატორი დაკარგა!

**კახა საბახტარიშვილი**, ***ალექსანდრე გაჩეჩილაძის მეგობარი, თანამშრომელი, ექიმი, მეცნიერი და ჰომეოპათი:*** — სამედიცინო ინსტიტუტი სულ ახალი დამთავრებული მქონდა და ნევროლოგიის კათედრაზე ვმუშაობდი, როცა 1985 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მაშინდელი ონკოცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ **ლუარსაბ შარაშიძის** წერილი, სადაც მოთხრილი და განადგურებული იყო ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი...

## კახა საბახტარიშვილი:

# „კატრექსი“, რომლის წარმოების ტექნოლოგია სულ რამდენიმე ადამიანმა ვიცით, აუცილებლად აღსადგენია!

## კვირგვინოსნები

**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*



ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც **ხმას ნაცმოძრაობასა და ნაცმოძრაობასთან ასოცირებულ პირებს არავითარ შემთხვევაში არ მისცემს,** თუნდაც ქვეყანა იქცეოდეს. მე არ გამოვრიცხავ, ხელისუფლებამ გაიმარჯვოს მცირე უპირატესობით, როდესაც **4-5 მანდატით მეტი იქნება,** მაგრამ ეს მაინც მისი მარცხი იქნება, რადგან **ივანიშვილს** უკვე ნათქვამი აქვს, რომ, მინიმუმ, **60 პროცენტი უნდა.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ლიდერი*



**ბიძინას ასლანიზაციის პროცესი** ფინალს უახლოვდება. **ბიძინამ** ახალგაზრდობა კი არ დაღალა, არჩევნებისკენ შემოატრიალა. მადლობის მეტი რა გვეთქმის, **ბიძინა ივანიშვილი არის, მისდა უნებურად, ჩვენი მთავარი პოლიტიკური პარტნიორი.** მან უზრუნველყო საკუთარი პოლიტიკური სამარის გათხრა!

„ახალი თაობა“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ტრამპის გაპრეზიდენტებაზე საუბარი ნაადრევია!** ჩვენს ხელისუფლებას ვუსურვებ, **სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკის გატარებასა** და დასავლეთთან ინტენსიურ მუშაობას ურთიერთობების დასარეგულირებლად.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიცია ბეწვის ხიდს გადის, თუ მიზანი არის **მხოლოდ საარჩევნო ბარიერის გადალახვა და პარლამენტში ორი-სამი დეპუტატის ყოლა,** მაშინ პრობლემა არ არის, მაგრამ, თუ მიზანი არის **ხელისუფლების ცვლილება,** მაშინ ოპოზიცია სხვანაირად უნდა გადალაგდეს.

„ახალი თაობა“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხედელაშვილთან ერთად

# ხარჩილავასთან აახრჩოლეს!

იცით, რა მიკვირს? ეს **ნაცები** და მათი „ასკოლკები“ რომ **დეეთრევიან მუნიციპალიტეტ-მუნიციპალიტეტ,** შემთხვევით გამვლელებს უსაფრდებიან, ხელს ართმევენ იეღოვური ღიმილით, ბოლოს სურათს რომ გადაიღებენ გურჯაანელი მევენახეებივით, თბილისლებიანად 30-ზე მეტნი რომ არ გამოდიან და თან აღტყინებულები ყვებიან — **ოქტომბერში არჩევნებს ვიგებთო** — ეგ რანაირ ლოღიკაში ეტევა?

ამათ, უბრალოდ, თავის ქალები ეფხანებათ შიგნიდან თუ ეგეთი მრწამსი აქვთ?!

**ისე, რაღა დაგიმალოთ და... ვინც ამათ უჩერდება, ხელს ართმევს და ელაპარაკება, არცერთი ნორმალური არა მგონია.**

გარეგნობაზე არავის დავცინი, გამვლელი **ნაცი** თვითონ იქცევს ყურადღებას თავისი გაავებული გამომეტყველებით და არაადეკვატური მიხვრა-მოხვრით. **ნაცი აღარ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმდევარი, ის არის რაღაცნაირი ჯიში,** დურდომი, თავანკარა ღვინოს რომ გამოეყოფა, ქვემოთ წავა და არყის გამოსახდელადაც არ ვარგა ხოლმე.

**რას უშვრებიან დურდომს, ანუ მთხლეს? სადმე გაიტანენ და ღვრიან, სხვა გზა არ არსებობს.**



**სუნი?**

**სუნზე ნუ იკითხავთ?**

აბა, უყურეთ, ახლა წალენჯიხაში, ნაცების მუნიციპალიტეტში, **აუხრჩოლებიათ,** მაგრამ **ხარჩილავასთან** რომ ამდენნი არიან, სხვაგან რამდენი იქნებიან?






# რა სპორტია?

ავი ენები იძახიან, **სალომე ბაბო** საფრანგეთში **ოლიმპიურ წვეულებაზე ისე დათვრა,** მთელი დუნიის თვალწინ ხალიჩაზე გაიშხლართაო.

**ეგ კიდე არაფერი,** შავი ფრანცუსკები უკუღმა ყარაო, მაღლაო, ჰაერშიო.

**ეგ კიდე არაფერი,** ჩულქზე თვალი ჩაუწყდა, იღლიაში პლაშჩიც გეერღვა და ღილებიც ასწყდაო.

კარქი რა, ქალო, კარქი, რა!

სახლში ჯამ-ჭურჭელი არ შაირჩინე, რაც გქონდა, კედელს შეალეწე. ერთი ნორმალური სკამი აღარ გაქ, ზოგს ფეხი მოსტეხე, ზოგს დასაჯდომი ჩაუხვრიტე. **ორბელიანების სასახლეში ყოველი კვირის ბოლოს ჭიქებსა და მათლაფებს ყიდულობენ...** რა გინდა, რას გვერჩი, ვალი გვაქ შენი ძმა ოთარასი, კაკლი საბერტყ ჯოხს რომ ჰგავს?!

☺

**ვააახ, კაცოოოო!**

**არ მოგვჭრა თავი მსოფლიო მასშტაბით?**

**კარგი, ჰო, სვამ, სვამ, იმდენი მაინც დალიე, ცარცით რომ გაგიხაზავენ, სწორად გაიარო,** ეხლა ფეხების აშვერა, ფრანცუსკების უკუღმა ყრა და ზნუყი იქნებოდა?

**ფრთხილად, ოლიმპიადიდან შენც რომელიმე სპორტის სახეობაში მოყვითალო მენდალი არ გამოგატანონ!**

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**რამდენად გაიხრწნა ევროატლანტიკური სივრცე** ლიბერალური იდეოლოგიის შედეგად, **პარიზში გაცხადდა!**

„POSTV“

**მამა ალექსანდრე ბალდავა**
*დეკანოზი*



ოლიმპიადაზე პირდაპირ ნაჩვენები იყო **საიდუმლო სერობის ანალოგი, ოღონდ ტრანსგენდერების შესრულებით,** სხვისი შეურაცხყოფა ევროპული ფასეულობა ნამდვილად არ არის.

„TV იმედი“

**მამა ანდრია კემულარია**
*დეკანოზი*



ის, **რაც ოლიმპიადის გახსნაზე ვიხილეთ,** ცალსახად მიუთითებს ე.წ. განვითარებული სამყაროს დღემდე **არნახულ დეგრადირებაზე და დექრისტიანიზაციაზე.**

„აიპრესი“

**მამა დავით რუხაძე**
*დეკანოზი*



**ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი** დაემსგავსა ფაქტობრივად **„გეი პარადს“,** ანუ **ლგბტ პროპაგანდისტების ფესტივალს.**

„TV იმედი“

**მამა შალვა კეკელია**
*დეკანოზი*



**ლიბერალური ფრთა მთელ დედამიწაზე გამეფებულია,** თუ ადრე საუბარი იყო, რომ ისინი იჩაგრებიან და მათი უფლებები უნდა დავიცვათ, დღეს პირიქითაა — **შეტევაზე გადმოდიან და არ ტოვებენ არაფერს ღირებულს და ფასეულს.**

„აიპრესი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**ტერორისტული აქტის მოწყობა** „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეზე — **ეს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია!**

„იმედინიუსი“

# დასახატები



დედააააააა!

როგორი ორყბა ღიმილი, რამფერი ტუჩ-კბილ-ბაგეთა ზეიმი, რანაირი გამჭოლი მზერა, დამატყვევებელი გამომეტყველება, მიზანდასახულობა, ტანწერწეტობა, პლასტიკურობა, მიხვრა-მოხვრა, მიტრიალ-მოტრიალება, რევოლუციური აღმაფრენა.

ლეონარდო და ვინჩი ცოცხალი რომ იყოს, თავის **„მონა ლიზას“** წაშლიდა და **კაპიტან გიგაურს** დახატავდა. აბა, სად ამისი იდუმალი ღიმილი და სად მისი ყბებმონგრეული „ჯოკონდა“.

ოღონდ **კაპიტანი გიგაური** ერთი პირობით დათანხმდებოდა — **ლეონარდოს** საერთოდ არ უნდა ეხსენებინა სიტყვა **„მონა“,** მის შედევრს ერქმეოდა უბრალოდ **„ეკონდა“.**

მაგის მერე გურული ქალი რო დგას წითელი ჟორშის კაბაში, რავა, არ არი „გამზადილი“ სატიციანოდ?

**ეგეთ ზორბა ქალებს ტატრაყუნა მდგომარეობაში ტიციანი ხატავდა ყველაზე მაგრად. წამააწვენდა „კუშეტკაზე“, ინტიმურ ადგილზე ყაბალახს მიაფარებდა და ქმნიდა შედევრებს.**

შემდეგ დგას **ბუკა ვიკია** თავისი შემეცნებითი ღიმილით. მიიყვანეთ აგი **რაფაელ სანტის** საფლავთან, ეგრევე წამოხტება, ნაკუწებად აქცევს „სიქსტეს მადონას“ და შექმნის **„სიქსტეს ვიკიას“,** თან მარჯვენა დაბალ კუთხეში მიაწერს: **„ბურატინოჩენკო“.**

არა, რაააა, მაინც რა არი ხელოვნება, არც საზღვრები აქ, არც ღობეები!

და აი, **ლომჯარიას აღმატყინებელი ღიმილიც,** რომელიც პირდაპირ სულში უძვრება ადამიანებს!

ვინ დახატავდა ამ **აღმატყინებელ ღიმილს? ბოტიჩელი?** ეგებ **კარავაჯო?** არა, კარავაჯო ცოტა უხეშ მხატვრად მეჩვენება საამისოდ. ეგებ **მიქელანჯელო** გაგვეღვიძებინა და საჭრეთელი მიგვეცა ხელში? ლომჯარიას ნატიფ სხეულს მხოლოდ ის თუ გამოაქანდაკებდა იტალიურ მარმარილოში. კი ბატონო, მე პირადად **მიქელანჯელოს** ვენდობოდი და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს მოვუწოდებდი, ამ ზოგადსაკაცობრიო საქმისთვის გრანტიც გამოეყოთ, მარტო სიტყვიერი აღტყინება არ კმარა.



## „ახლა კიდევ კეზერაშვილს ჩააკითხეს, ქართული ჯარის მძარცველს და იმ ფულით ისევ სათავეში უნდათ დაჯდომა!“

***მსახიობი ანრი ბიბინეიშვილი-ჯაყელი***
***ამ არჩევნებზე ოპოზიციას სრულ კრახს უწინასწარმეტყველებს და საზოგადოების მომწამვლელ ამ გაერთიანებაზე საუბარს აღარ აპირებს:***

— ამ უზრდელ, თავხედ და გაჯამბაზებულ ოპოზიციას შემოდგომაზე წერტილი დაესმევა. ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი მათ ხმას არ მისცემს. საკუთარ ფურთხს ლოკავენ, ოღონდაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. **ეს არის ჩემის გაერთიანებული ოპოზიცია, რომელიც ისე ძალიან ყარს, რომ მის გვერდით ჩავლისას ცხვირზე ხელი უნდა მოისა და გუბაზ სანიკიძის** ფაზაში არიან. სულ მალე ხალხს შერცხვება მაგათზე სიტყვის თქმა და მაგათი ხსენებაც კი არავის მოუნდება.

**— ოპოზიციას შეცვლილი აქვს გარკვეული მოსაზრებები...**

— მოვისმინე მაგათი მოსაზრებები... **სალომე ზურაბიშვილს** უშვერი სიტყვებით რომ ლანძღავდნენ, დღეს ხელზე ეამბორებიან. რუს ტურისტებზე რომ გაჰკიოდნენ — **არ შემოვუშვათო,**



## ანრი ბიბინეიშვილი-ჯაყელი:

# ოპოზიცია ყარს!

## „ქართულ პოლიტიკას არც სააკაშვილი სჭირდება და არც მისი პარტია!“

**იჭირო.**

ეს მყრალები საზოგადოების მოწამვლას არ ეშვებიან, ერთმანეთსაც ატყუებენ და ქართველ ამომრჩეველსაც. **მამუკა ხაზარაძე და ალეკო ელისაშვილი** გუშინ რომ ერთმანეთს აგინებდნენ, დღეს ერთიანდებიან — ხალხო, ხმა მოგვეცითო... მოკლედ, **სააკაშვილი**დღეს სრულიად სხვას ამბობენ — მოვიდნენ, ფული აქ დახარჯონო... **ღვინოში შარდს ჩაგისხამთ, თუკი რუსეთში გაყიდითო** და ახლა კნავიან — ხალხს თუ სჭირდება, წინააღმდეგები არა ვართო... **ვითომ რუსულ კანონს აპროტესტებდნენ — ხალხო, ხვალ რუსეთში გავიღვიძებთო** და ახლა გაისუსნენ.

ამ თვალთმაქცობას მთელი ოპოზიცია ტაშს უკრავს, თავმოყვარეობის ნასახი არა აქვთ, ხელს აწერენ სიბინძურეზე. არ გამოვრიცხავ, ტერორისტული აქტიც მოაწყონ. ამერიკაში სწორედ ამათმა მსგავსმა ესროლა **ტრამპს,** ხოლო სლოვაკეთში — **რობერტ ფიცოს. ვიქტორ ორბანის** ესკორტსაც საეჭვოდ დააჯახეს ავტომობილი. **საქართველოშიც თუ მსგავსი რამ დატრიალდა, იმავე ადამიანების დაფინანსებული იქნება, რომლებმაც ზემოხსენებ ლიდერებზე თავდასხმა განახორციელეს.** ოპოზიცია იმდენად გარეწარია, ჯერ თქვეს — ტრამპმა საკუთარ თავს თვითონ მოუწყო თავდასხმაო, მერე მისი პარტიის ყრილობაზე ჩავიდნენ. ამათგან არაფერი მიკვირს და რაც უნდა ლობე-ყორეს მიაწყდნენ, ამ არჩევნებში მათი შანსები ნულის ტოლია!

**— ბიძინა ივანიშვილზე ტერორისტული თავდასხმის მომზადების საქმეზე უსაფრთხოების სამსახური გამოძიებას აწარმოებს...**

— ესენი უკადრებელს იკადრებენ და გაუგონარი საშინელების ჩამდენები არიან. ამ თემაზე ირონიით ლაპარაკობენ, იცინონ, მეტი რა დარჩენიათ, ისტერიკა აქვთ. ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებს უსაფრთხოების სამსახური და ყველას თავის ადგილს მიუჩენენ.

**— რამ გამოიწვია ეს ისტერიკა?**

— მიუხედავად მათი და რამდენიმე ევროპარლამენტარის მცდელობისა, რომ ევროპასა და ამერიკას ჩვენთვის ზურგი შეექცია, ასე არ მოხდა და საქართველო დღეს ანგარიშგასაწევ ქვეყნად იქცა. ევროპარლამენტი მხოლოდ მათ მიერ დაფინანსებული დეპუტატებისგან არ შედგება და საღი აზრი ძალიან ბევრს აქვს — არც ვიზალიბერალიზაციას დავკარგავთ და არც კანდიდატის სტატუსს!

მოვუსმინე ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელ გამოსვლას, დადებითად ვაფასებ მის სიტყვას — საქართველოს კურსი დასავლეთისკენ არ იცვლება. ასე რომ, მორჩნენ ისტერიკას, რაც ნაცებს უნდათ, ის არასოდეს მოხდება, შეეგუონ, რომ ვერასოდეს მოვლენ ხელისუფლებაში!

**— ოპოზიციას ტრენინგს მაინც უტარებენ და დავალებების მისაღებად ლარნაკაში კეზერაშვილთან მიემგზავრებიან.**

— ხალხის მტრები ვერც საგარეო პოლიტიკას შეცვლიან საქართველოში და ვერც საშინაოს. ახლა კიდევ კეზერაშვილს ჩააკითხეს, ქართული ჯარის მძარცველს და იმ ფულით ისევ სათავეში უნდათ დაჯდომა. არ გამოუვათ ქვეყნის დაღუპვა და სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრა, ცხვირს წაიმტვრევენ.

ხალხმა იცის, რომ ოპოზიცია კიდეც იხმაურებს და რევოლუციურ სცენარებსაც ააფრიალებს, მაგრამ მათ ლიდერ სააკაშვილს საქართველოში არავითარი პოლიტიკური მომავალი არა აქვს და როგორც პოლიტიკოსი, აღარ განიხილება. თავის თავს პატიმარს კი ეძახის, მაგრამ პაციენტი უფროა ფსიქიკური აშლილობით და ხონის ფსიქიატრიულში უნდა მოათავსონ. **ქართულ პოლიტიკას არც სააკაშვილი სჭირდება და არც მისი პარტია!**

***ესაუბრა***
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# დიმპიტაური-დუპლეტაური

სადღაც წავიკითხე — **ნინო ლომჯარიას ბიძინა ივანიშვილზე მაღალი რეიტინგი აქვსო.**

ნუ, ეხლა, შავი იუმორიც გამიგია, თეთრიც, ყავისფერიც, მუქი ლურჯიც, ყვითელიც, მაგრამ ეს რომელ ფერში გადის, ამ ეტაპზე ვერ გავარკვიე.

☺

**იცით, ეს ე.წ. გამომკითხველები რას აკეთებენ? აი, ვირს რომ პიტნა ეჯავრებოდა და მაინც ცხვირში ტენიდნენ. ვინც საქართველოში ყველაზე ძალიან ეჯავრებათ, მაინცდამაინც იმათ გვტენიან!**

**არ ჭამს ვირი პიტნას,** თქვე ჩემის ტრულაილებო და **არც ქართველი ხალხი ჭამს თქვენს უნიჭო მცდელობებს.**

ისე, **დავით ბაქრაძე** რატომ ჩამოხსენით პირველადგილოსნობიდან? ვერ ივარგა? ვერ გაქაჩა? ამათზე ნაკლები **დუპლეტი** იყო?




## კვირგვინოსნები

**ბადრი ჯაფარიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველო-ლელოს“ ლიდერი*



ჩვენ გვინდა ვუთხრათ ჩვენს თანამოქალაქეებს ის, **თუ რას ვაპირებთ გავაკეთოთ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე.** ეს არის **1000-ლარიანი პენსია,** ეს არის **200 000 სამუშაო ადგილი,** ეს არის მეგაპროექტების დასრულება, ეს არის **ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მობრუნება ჩვენი ქვეყნის,** ეს არის ემიგრაციის დაბრუნება სამშობლოში.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ფავლენიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მდივანი*



სანქცირებულმა **სასამართლო კლანმა** პატიმრობა შეუფარდა **მიხეილ სააკაშვილს,** თუმცა, ოქტომბრის მიწურულს, ქართველ ხალხთან ერთად, **ის აუცილებლად იზეიმებს რუსული რეჟიმის დამარცხებას.**

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**გახარიას** კვლევებში **11 პროცენტი** აქვს, მაგრამ მე არ შემხვედრია ადამიანი, ვინც მას ხმას აძლევს.

„ახალი თაობა“

# აი, რაზე თქვა სააკაშვილმა – ქვეზის გროვა დავკარგეთო!



მიხეილ სააკაშვილი, 2008 წლის 8 აგვისტო: — საქართველოს სამთავრობო შენაერთები აკონტროლებენ ყველა დასახლებულ პუნქტს და ყველა სოფელს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე...



## არადა, სინამდვილეში:

**2008 წლის აგვისტოში ორდღიანი ომის შედეგად რუსეთთან კაპიტულაციას ხელი მოაწერა ქართული ჯარის მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს მოსახლეობას დაატოვებინა:**







ქვემო აჟარა
მამისაანთუბანი
თამარაშენი
ახმაჯი
აძგარა
ფრისი
ქვემო აჩაბეთი
მოსაბრუნი
იგოთი
ბუჩუკური
არგვიცი
ზემო აჩაბეთი
კორინთა
ბუძგური
ბერულა
ქურთა
საძეგური
გვანდრა
ერედვი
კეხვი
ლარგვისი
ზემო აჟარა
ვანათი
საცხენეთი
სვერი
ქარჩოხი
ზემო ზიმი
ბელოთი
ხეითი
ძარწემი
ალემი
ქვემო ზიმა
ზონკარი
ქემერტი
ჩიტიანი
ზემო ომარიშარი
ქვაბჩარი
ფრონე
დადიანეთი
ვაშლოვანი
ქსუისი
მარცხენა გენწვიში
ერედა
საკენი
დორეთკარი
მარცხენა პტიში
ოქონა
არცევი
არკნეთი
ავნევი
ყანჩაველი
მარჯვენა გენწვიში
ტვირბრაშერი
დელკანი
ნული
ხეცკვარა
ძეგლევი
ჩხალთა
პტიში
დისევი
ნახარი
ჩირქოლი
შაბათკვარა
ბოლო
მრამბა
ომარიშარი
ჭარები
ხუტია
აწრისხევი
კლიჩი
ჯვარისუბანი
ბალაანი
ელოიანი
თინიკაანი
მიდელაანი
ნავიხევი
ოხორი
პავლიანი
ქარელთკარი
ქენქაანი
ჩიგიოანი
წიფათური
ჭორჭოხი
ხოზუეთი
დაბაკნეთი
ზოდეხი
თოხთა
მანჭიკაანი
მარტიანი
მაჭარაანი
მახიარეთი
მუჯუხი
პაპიაანი
უკანამხარი
უკანუბანი
ყველდაბა
შიუკაანი
ბაზუანი
ახალდაბა
ახალსოფელი
ბეჟანაანთკარი
ბარუბანი
ერედა
მორბედაანი
გდუ
ბოსლეთა
ღრუ
კოდიჯვარი
მამულაანი
მონასტერი
ციხისოფელი
ჭანდარი
გეზევრეთი
გუდაწვერი
ნახიდი
ყოჩაანი
წირქოლი
ხარკელანი
გავაზი
გარუეთი
დოგუზაანი
ველისა
კარა
კუცხოვეთი
მშველიეთი
საბარკლეთი
ჩკუნეთი
ცხავათი
ძაგნათი
ხარბალი
ხრამისწყარო
სალბიერი
ნაგომევი
ჩორჩანი
მუხიერითი...



*ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მისი შეუზღუდავი ძალაუფლების პერიოდში საქართველოში მომხდარ შემდეგ მოვლენებზე:*



# ნანა კაკაბაძის 10 კითხვა მიშ-მადიდებლებს

**1.** ციხეებში სასტიკი და ძალადობრივი რეჟიმის დამკვიდრებაზე?

**2. სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის, ზურა ვაზაგაშვილის, ალექსანდრე ხუბულოვის, ვალერი ფხაკაძის, ნიკა კვინტრაძის, სულიკო ასათიანის, სერგო თეთრაძის, როინ შავაძის, კობა ოთანაძის, გია კრიალაშვილის** და სხვათა მკვლელობის წახალისებისა და მკვლელების მფარველობის გამო?

**3. ვალერი გელაშვილის, კობა დავითაშვილის, სულხან მოლაშვილის, გია მაისაშვილის, დავით საზანიშვილის** და მრავალი სხვა ოპონენტის დაინვალიდებისათვის?

**4.** 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 6 მაისის, 2009 წლის 15 ივნისის და 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიანი აქციების დარბევის, დემონსტრანტების მკვლელობა-დასახიჩრების და მასობრივი უკანონო დაპატიმრებების გამო?

**5. ტელეკომპანიების „იმედის“, „იბერიისა“ და „მაესტროს“ დარბევისა და მიტაცებისათვის?**

**6.** 2008 წლის აგვისტოს ომის პროვოცირების, კოდორის ხეობისა და სხვა ტერიტორიებისათვის სტატუსის შეცვლის კვალდაკვალ რუსეთის მიერ მათი ოკუპირებისა და ასობით დაღუპული და ათასობით დაჭრილი მოქალაქეების გამო?

**7. ტოტალური ფარული თვალთვალისა და მიყურადების, ადამიანთა წამების, მამაკაცების გაუპატიურებებისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით შიშისა და უიმედობის დამკვიდრების გამო?**

**8.** ფართოდ გავრცელებული ბიზნესრეკეტის, მოქალაქეების კერძო საკუთრების მასობრივი ხელყოფის შელახვისა და შანტაჟის გამო?

**9. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მასობრივი შეზღუდვის გამო?**

**10.** სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების რუსეთისათვის გადაცემის გამო?

## და კიდევ:

ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს** იმის გამო, რომ მისი შეუზღუდავი მმართველობის პერიოდში საქართველოში სისტემატურად ირღვეოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 **(სიცოცხლის უფლება)**, მე-3 **(წამების აკრძალვა)**, მე-5 **(თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება)**, მე-6 **(სამართლიანი სასამართლოს უფლება)**, მე-7 **(არავითარი სასჯელი კანონის გარეშე)**, მე-10 **(გამოხატვის თავისუფლება)** და მე-13 **(სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება)** მუხლები? ასეთ პირობებში რამდენად სამართლიანია მიხეილ სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნა, როდესაც ამ დანაშაულთა მესვეურის ჩამდენი და, მათ შორის, ბევრი მართლაც სერიოზულად დაავადებული პატიმარი იხდიდა, დღესაც იხდის და მომავალშიც მოიხდის სასჯელს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში?


# იმედის კლინიკა



თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80

IWAY.GE

ევრაზიაში სამშენებლო და სარემონტო მასალების წამყვანი მწარმოებლის QIS-ის (Quality Insulation Systems) წარმომადგენელი საქართველოში

**შპს „აივეი“**

## გთავაზობთ:

**უმაღლესი ხარისხის, მაღალი მარკიანობის** (C2TE S1 სტანდარტი), **ელასტიკურ, წყალგაუმტარ, ყინვაგამძლე თეთრ წებოცემენტს**

**QIS AQUA BOND,**

**რომელიც გამოდგება კერამოგრანიტის, მარმარილოს და მეთლახის დასაწებებლად ვერტიკალურ და ჰორიზონტულ ზედაპირებზე, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების პირობებში, მათ შორის, იატაკქვეშა გათბობის სისტემის მონტაჟის შემდგომ.**

*ვრცელდება საბითუმო და საცალო ფასები, უფასო მიტანა, კონსულტაცია და გრძელვადიანი თანამშრომლობა.*

**თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29**
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge

თამარისი Tamarisi

## დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics


## კახა საბახტარიშვილი

# კოვიდის და ვაქცინაციის შემდეგ „ეპშტაინ-ბარის“ ვირუსი შეიძლება გააქტიურდეს, რაც ძალიან საშიშია!

**„კოვიდ-19“-ის გადატანის შემდეგ** თითქმის ყოველი მესამე ადამიანი **უჩივის:**

- **აუხსნელ და უმიზეზო საერთო სისუსტეს;**
- **მეხსიერების გაუარესებას;**
- **ყურადღების და კონცენტრაციის დაქვეითებას;**
- **კუნთების და სახსრების ტკივილს;**
- **ძილის დარღვევას, დეპრესიას ან გაღიზიანებადობას.**

ბევრ კოვიდგადატანილს განუვითარდა:

**სხვადასხვა სახის ალერგიები;**

**წნევის ცვალებადობა;**

**ყელის და ლიმფური ჯირკვლების პრობლემები,** რაც მათ ადრე არ აწუხებდათ;

მსგავსი სიმპტომები დაეწყოთ იმ ადამიანების ნაწილსაც, **ვინც ვაქცინაცია ჩაიტარა.**

დადგინდა, რომ **„კოვიდ-19“ააქტიურებს „ეპშტაინ-ბარის“ ჰერპეს ვირუსს,** რომელიც მიძინებულ მდგომარეობაში სახლობს ადამიანების 95%-ში და მისმა გააქტიურებამ ყველა ზემოთ აღნიშნული ჩივილები შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომაც არანაირი მკურნალობა შედეგს არ მოგვცემს, თუკი „ეპშტაინ-ბარის“ ვირუსს გადაულახავ ბარიერს არ შევუქმნით, არ მივცემთ გამრავლების საშუალებას და არააქტიურ ფორმაში არ დავაბრუნებთ.

გვახსოვდეს, რომ ამ ვირუსის გააქტიურებამ გარკვეული სახის **სიმსივნეების წარმოშობას შეიძლება ხელი შეუწყოს!**

ჰერპეს ვირუსების საწინააღმდეგოდ არსებობს **აციკლოვირის** მსგავსი ქიმიური მედიკამენტები, მაგრამ მათ უამრავი გვერდითი მოვლენები ახასიათებთ.

1. **ასთენიური სინდრომი: საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა, თავბრუსხვევა.**
2. **კანის რეაქციები: ქავილი, გამონაყარი, ალერგიული რეაქციები.**
3. **შეიძლება გამოიწვიონ ძილის დარღვევა, აპათია, დეპრესია.**

უკვე ყველა თანხმდება, რომ ვირუსების წინააღმდეგ **ჰომეოპათიურ პრეპარატებს საოცრებების მოხდენა შეუძლია.** მათ არა აქვთ გვერდითი მოვლენები და მიჩვევის ეფექტი, **უვნებელია ბავშვებისა და ორსულებისთვის.** სწორედ ასეთ უნივერსალურ ანტივირუსულ ბუნებრივ საშუალებას მიეკუთვნება უკვე უცხოეთშიც კარგად ცნობილი საშუალება **„იმუნო ჰერბი ფორტე“,** რომელიც ერთნაირი წარმატებით **ებრძვის** როგორც **გრიპის და კოვიდის** გამომწვევ ვირუსებს, ასევე **„ეპშტაინ-ბარის“ ვირუსსაც,** გადაჰყავს ის არააქტიურ უვნებელ ფორმაში.

ჩემი რჩევაა: ყველამ, **ვინც კოვიდი გადაიტანა ან ვაქცინაცია ჩაიტარა** და შემდეგ გაგიაქტიურდათ „ეპშტაინ-ბარის“ ვირუსი, რაც ზემოაღნიშნული ჩივილებით გამოვლინდა, **მიიღეთ „იმუნო ჰერბი ფორტე“,** 5-7 წვეთი დღეში 2-3- ჯერ. საუკეთესოა **„ტონზილინთან“ და D ვიტამინთან** კომბინაცია, რადგან „ეპშტაინ-ბარის“ ვირუსი ხშირად **ანგინას, ტონზილიტს და ლიმფური ჯირკვლების გადიდებასაც იწვევს,** რაც ასე გახშირდა ბავშვთა ასაკში, სადაც **„ტონზილინმა“ ასობით ბავშვი ოპერაციას გადაარჩინა.**

*თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი).*
*593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“*



***„იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინი“, „გულის ელექსირი ფორტე“ და „მამოსილი ფორტე“ ყველა სააფთიაქო ქსელში.***



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია და ჩვენი ოთხფეხა მეგობარი

***— ასტროლოგიური თვალთახედვით რისი ცოდნა გვმართებს წინასწარ ძაღლის შესახებ, თუ მის შეძენას ვაპირებთ? ვისთვის იქნება საუკეთესო არჩევანი ვერძი-ძაღლი, რომელიც არის მუდმივად თამაშის მსურველი, სწრაფი, თამამი, უშიშარი, გამტანი, საკმაოდ ამბიციური და პატრონის ბრძანებებს რთულად ემორჩილება, მიუხედავად იმისა, რომ აქვს დიდი და მოსიყვარულე გული ანდა ვის გაუწევს დიდ მეგობრობას მეტად მგრძნობიარე, მიწიერი, შრომისმოყვარე, სანდო, უზომოდ ერთგული, მოფერებისა და ჩახუტების მოყვარული კურო-ძაღლი, რომელიც ბედნიერად თავს მყუდრო, მშვიდ, ლამაზ და დაცულ გარემოში იგრძნობს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— არის თუ არა შესაძლებელი, რომ ასტროლოგიის დახმარებით ჩვენთვის და ჩვენი ოჯახისთვის შევარჩიოთ სასურველი და შესაფერისი ოთხფეხა მეგობარი?**

— ასტროლოგია უძველესი დარგია. ასევე უძველესი დროიდან ადამიანმა მიიჩვია და მოითვინიერა ცხოველები, რომელთა შორის **ძაღლს** განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით მომრავლებულია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც ჰყავთ ანდა სურვილი აქვთ, ჰყავდეთ ოჯახში ძაღლი.

**— რა უნდა ვიცოდეთ იმისათვის, რომ ძაღლთან ჩვენი ურთიერთობა იყოს ჰარმონიული და ორივე მხარისათვის სასიამოვნო?**

— პატრონის, ოჯახის წევრთა და ძაღლის ურთიერთობა მხოლოდ მოფერებით და გასეირნებით არ შემოიფარგლება და ყოველთვის მარტივიც არ არის. **იმისათვის, რომ ეს კავშირი იყოს უფრო სასიამოვნო და ჰარმონიული, შეგვიძლია, ასტროლოგიას მივმართოთ და წინასწარ დავადგინოთ სასურველი ძაღლის ხასიათი, დადებითი და უარყოფითი თვისებები და დაბადების თარიღი. ზოდიაქოს ნიშნის ცოდნა გაგვიადვილებს მასთან თანაცხოვრებას, აღზრდასა და გაწვრთნას.** ახლა კი დავიწყოთ პირველი ნიშნით დაბადებული ძაღლების ნიშან-თვისებები და ხასიათის თავისებურებანი;

**1. ვერძის (21 მარტი-19 აპრილი) ნიშნით დაბადებული ძაღლი ბუნებით თანდაყოლილი ლიდერია. მოძრავი და სწრაფია, პლანეტა მარსის ზემოქმედება უძლიერებს და უმახვილებს დამოუკიდებლობის შეგრძნებას, გამტანობას, მიზანსწრაფულობას.** მას დიდი მოსიყვარულე გული და შინაგანი ენერგია გააჩნია, რაც აღფრთოვანებას იწვევს და გადამდებია. მიუხედავად მოსიყვარულე ხასიათისა და მუდმივად თამაშის სურვილისა, იგი მეტად თავდაჯერებულია და ბრძანებებს რთულად (ანდა იშვიათად) ემორჩილება. მას საკუთარი მოსაზრებანი აქვს, ამიტომ დაძახებისას, შესაძლოა, არ მოვიდეს. საკმაოდ ამბიციური, უშიშარი და თამამია და ცდილობს, ყველგან პირველი იყოს, მაგრამ, ამავდროულად, მოსიყვარულე გული აქვს. ულევი, დაუოკებელი ენერგიის გამო ძალიან უყვარს თამაში, შეჯიბრი, ძაღლისთვის განკუთვნილი სპორტის სახეობები, სუფთა ჰაერზე სეირნობა და სირბილი. **ვერძის ნიშნით დაბადებული ძაღლი განსაკუთრებით აქტიური და სიცოცხლისუნარიანია. ამგვარი ძაღლისთვის საუკეთესო პატრონი იქნება მშვილდოსნის, ლომისა და ტყუპის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი.

**2. კუროს (20 აპრილი-20 მაისი) ნიშნით დაბადებული ძაღლის დახასიათება კი შეიძლება ერთი სიტყვით — მყუდროებით; იგი ძალიან მგრძნობიარე, ბუნებრივი, მიწიერი, პრაქტიკული, სანდო და შრომისმოყვარეა. უყვარს ლამაზი ბუნება, ყვავილები, გაზონზე სეირნობა, სუფთა ჰაერზე დასვენება.** წვრთნასა და სიახლის ათვისებაზე უარს არ ამბობს, მაგრამ არც დიდი ენთუზიაზმით გამოირჩევა და პერიოდულად გაჯავრებაც შეუძლია, რადგან ცვლილებებს ვერ იტანს. **თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობს მშვიდ, ლამაზ, მყუდრო და დაცულ გარემოში. კურო-ძაღლი მოსიყვარულე, განსაკუთრებულად ლოიალური და უზომოდ ერთგულია. იგი ყველაფერს იღონებს საკუთარი პატრონის სასიკეთოდ.** მას მოფერება და ჩახუტება უყვარს. ძალიან თბილია. ზოგჯერ სიზარმაცე ახასიათებს. ასევე ძლიერად აქვს განვითარებული მუდამ ჭამის სურვილი. ამგვარი ძაღლი აფასებს დღის მკაცრ განრიგს, რადგან ასეთ შემთხვევაში ზუსტად იცის და დარწმუნებულია უსაფრთხოებაში და ჩვეული ცხოვრების წესის გაგრძელებაში. **კურო-ძაღლს** ხშირად სიმშვიდეს ურღვევს ძლიერი ხმაც. მაგალითად, ჭექა-ქუხილი, იარაღიდან გასროლის ხმა, სალუტი და ფეიერვერკი. ამგვარი ძაღლის ყოლით დიდ სიამოვნებას მიიღებენ **კირჩხიბის, თხის რქის და თევზების** ნიშნით დაბადებული ადამიანები.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

### 5 – 11 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
გაიზრდება თავდაჯერებულობა და მოქმედების სურვილი. საქმიანი პარტნიორების ხელშეწყობით გაუმჯობესდება მატერიალური მდგომარეობა, თუმცა, გაიზრდება ხარჯებიც. ოჯახის წევრებზე ადვილად მოახდენთ გავლენას, რის გამოც გაგიადვილდებათ სახლში სასურველი გარემოს დამყარება. ახალი ნივთების შეძენა თქვენს გუნება-განწყობას ერთი-ორად გააუმჯობესებს. კარგი პერიოდია მოგზაურობისა და დასვენებისთვის, რადგან არაერთ სასიამოვნო მოგონებას დაგიტოვებთ.

**კურო** (21.04-20.05)
შესაძლოა, უეცრად შეგეცვალოთ გეგმები. გაგიჩნდებათ შემოსავლის ახალი წყარო ან ფარული დამატებითი შემოსავალი. ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, თავი შეიკავეთ რისკისა და ავანტიურული მოქმედებებისაგან. ძალზე სასიკეთო დროა მოგზაურობის დასაწყებად, მივლინებებისთვის, გადაადგილებებისთვის, ინფორმაციის გაცვლისა და სწავლისათვის, ურთიერთობების დამყარებისა და გაღრმავებისათვის. ეცადეთ, თავისუფალი დრო დაუთმოთ საკუთარ თავსა და ჯანმრთელობას.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თავს ენერგიულად იგრძნობთ და ბევრი საქმის ერთად შესრულება მოგინდებათ. ეს კარგი დროა ახალი სერიოზული პროექტების მოსამზადებლად და დასაწყებად. დაამყარეთ აუცილებელი კავშირები და არ შეცვალოთ გეგმები და მიზნები. უჩვეულობითა და არასტანდარტული აზროვნებით მეტ პოპულარობას მოიპოვებთ საზოგადოებაში. მხიარულ განწყობას დაგიბრუნებთ ქალაქგარეთ გასეირნება, დასვენება და მეგობრებთან გულითადი საუბარი. სასიყვარულო სფერო სიამოვნებასა და სიმშვიდეს გიქადით.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
კარიერულ ზრდაში ინტუიცია და პროფესიონალიზმი დაგეხმარებათ. კარგი იქნება, თუ გააფართოებთ საურთიერთო წრეს და ფართო აუდიტორიას გააცნობთ თქვენს იდეებსა და მოსაზრებებს. მომატებული შემოსავლების მეშვეობით შეძლებთ როგორც პირად, ისე საოჯახო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. საყვარელ ადამიანთან ერთად შორეული მოგზაურობა საუკეთესო მოგონებებს დაგიტოვებთ. ენერგიის ნაკლებობა ხშირი შესვენებებითა და გამოძინებით შეივსეთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ეს კარგი დროა საზოგადოებრივი, სოციალური ან პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. თქვენ სხვებისთვის სათქმელიც ბევრი გექნებათ და საჩვენებელიც. იუმორის გრძნობა, ორიგინალურობა და ინტელექტი კი ნებისმიერ წრეში პოპულარობის საწინდარი გახდება. გონების აქტიურობა ხელს შეუწყობს ახალი იდეების წარმოქმნასა და ენერგიულ მუშაობას. საქმიანი მოლაპარაკებები ადვილად წარიმართება და დადებით შედეგს გამოიღებს. სასიკეთოდ ჩაივლის მოგზაურობაც.

**ქალწული** (24.08-23.09)
ცნობისმოყვარეობა გაიძულებთ, მეტი იმოძრაოთ და გაიცნოთ ბევრი ხალხი. კომუნიკაბელურობა კი წარმატების საწინდარი გახდება. თუ გონივრულად იმოქმედებთ, ფინანსური ოპერაციები დადებითად დასრულდება. კარგი პერიოდია მკვლევარების, მეცნიერებისა და ორატორებისთვის. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ან სახლში ცვლილებები სიმშვიდეს მოგიტანთ. მოგზაურობისას წინასწარ გათვალეთ ყველა ნაბიჯი. უეცარი რომანტიკული ურთიერთობა ისევე უეცრად დასრულდება, როგორც დაიწყო.

### 5 – 11 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ეს პიროვნული თვისებების გამოვლენის, შემოქმედებითად მუშაობის პერიოდია. შემოსავლების რაოდენობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წარმოადგენთ თქვენს თავს სხვების წინაშე. კარგი დროა თამაშებში, შეჯიბრებებსა და კონკურსებში მონაწილეობის მისაღებადაც. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან ღია კონფრონტაციას და ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ერთად. დასვენება და მოგზაურობა დადებითად იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე და სასიამოვნო მოგონებებს დატოვებს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
პირადი ინტერესების დასაცავად შესაძლოა გამოიყენოთ ფარული დიპლომატია. მეტად უსმინეთ ინტუიციას და შინაგანი ენერგიის მეშვეობით ადვილად დაამარცხებთ ყველა კონკურენტსა თუ მოწინააღმდეგეს. კარგი პერიოდია განმარტოებისა და დასვენებისათვის. საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა ახალი იდეების წარმოქმნის საწინდარი გახდება. კარგი დროა ახლო მოგზაურობისთვის, ან მკურნალობის დასაწყებად, რადგან გამაჯანსაღებელი პროცედურები სწრაფ შედეგს გამოიღებს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მოიკრიბეთ სითამამე და დაიწყეთ ფანტაზიების ხორცშესხმა, მაგრამ ზედმეტად ნუ ენდობით უცნობებს, რათა არ მოტყუვდეთ. შემოსავლის გასაზრდელად დაიხმარეთ ახლობლები. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში ნუ იქნებით იმპულსური და ზედმეტად ემოციური. მოერიდეთ მოგზაურობას და სიფრთხილე გამოიჩინეთ მანქანის მართვისას. ასევე, მოერიდეთ ძალის ტყუილუბრალოდ ხარჯვას და ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ, რადგან არსებობს გაციების ალბათობა.

**თხის რქა** (22.12-19.01)
გარკვეული გარემოებების გამო შეიცვლება როგორც თქვენი ყოველდღიური ცხოვრება, ასევე სამომავლო მიზნებიც. ეს კარგი დროა საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, საკუთარი თავისა და საქმიანობის რეკლამირებისთვის და გამოცდილების გაზიარებისთვის. სახლში შესაძლოა, დაიწყოთ რემონტი ან შეცვალოთ ინტერიერი. მოგზაურობისას გაიცნობთ საინტერესო ადამიანებს, რომლებთანაც მომავალში მომგებიანად ითანამშრომლებთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
თავს სანაქებოდ იგრძნობთ და რამდენიმე საქმის ერთად მოსწრებას შეძლებთ. ბევრ ადამიანთან ურთიერთობა გონებისა და ინტელექტის განვითარებას შეუწყობს ხელს. შესაძლოა, გამოგიჩნდნენ გავლენიანი მფარველები, რომლებიც ყოველმხრივ გაგიწევენ დახმარებას. საწინააღმდეგო სქესის ადამიანები განსაკუთრებულ ინტერესს გამოიჩიენენ თქვენ მიმართ. მოგზაურობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს და რომანტიკულ ურთიერთობებს გიქადით. ამ დროს დაწყებული სასიყვარულო კავშირი კი შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს.

**თევზები** (19.02-20.03)
ძირითადი თქვენი ჩანაფიქრები და ქმედებათა მოტივები გარშემო მყოფთათვის გაუგებარი იქნება, თუმცა, ამგვარად შეძლებთ წინააღმდეგობა გაუწიოთ კონკურენტებსა და ფარულ მტრებს. საოჯახო და სასიყვარულო სფეროში ცვლილებები სასიკეთო გადაწყვეტას პოვებს, რაც დამატებით სტიმულს მოგცემთ მოქმედებისთვის. შესაძლოა, დაფიქრდეთ სასიყვარულო ურთიერთობის გაოფიციალურებაზე ან ოჯახის შექმნაზე. ეს კარგი დროა როგორც საქმიანი, ასევე პირადი მოგზაურობისთვის.



**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
6, 8 და 9 აგვისტო**
4 აგვისტო – ახალმთვარეობა, პიკი – 15.14 საათზე.
19 აგვისტო – სავსემთვარეობა, პიკი – 21.22 საათზე.



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 5 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.59 საათზე, ჩადის 19.14 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 05.34 საათზე, ჩადის 20.03 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 23.04 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.17 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური რეტროგრადული ხდება (29 აგვისტომდე), რაც შეაფერხებს ახალი საქმის დაწყებას, მოლაპარაკებებს, ინფორმაციის მიღება-გადაცემას, მგზავრობა-მოგზაურობას, შეამცირებს ურთიერთგაგებას, დაგვაბრუნებს ძველ არასწორად წარმართულ ან დაუმთავრებელ საქმეებთან და კონტაქტებთან მათი გაანალიზებისა და გამოსწორების მიზნით. დღეს კარგია ძველი პარტნიორული ურთიერთობის განახლება, ძვირფასი ნივთის შეძენა, მავნე ჩვევისგან განთავისუფლება. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ფიზიკურ-ემოციური გადაღლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, ქარვა, სერდოლიკი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 6 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.00 საათზე, ჩადის 19.13 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.09) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.38 საათზე, ჩადის 20.24 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 07.42 საათაზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 01.18 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში (29 აგვისტომდე), რაც პარტნიორულ ურთიერთობაში გააძლიერებს პასუხისმგებლობას, ორგანიზებას, შეუპოვრობას და ასევე კრიტიკულობას, სიჯიუტეს, წვრილმანებში ძიებას. კარგი დღეა სწავლისთვის, სამეცნიერო-კვლევისთვის, აუდიტისთვის, კონსულტაციებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. ნებისმიერ საქმეში დაიცავით სიზუსტე. არ არის სასურველი ქორწინება, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, ნაწლავთა სისტემა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ოპალი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 7 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.02 საათზე, ჩადის 19.11 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 07.41 საათზე, ჩადის 20.43 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 08.59 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთების შესაძენად, საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად, დალაგება-დასუფთავებისთვის. შედეგიანი იქნება ლიმფური სისტემის, ტერფების მკურნალობა. ასევე შედეგიანი იქნება ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება. არ არის სასურველი განმარტოება, ზედმეტი კრიტიკულობა და მეწვრილმანეობა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, ნაწლავთა სისტემა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ონიქსი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 8 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.03 საათზე, ჩადის 19.10 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.16) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 08.42 საათზე, ჩადის 21.01 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 10.14 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.11 საათიდან 13.33 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ავარიულ-პროვოკაციული დღეა, ყურადღება გმართებთ! კარგი დღეა ურთიერთობების მოვლისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, ვალის დაბრუნების მოთხოვნის თუ ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, გასართობი ღონისძიებებისთვის. შედეგიანია კბილების, ტერფების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. არ არის სასურველი ბევრი სითხის და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თირკმლები, კანი, ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 9 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.04 საათზე, ჩადის 19.09 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 09.42 საათზე, ჩადის 21.19 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 11.29 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღებით დააკვირდით მოვლენათა მსვლელობას, მისაღებია თანამშრომლობის ნებისმიერი ფორმა, შესაძლებელია შეთანხმება, კონტრაქტებზე ხელმოწერა, შედეგიანი იქნება კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების, ტერფების მკურნალობა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარის, პარფიუმერიის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის. არ არის სასურველი ბევრი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 10 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.05 საათზე, ჩადის 19.07 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 10.43 საათზე, ჩადის 21.38 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 12.45 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.46 საათიდან 02.35 საათამდე. **ტენდენციები**: კარგი დღეა ინტუიციაზე დაყრდნობით მოქმედებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, შემოქმედებისთვის, ვიზიტებისთვის, ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ავეჯის, ხელოვნების ნიმუშების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, პარტნიორული თანამშრომლობისთვის. არ არის სასურველი ალერგიის გამომწვევი პროდუქტისა და ბევრი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თირკმლები, კანი, ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 11 აგვისტო , კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.06 საათზე, ჩადის 19.06 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.18) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 11.45 საათზე, ჩადის 22.00 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 14.03 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს იმატებს მიდრეკილება კრიტიკისა და სიცრუისკენ, ზედმეტ დაპირისპირებებს ნუ გასცემთ. კარგი დღეა საოჯახო და ყოფითი საქმეებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, გეგმის დასახვისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველების შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფობა, ჭორაობა, ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, ინტიმური კონტაქტები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



6 აგვისტო - ხსენება ღირსისა ილარიონ თვალელისა, ღირსი გიორგი მთაწმიდელის მოძღვრისა



7 აგვისტო - მიძინება მართლისა ანასი, დედისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა

✝ 5 აგვისტო. ორშაბათი. მოწამეთა: ტროფიმესი, თეოფილესი და მათთანა 13-თა მოწამეთა; მღვდელმოწამისა, აპოლინარისა, რავენიელი ეპისკოპოსისა.

✝ 6 აგვისტო. სამშაბათი. **ღირსისა ილარიონ თვალელისა, ღირსი გიორგი მთაწმიდელის მოძღვრისა; მოწამისა ქრისტინა ქალწულისა;** მოწამეთა კეთილმსახურთა მთავართა: ბორისისა და გლებისა, წმიდა ნათლისღებით რომანოზისა და დავითისა.

✝ 7 აგვისტო. ოთხშაბათი. **მიძინება მართლისა ანასი, დედისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა;** წმიდათა დედათა, ოლიმპიადა დედათდიაკონისა და ღირსისა ევპრაქსია ქალწულისა, ტაბენელისა; ხსენება მეხუთე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.

✝ 8 აგვისტო. ხუთშაბათი. მღვდელმოწამისა ერმოლაოს ხუცესისა და მოწამეთა: ერმიპესი და ერმოკრატესი, ნიკომიდიელთა; ღირსმოწამისა პარასკევასი.

✝ 9 აგვისტო. პარასკევი. **დიდმოწამისა და მკურნალისა პანტელეიმონისა;** ღირსისა ანთისა ალმსარებელისა, იღუმენისა და 90-თა დათა მისთა; მოციქულთა სწორთა: კლიმენტისა, ოხრიდელი ეპისკოპოსისა, ნაუმისა, საბასი, გორაზდისა და ანგელარისა.

✝ 10 აგვისტო. შაბათი. **ღირსისა გიორგი მაშენებელისა, ათონელისა;** 70-თაგანთა მოციქულთა: პროხორესი, ნიკანორისა, ტიმონისა და პარმენ დიაკონთა; მოწამეთა: ივლიანესი, ევსტათი ანკვირელისა, მხედრისა და აკაკისა; მოწამისა იზიტბუზიტისი, რომელი იყო ნათესავით სპარსი და იწამა სპარსთა მიერ ცეცხლისმსახურთა.

✝ 11 აგვისტო. კვირა. **მოწამისა ევსტათი მცხეთელისა;** მოწამისა კალინიკე ღანგრელისა; მოწამისა სერაფიმა ქალწულისა; მოწამისა თეოდოტიასი და სამთა შვილთა მისთა; ღირსმოწამისა მიქაელისა.




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,

მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პანტერა; 7. ბელგა; 12. პლაკატი; 13. ლორია; 14. ნამგალი; 15. კომში; 16. სპირალი; 17. ყალია; 18. ონასისი; 22. ნაურუ; 23. მინელი; 26. რაგბი; 27. ვოდევილი; 28. შიკი; 30. ლიტავრა; 32. ბატი; 34. სინაგოგა; 35. საგრაფო; 37. ნაცია; 38. ვაგონი; 39. მირიკინი; 43. ნოლტი; 44. ბასი; 46. ნუნუ; 47. ნავიგაცია; 49. კინო; 51. ინდიუმი; 54. ამუნიცია; 59. ვერსაჩე; 60. ლუმინალი; 64. ტუპოლევი; 65. ჩიკაგო; 66. საფანტი; 67. სემინარი; 68. არჩილი.

შვეულად: 1. პონტო; 2. ნამჯა; 3. ეკალი; 4. აპისი; 5. სამიტი; 6. კარატე; 7. ბიკინი; 8. ლომოური; 9. ალიყური; 10. ტრილოგია; 11. პარაზიტი; 19. ნეოფიტი; 20. სტელაჟი; 21. სკიბობი; 23. მილანი; 24. ნოტაცია; 25. ლავსანი; 28. შაგალი; 29. კლავიში; 31. რა; 32. ბოგანო; 33. ტანინი; 36. ფა; 39. მანია; 40. რევიუ; 41. კეგლი; 42. ნაცხი; 44. ბაი; 45. სიდრი; 48. ლუპა; 49. კივი; 50. ნერგი; 52. კარატი; 53. ბეტონი; 55. მიუსე; 56. ნეონი; 57. ციება; 58. ალიბი; 61. მესა; 62. ნეფე; 63. ლინი; 65. ჩია.

**მერინოსირიკულინარინიანგიომალოკალიუმიაკიდო ელიტანინიძედუნიალიბიდომინოტავრიამალაგალია**

| შალის ერთგვარი ქსოვილი | მოაჯირის ხის პატარა სვეტი | რუსუდანის ძე დავით ... | კეთილთვისებიანი სიმსივნე | კაფე, რესტორანი გერმანიაში | ესკიმოსების ნავი | რძის ნაწარმი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალაქის „თავი“ | სოფელი სამეგრელოში | კარგი საჭმელების მცოდნე | დიდი ქვეწარმავალი | სოფელი ახმეტის რაიონში | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ვაზის რქა |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ლეოპარდი; 7. ნიშნობის ბეჭედი (ძვ.); 12. სააგიტაციო ნახატი; 13. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 14. საკაფი იარაღი; 15. ბია; 16. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 17. ღორის ხორცის ჩიხირთმა; 18. ბერძენი მილიარდერი; 22. კუნძული წყნარ ოკეანეში; 23. ამერიკელი მსახიობი ლაიზა ...; 26. სპორტის სახეობა; 27. მსუბუქი კომედია; 28. მოჩვენებითი გარეგნული ბრწყინვალება; 30. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 32. შინაური ფრინველი; 34. ებრაელთა ტაძარი; 35. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ინგლისში; 37. ეროვნება; 38. მატარებლის შემადგენელი ნაწილი; 39. სამხრეთ ამერიკული მაიმუნი; 43. მსახიობი ნიკ ...; 44. კაცის სასიმღერო ხმა; 46. კომპოზიტორი ... დუღაშვილი; 47. ზღვაოსნობა, ნაოსნობა; 49. ხელოვნების დარგი; 51. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 54. სამხედრო მოსამსახურის აღკაზმულობა; 59. იტალიელი დიზაინერი; 60. ძილის მომგვრელი და დამამშვიდებელი საშუალება; 64. რუსი ავიაკონსტრუქტორი; 65. ქალაქი ამერიკაში; 66. წვრილ-წვრილი მრგვალი ტყვიები; 67. სტუდენტების ჯგუფური მეცადინეობა; 68. ქართველი მეფე-პოეტი.

შვეულად: 1. შავი ზღვისპირა უძველესი სახელმწიფო; 2. მომკილი პურის ღეროები; 3. ვარდის თავდაცვის „იარაღი“; 4. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში; 5. შეხვედრა უმაღლეს დონეზე; 6. ჭიდაობის სახეობა; 7. ქალის საბანაო სამოსი; 8. ქართველი მწერალი; 9. სილის გაწვნა; 10. ერთი ავტორის სამი ნაწარმოები საერთო ჩანაფიქრით გაერთიანებული; 11. მუქთახორა ადამიანი; 19. ახალრჯულმიღებული; 20. თაროედი; 21. სპორტის სახეობა; 23. ქალაქი იტალიაში; 24. ჭკუის სწავლება, დარიგება; 25. ხელოვნური ბოჭკო და ქსოვილი; 28. ფრანგი ფერმწერი; 29. პიანინოს ფირფიტა; 31. კითხვითი ნაცვალსახელი; 32. გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 33. მთრიმლავი ნივთიერება; 36. მე-4 ნოტი; 39. ავადმყოფური მისწრაფება რაიმესადმი; 40. საესტრადო წარმოდგენა; 41. თამაში ხის ბურთულებით; 42. თხევადი გამონაყოფის ფენა მინაზე მიკროსკოპული გამოკვლევისათვის; 44. მდიდარი მესაქონლე შუა აზიაში (ძვ.); 45. ვაშლის ღვინო; 48. გამადიდებელი შუშა; 49. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი; 50. დასარგავი ნორჩი მცენარე; 52. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 53. სამშენებლო მასალა; 55. ფრანგი პოეტი; 56. „გასანათებელი“ გაზი; 57. მალარია; 58. უდანაშაულობის საბუთი; 61. კათოლიკური წირვა; 62. მექორწილე მამაკაცი; 63. ამერიკელი რეჟისორი; 65. გამხდარი, დაბალი ტანის ადამიანი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| უმაღლესი საზოგადოება | ქართველი მსახიობი მამაკაცი | მთელი ქვეყანა | ფსიქოანალიზის ძირითადი მცნება | მეფე მინოსის ურჩხული | მეფის მხლებლები | ზოოპარკის ბინადართა „ბინა“ |
|---|---|---|---|---|---|---|

| ინგლისური ლუდი | მთრიმლავი ნივთიერება | ჩინელი ბელადი | უდანაშაულობის საბუთი | სამასკარადო სამოსი | უკრაინული ავტო | ესპანური ღვინო | საფლობი ტალახი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 5 – 11 აგვისტო №33 (1551)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com
გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.

